

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-15/2  
1991

69

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

1. 1991

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე




ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

---

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

СЕРИЯ  
ЭКОНОМИКИ И  
ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს  
Журнал основан в 1980 году  
გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца



1. 1991

გამომცემლობა „მეცნიერება“  
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

•  
თბილისი  
ТБИЛИСИ

**სარედაქციო კოლეჯია:** ა. გუნია (რედაქტორი) ო. გამყრე-  
ლიძე, მ. გველესიანი, ვ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნადარეიშვილი,  
ი. ფუტყარაძე თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაძე  
(რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Гунья А. Л. (редактор), ГамкRELИДзе  
О. К., Гвелესანი М. И., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надареишвили Г. Н.,  
Путкарადзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н., (зам. редактора), Шавгулидзе  
Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия.

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,  
ენციკლოპედია და სამართლის სერია, 1991 № 1

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, გ. ქიქოძის ქ. № 14

Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Г. Кикодзе, 14

ტელეფონი 93-22-60 телефон

---

გადაეცა წარმოებას 27.2.1991; ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.05.91; შუკვ. № 3289;  
ინაწყოების ზომა 7×12; ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 9,45;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,22; ტირაჟი 700;

ფასი 2 მან.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19;

Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ეკონომიკა

მსოფლიო ფორუმი ეკონომიკური ისტორიის პრობლემებზე . . . . .	5
<b>მიხეილ კაიხარი</b> , საკუთრების უფლებები და დაავალიანება აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ურთიერთობებში მე-20. საუკუნეში . . . . .	7
<b>ა. ბადინაშვილი</b> , საბაზრო ეკონომიკა და კომპლექსური ტერიტორიული მართვის საფუძვლები . . . . .	20
<b>ნ. ბაბაშვილი</b> , <b>დ. ნახშიშვილი</b> , საქართველოში საკომუნიკაციო მომსახურების გაუმჯობესებისათვის . . . . .	29
<b>ბ. თოდუა</b> , საქართველოს საწარმოთა გაერთიანება „აეტომოტოსერვისს“ განვითარების სრულყოფის გზები . . . . .	33
<b>მ. გომგორაიანი</b> , <b>ბ. ბელაშვილი</b> , მეცხოველეობის ეფექტიანობა შიგნითა და გარე კოოპერატივის პირობებში . . . . .	41
<b>დ. ივანიძე</b> , სამედიცინო მომსახურების ბაზრის ფორმირებისა და წონასწორობის რეგულირების საკითხები . . . . .	46
<b>პ. არქიმანიშვილი</b> , არენდული იჯარა, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კმედითი სტიმული . . . . .	53
<b>ბ. უშვარიძე</b> , მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენის შეფასება საქართველოს მსუბუქი მრეწველობის წარმოების ეფექტიანობაზე . . . . .	62

### სამართალი

<b>ბ. ხუბუა</b> , კანონი და სახელმწიფო ხელისუფლება . . . . .	67
<b>ბ. ლილუაშვილი</b> , პირადი საკუთრების უფლების ცნება და წარმოშობის პირობები . . . . .	79
<b>ბ. ნადარეიშვილი</b> , შუა საუკუნეების საქართველოს ყიდვა-გაყიდვის სიგელის ერთი იურიდიული კლასიკური აზრისა და მნიშვნელობის გამო . . . . .	87
<b>მ. მისპარიანი-შაქარიძე</b> , საქართველოს რესპუბლიკის საქარწინო-საოჯახო კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი . . . . .	94

### ინფორმაცია

საბჭოთა კავშირ-ამერიკის სიმპოზიუმი . . . . .	102
--	-----

## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИКА

Мировой форум по проблемам экономической истории . . . . .	5
М. Кеизер, Права собственности и задолженность в отношениях восточной и западной Европы в 20 веке . . . . .	7
Г. В. Бедианашвили, Рыночная экономика и основы комплексного территориального управления . . . . .	20
Н. Бакашвили, Д. Месхишвили, Для улучшения коммуникационного обслуживания в Грузии . . . . .	29
К. Тодуа, Совершенствование путей развития грузинского производственного объединения «Автомотосервис» . . . . .	33
Э. Д. Гогорелиани, Г. Г. Гелашвили, Эффективность животноводства в кооперативном хозяйствовании . . . . .	41
Д. Д. Имиадзе, Вопросы формирования рынка врачебных услуг . . . . .	53
Г. Г. Эркомаишвили, Арендный подряд как стимул ускорения научно-технического прогресса . . . . .	53
А. И. Ушверидзе, Оценка влияния научно-технического прогресса на эффективность производства в легкой промышленности Грузии . . . . .	62

### ПРАВО

Г. Ж. Хубуа, Закон и государственная власть . . . . .	67
Г. Т. Лилуашвили, Понятие и предпосылки возникновения права личной собственности . . . . .	79
Г. Н. Надареишвили, О смысле и значении одной юридической клаузулы грузинских средневековых купчих грамот . . . . .	87
Е. Г. Мискарян-Шекриладзе, Некоторые вопросы совершенствования брачно-семейного законодательства Республики Грузия . . . . .	94

### ИНФОРМАЦИЯ

Советско-американский симпозиум . . . . .	102
---	-----

## ეკონომიკა

### მსოფლიო ფორუმში ეკონომიკური ისტორიის პრობლემებზე

ეროვნული ეკონომიკის ისტორია ისეთივე უნიკალური რამაა, როგორც ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრებისეული გამოცდილება. ამიტომაცაა, რომ ეკონომიკური ისტორიის ცოდნას მიუღ მსოფლიოში უდიდესი ყურადღება ექცევა. ამის დადასტურებაა ეკონომიკური ისტორიის მსოფლიო ასოციაციის საქმიანობა. ამ ასოციაციის ეგიდით 1990 წლის 19-24 აგვისტოს ქ. ლუვენში (ბელგია) გაიმართა ეკონომიკური ისტორიის მე-10 მსოფლიო კონგრესი. წინა ცხრა კონგრესი ჩატარდა 1960, 1962, 1965, 1968, 1970, 1974, 1978, 1982, 1986 წლებში შესაბამისად სტოკჰოლმში, აიქს-ენ-არუვენსში, მიუნხენში, ბლუმინგტონში, ლენინგრადში, კომენჰაგენში, ედინბურგში, ბუდაპეშტში, ბერნში.

19.864

ბოლო კონგრესი თავის მასშტაბით ყველა წინას სჭარბობდა. მის მუშაობაში მონაწილეობდა 1500 კაცი მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან. კონგრესზე მუშაობდა 69 პროგრამით გათვალისწინებული სექცია და ათამდე, კონგრესის მუშაობის პერიოდში შექმნილი, სექცია.

მთავარი დასკვნა, რაც შეიძლება გავეთდეს ისაა, რომ ეკონომიკური ისტორიის შესწავლა ჩვენთან და დასავლეთში მიდის სხვადასხვა მიმართულებით. ეს აისახა საბჭოთა კავშირიდან კონგრესზე წარგზავნილი დელეგაციის სტრუქტურაზეც.

საბჭოთა კავშირიდან ერთიანი დელეგაციის სახელით მონაწილეობდა 38 კაცი. აქედან ერთი ესტონეთიდან, ერთი სვერდლოვსკიდან, ერთი ლენინგრადიდან, ამ სტრუქტურის ავტორი და დანარჩენი მოსკოველები. ამასთან მხოლოდ საქართველოს წარმომადგენელი იყო პროფესიონალი ეკონომისტი, ყველა სხვა კი იყო ისტორიკოსი. რაც შეეხება ზემოთნახსენებ დამოკიდებულებას, იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა კავშირში ეკონომიკურ ისტორიას განიხილავენ სამოქალაქო ისტორიის თვალსაწიერით. დასავლეთში კი ეკონომიკურ ისტორიას უყურებენ როგორც ეკონომიკურ დისციპლინას უდიდესი პრაგმატული ფუნქციებით მეურნეობრიობის მართვაში. რაც შეეხება სამოქალაქო ისტორიის კუთხით ეკონომიკური ისტორიის განხილვას, იგი პრაქტიკული თვალსაზრისით არაფრის მომცემია, იგი არაპროდუქტიულია დღევანდელი პრაქტიკისათვის რეკომენდაციების მიცემის საქმეში. დარგობრივი ეკონომიკების ისტორიებით შეზღუდვა ზღუდავს ეროვნული ეკონომიკის განვითარების მთლიანი სურათის წარმოდგენას. სახალხო მეურნეობის ისტორია არაა სახალხო მეურნეობის დარგთა ისტორიების ჯამი, ისევე როგორც ცალკეული დარგის ისტორია არაა ამ დარგის საწარმოთა, ფაბრიკებისა და ქარხნების ისტორიების ჯამი. ამიტომაცაა, რომ ეკონომიკური ისტორია ჩვენთან ვერ იძლევა ქართველი ერის სამეურნეო ცხოვრების ეროვნული სპეციფიკის დახასიათებას. ასეთი სპეციფიკის

საბჭოთაული  
 06.03.90  
 ბიბლიოთეკა

ცოდნისა და გათვალისწინების გარეშე კი ვერავითარი პროგრამა, კონცეფცია, თუ თეორია ვერ იქნება ერის ეკონომიკური აღმავლობის საფუძველი.

საქართველოში ეკონომიკური ისტორიის განვითარება მიდიოდა იმავე გზით, როგორც რუსეთში. ამიტომ აქ მას ახასიათებს იგივე ნაკლოვანებები, რაც რუსეთში. უპირველესი მიზეზი ჩამორჩენისა ესაა ეკონომიკური ისტორიის თეორიისა და მეთოდოლოგიის არარსებობა. ეკონომიკური ისტორია საქართველოში ჩამორჩა მსოფლიოში ეკონომიკური ისტორიის შესწავლას პრობლემატიკის მთელი თაობით. არ ხდება ისტორიული ალტერნატივების მოდელირება ეკონომიკაში, არ გამოიყენება ისტორიული სტატისტიკა.... „კლიომეტრიკა“ არა თუ როგორც მიმართულება, არამედ ტერმინიც კი უცნობია საქართველოს ეკონომისტთა უმრავლესობისათვის. ის კი დასავლეთში უკვე თითქმის განვლილი საფეხურია.

საქართველოში ეკონომიკური ისტორია კვლავ განიხილება ისე, როგორც მას უყურებდა ი. ჯავახიშვილი. მისთვის ეკონომიკური ისტორია ისტორიული მეცნიერება იყო, სადაც შესწავლის მთავარი ობიექტი საზოგადოებაა და არა მეურნეობრიობა. ეკონომიკური ისტორია კი ეკონომიკური მეცნიერებაა.

ეს საუბარი შორს წაგვიყვანს. აქ სჯობს კონკრეტულად მივუთითოთ ზოგიერთ მოხსენებაზე, რათა საგნობრივად წარმოვიდგინოთ ეკონომიკური ისტორიის კვლევის მიმართულებები დასავლეთში. წაითხულ იქნა მოხსენებები: „მცირე და საშუალო საწარმოების სტრუქტურა და სტრატეგია სამრეწველო რევილუციის შემდეგ“, „სასოფლო-სამეურნეო ექსპლოატაციის სტრუქტურა და დინამიკა: საკუთრება, დასაქმება, ინვესტიციები, კრედიტი, ბაზარა“, „ეკონომიკური დადგენა ომის შემდგომ (1945) პერიოდში“, „კერძო საოჯახო მეურნეობის ეკონომიკა“, „მარილი და კაპიტალიზმი“ და სხვ.

უინტერესო არ იქნება შთაბეჭდილებების არსენალადან ზოგიერთი დეტალის მოტანა. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა იაპონიის იმპერატორის ტახტის მემკვიდრე პრინცი. რომელიც გამოვიდა მოხსენებით ტრანსპორტის ისტორიის საკითხებზე. არა ამ მოხსენებამ, არამედ ამ მომხსენებელმა დიდად ასწია ეკონომიკური ისტორიით დაკავებულ პირთა რეიტინგი. პლენარულ სხდომაზე მისასალმებელ სიტყვებსა და მოხსენებას შორის უკრავდა კვარტეტი... და მაინც მთავარი ის იყო, რომ პლენარული სხდომის პროგრამა ცნობილი გახდა მხოლოდ სხდომის დაწყების წინ (ეს იყო ერთადერთი დაგვიანებული ინფორმაცია) და გაირკვა, რომ პლენარულ სხდომაზე იქნებოდა მხოლოდ ერთი მოხსენება, რომელსაც წაიკითხავდა ოქსფორდის უნივერსიტეტის რუსეთის, საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი მიშელ კეიზერი. მოხსენება ენებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ურთიერთობებს მე-20 საუკუნეში. ეს მოხსენება პროფესორმა კეიზერმა გადმოცა ქართულად დაბეჭდვის ნებართვით მაშინ, როდესაც ვაიკო, რომ მე საქართველოდან ვიყავი, სადაც ის ყოფილა 1949 წელს. ამ დროს იგი თურმე ინგლისის საელჩოში მუშაობდა. სწორედ აღნიშნული მოხსენება ქვემოთ მთლიანად იბეჭდება. იგი საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენთვის უცნობი აზროვნების სტილის გაცნობის საშუალებას იძლევა.

### მიხელ კიიზარი

## საკუთრების უფლებები და დეალიანება აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ურთიერთობებში 80-20 საუკუნეში

80-იანი წლების ბოლოდან აღმოსავლეთი ევროპა აღადგენს მის ჰუმანიტარულ უფლებებს. 90-იანი წლების ამოცანაა რაც შეიძლება სამართლიანად აღდგეს საკუთრების უფლებები. ისტორიკოსებს, ისევე როგორც ფილოსოფოსებს, ან თეოლოგებს შეუძლიათ და უნდა განსაზღვრონ თუ როგორი და რა ადგილი აქვს საკუთრების უფლებებს ჰუმანიტარულ უფლებებს შორის. ამასთან ეკონომისტები საკუთრების უფლებებში ხედავენ ეკონომიკური საქმიანობის არა საბოლოო ინსტანციას, არამედ საშუალებას. ეკონომიკის მიზანია შეზღუდული რესურსების გონივრული განაწილება შეუზღუდავი მოთხოვნილებებისა და წარმოების პირობებში. ამას კი ყველა სხვა ჩვენთვის ცნობილ მექანიზმზე უკეთესად ემსახურება მოქნილი ბაზარი. ისე კი, კერძო და საზოგადოებრივ საკუთრებაში მყოფი „საწეავის“ შერევა დაადგენს ამ მექანიზმს უფრო უკეთესად ვიდრე ერთი უკიდურესობისაგან მეორე უკიდურესობაზე გადასვლა.

არც ერთ საუკუნეში არ ხდებოდა საკუთრებითი უფლებების ისეთი ხშირი ცვლილებები, როგორც მეოცე საუკუნეში. ანალიზისათვის ავიღოთ მსოფლიო ქონების უხეში დაყოფა კერძო და სახალხო მფლობელობად. კოოპერატივების საკუთრება კლასიფიკაციაში წარმოდგენილია როგორც კერძო, ვინაიდან კოოპერატივები ძირითადად ექვემდებარებიან საბაზრო რეჟიმს და არა ცენტრალურ დაგეგმვას. XX საუკუნის მანძილზე საკუთრების ფორმათა მოძრაობა მათი წილის თვალსაზრისით ასეთია: 900-იან წლებში კერძო სექტორი დომინირებდა მსოფლიოში; შემდეგ საუკუნის შუა ხანებამდე კერძო საკუთრების წილი მცირდებოდა და ახლა კვლავ სწრაფად იზრდება მისი წილი.

საერთაშორისო საქმეების რეგულირებას საკუთრების უფლებების თვალსაზრისით გაპირობებულია საქონლის, სამუშაო ძალის და კაპიტალის ბაზრით. ჩვენ შეგვიძლია ძალზე მიახლოებით განვსაზღვროთ თითოეული მათგანის ყოველწლიური მოცულობა და აქედან გამომდინარე დავადგინოთ მათი დამოკიდებულება მთელი საუკუნის განმავლობაში. ევროპაში 900-იან წლებში სამუშაო ძალის მოძრაობა მიპყვებოდა საქონელთა მასის მოძრაობას. ეს კი განსაზღვრავდა კაპიტალის მოძრაობას, მოგვიანებით ეს ტენდენცია შეიცვალა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობებში საქონლის მასა ბევრად მეტია ვიდრე კაპიტალის, თუმცა ორთავეს დონე ძალიან დაბალია, რაც შეეხება სამუშაო ძალის საერთაშორისო გადაადგილებას საქონლისა და კაპიტალის მოძრაობასთან შედარებით იგი ნულოვანია. ამასთან აქ სამუშაო ძალის გადაადგილება ბევრად უფრო დაეცა ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში.

უნდა აიხსნას თუ რატომია საქონლისა და კაპიტალის ნაკადის დაბალი დონე აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობებში. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, როგორც ერთიანი ჯგუფი, სსრ კავშირის გამოკლებით, მთელი საუკუნის განმავლობაში დასავლეთ ევროპის სტრუქტურული მეგობრები იყვნენ. აღმოსავლეთის ქვეყნებში ქონების დასავლეთელი მფლობელების რიცხვი და საბაზრო ეკონომიკის პირობებში აღმოსავლეთის დეალიანება დასავლეთისადმი სავალუტო დეფიციტის ზრდასთან ერთად იზრდებოდა. მაგალითად 1930 წლისათვის უცხოელ მფლობელთა ხელში მყოფი ქონება უნგრეთში, რუმინ-



ნეთში და იუგოსლავიაში ერთობლივი ეროვნული პროდუქციის დაახლოებით 70%-ს უდრიდა. შედარებისათვის, იმავე პერიოდში იტალიაში იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 6% უდრიდა. შემდგომში დაწესდა მორატორიუმი რომლის დროსაც მოხდა საკუთრების უფლებების უგულვებელყოფა და კერძო საკუთრების ექსპროპრიაცია.

70-იანი წლების დასაწყისიდან ადგილი აქვს დასავლეთის კაპიტალის დაცემას დასავლეთის ბანკებზე კომბინირებული გადასახდელებისა (დამახასიათებელი განსაკუთრებით ოპეკ-ის წევრი ქვეყნების ბალანსების დეპოზიტისათვის) და დასავლეთის იმპორტის ზრდასთან შედარებით. 1982 წლის კრედიტის მდგომარეობით, მოგების მომცემი კრედიტების მოცულობა პირველ ხანებში დაეცა, შემდგომ კი „მორცხვად“ დაიწყო ზრდა. პრევატიზაციას და მარკეტინგაციას, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში 1989 წლის რევოლუციას მოჰყვა და რომელიც შეიძინევა საბჭოთა კავშირშიც, სამართლიანად მოჰყვა კაპიტალით დაინტერესება. კაპიტალით, რომელიც აღმოსავლეთის არაკომპეტენტურმა ეკონომიკამ ისტორიულად ყოველთვის ცუდად გამოიყენა.

ყოველივე ზემოთქმული დოკუმენტურად საბუთდება. მე-20 საუკუნე დაიწყო ისე, როგორც იწინასწარმეტყველა ადამ სმიტმა — დომინირდება კერძო საკუთრება, რომელიც მოქცეული იყო საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ძალის არც თუ ისე ფართო ბაზარში. პირველმა მსოფლიო ომმა განაპირობა მათი კიდევ უფრო შემცირება. გერმანიაში წარმოიშვა ცნობილი *Kriegswirtschaft* (ომის მეურნეობა), რომელიც ლენინმა აიღო როგორც წარმოების და განაწილების სახელმწიფო დაგეგმვის მოდელი. არასდროს ცენტრალური ძალაფულებმა, არც მოკავშირეები არსად არ გამოსულან როგორც ინდივიდუალური ან შერეული კომპანიების საკუთრების ექსპროპრიატორები. სახელმწიფოს როლის გაფართოვება საუკუნის პირველ მეოთხედში მეტწილად სამოქალაქო (ცვილიზირებული) ეკონომიკის შექმნის მიმართულებით ხდებოდა. გერმანიის და იაპონიის მთავრობებმა, რომლებსაც არასოდეს არ ჰქონდათ ისეთი პირობები როგორც ინგლისს, თავიანთ შედარებით დაგვიანებულ ინდუსტრიულ განვითარებაში ბევრად უკეთესად გამოიყენეს სახელმწიფო ინვესტიციები. ასეთი პოლიტიკა დამახასიათებელი იყო რუსეთისთვის ოქტომბრის რევოლუციამდე და აღმოსავლეთ ევროპისათვის ვერსალის ზავის შემდეგ. ვიტეს მიერ ინდუსტრიისა და ტრანსპორტისათვის სახელმწიფო მხარდაჭერა და კარტელების განვითარება ამის კლასიკური მაგალითია. სტალინის მიწის რეფორმა იყო საკუთრების უფლებების უდიდესი გადანაცვლება პირველი მსოფლიო ომის წინა დეკადაში. პირველი მსოფლიო ომის დამთავრებასთან დაკავშირებულ ორ ყველაზე პოპულისტურ დასკვნას — სოციალურ სამართლიანობას და ნაციონალიზმს — ჰქონდა ეფექტი საკუთრების უფლებებისათვის, მაგრამ ამან მხოლოდ ოდნავ გადასწია ისარი კონტინენტალურ ევროპაში კერძო და სახალხო საკუთრებას შორის. მიწის რეფორმა ახლად შექმნილ, მაგრამ სათუთ საბჭოთა რუსეთში იყო სწრაფი და საყოველთაო. ლენინი მისიწრაფოდა ალიანსის პოლიტიკისაკენ („სმიჩკა“) მესაკუთრე გლეხებთან, რათა მოეხდინა მათი პოლიტიკური კონსერვატიზმის ნეიტრალიზება. სოფლის მაცხოვრებელთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სოციალ-რევოლუციონერებს დამფუძნებელ კრებაში რომელიც ბოლშევიკებმა ზიშტებით დაარბიეს. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიწის რეფორმა იყო ასეთივე ძლიერი, მაგრამ უფრო მშვიდობიანი, და დომინირებდა

პოლიტიკური ხერხები. იუგოსლავიაში და რუმინეთში რეფორმამ დაამსხვრია ყველა მსხვილი მამული, ხოლო პოლონეთში, უნგრეთში და ჩეხოსლოვაკიაში მხოლოდ რამდენადმე შეამცირა დიდი მამულები. ბულგარეთი რევოლუციის წინ უკვე იყო მცირე გლეხური მეურნეობების ქვეყანა.

მესაკუთრის შეცვლა არაფერმერული საკუთრებით პირველად დაიწყო საბჭოთა რუსეთში: „სამხედრო კომუნისმის“ პოლიტიკის შედეგად ფაქტობრივად ყველაფერი ექსპროპრიირებული იქნა. ცოტა ხანში, როგორც კი „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ დაიწყო, ისევ მომრავლდნენ მცირე საწარმოები და საბჭოთა მთავრობამ მოახდინა ურთიერთობების ნორმალიზაცია დასავლეთის სახელმწიფოებთან გენუასა და რაპალოში. ვერსალის კავშირმა, ტრიანონმა და სენ-ჟერმენმა ნება დართო მოკავშირე ქვეყნებს: ჩეხოსლოვაკიას, პოლონეთს და იუგოსლავიას დამტკიცებინათ ყოფილი მტრულად განწყობილი ქვეყნების საკუთრება (ავსტრია, გერმანია და უნგრეთი). ამ ქვეყნებმა საკუთრება გადასცეს ერს ხელში და მოახდინეს კომპანიების რეგისტრაცია. რუმინეთსა და იუგოსლავიაში სახელმწიფო იყო კაპიტალის ბაზრის მთავარი მონაწილე. ხდებოდა ქონების ვაჭანა. პოლონეთიდან ბევრმა გერმანელმა მესაკუთრემ მომგებიანი ქონება ვაჭანა შვეიცარიაში ან სხვა ქვეყნებში. რუმინეთის სახელმწიფო ჩაერია სამუშაო ძალის ბაზრის ფუნქციონირებაში და იმ საწარმოების სუბსიდირებას, უწყობდა ხელს, რომლებშიც დასაქმებული სამუშაო ძალის  $\frac{3}{4}$  მაინც რუმინელი იყო. სახელმწიფოსაგან „მხარდამჭერი“ პროგრამები საწარმოებისათვის გვხვდება აგრეთვე ბულგარეთში და იუგოსლავიაში. მეწარმეობა ჩეხურ მიწაზე კარგად იყო წარმოდგენილი და ჩეხოსლოვაკიის ახალმა მთავრობამ მათ საქმიანობაში ჩარევას მათი დამოუკიდებლობა არჩია. მაგრამ ბევრი, ნაკლებად შეძლებული სლოვაკური ფირმა, გახდა ბანკროტი ვინაიდან ადრე პროტექტირებულ ბაზარს უნგრეთის გვირგვინის ქვეშ მოჰყვა ბაზრის გაფართოება ახალი საზღვრების ფარგლებში. დეპრესიამ დაარღვია ჩეხოსლოვაკიის კონფედერაციალურობა და სახელმწიფომ შეცვალა მეწარმეობა მრეწველობაში მისი მთავარი გამოგონებით-კარტელიზაციით. 1930-იან წლებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი პოლონეთში უდიდესი იყო.

უნგრეთში 1936 წლის კაპიტალური დაბანდვების ოთხწლიანი გეგმა, რომელიც გამიზნული იყო მთელი ახალი სამრეწველო რეგიონის შესაქმნელად გიორის ახალმა პროგრამამ (1938—1943 წწ.) გახდა შეუძლებელი. აღმოსავლეთ ევროპაში იყო ისეთი გეგმები, რომლებიც იხრებოდა მარჯვნივ. სამხედრო მრეწველობით დომინირებული მთავრობები ასახვდნენ ორივე მხარეს, დაწყებული შახტის პოლიტიკით ნაცისტურ გერმანიაში და სტალინის ხტოწლიანი გეგმით დამთავრებული. ორივე ეს ძალაუფლება 30-იანი წლების შუახანებში ეყრდნობოდა ავტორიტარულ ეკონომიკას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ნაცისტურმა გერმანიამ შეინარჩუნა და იყენებდა კერძო საკუთრებას. ნაციონალიზაციის და კოლექტივიზაციის განხორციელებამ საბჭოთა კავშირში მოულოდნელად შეწყვიტა საუკუნის დაქანება სახელმწიფო საკუთრების უფლებისაკენ.

აქ უნდა განვიხილოთ კომუნისტური პარტიის მიერ პოლიტიკური მონოპოლიის მისაკუთრება და საკუთრების მონოსახეობა, თუმცა ჩემი მიზანია გამოვიკვლიო სახელმწიფო საკუთრების დონე მსოფლიო მასშტაბით.

1950 წლამდე წინა ოც წელიწადში სტალინის პირველი ხუთწლიანი გეგმის (1928/29-1931/1932 წწ.) მიერ აღკვეთილი იქნა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მიერ შემოღებული საქონლის ბაზარი. კოლექტივიზაციის და კერძო საკუთრების ურთიერთობების ლიკვიდაციის მეშვეობით კურსი აღებულ იქნა თვითურთუნველყოფადი დახურული ეკონომიკის შესაქმნელად. კაპიტალის ბაზარი მრეწველობის ნაციონალიზაციის, მონობანკის სისტემის პირობებში კომერციული კრედიტების აკრძალვის, მანეთის არაკონვერტირებულობის, უცხოური კონვერსიის დაუშვებლობის გამო ჩაკეტილი იყო. ყოველივე ამან განაპირობა „ადმინისტრაციულ-საკომანდო“ სისტემის ჩამოყალიბება. ორივე ეკონომიკურმა სისტემამ: საბჭოთა კავშირის სამხედრო ეკონომიკამ ერთი მხრივ და სამთა ღერძის სამხედრო ეკონომიკამ, მეორეს მხრივ დაშალა ბაზარი ყველგან 1939-სა და 1945 წლებს შორის. ბევრმა ომის შემდგომმა მთავრობებმა ევროპაში და აზიაში ვერ გააკეთეს რაიმე შემობრუნება. სახელმწიფოებრიობაზე ორიენტირებული ტენდენციები საბაზრო ეკონომიკის პირობებში იყო ეტლის მთავრობის მიერ ნაციონალიზაციის პოლიტიკა ბრიტანეთში, მონეტის საგეგმო კომისარიატი საფრანგეთში და მაჰალანობის დაგეგმვა ნერუს ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით ინდოეთში. გამონაკლისთა შორის შედიან დასავლეთ გერმანია თავისი სოციალური ბაზრის ეკონომიკითა და ბელგია თავისუფალი ეკონომიკით. მოსკოვის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი 1947 წელს აღნიშნავდა კიდევ, რომ დიდ ბრიტანეთს აქვს „გოსპლანის მსგავსი რამ“.

კერძო საკუთრების რაოდენობრივად ტოტალური უპირატესობის დასრულება იყო კომუნისტური რეჟიმების ჩამოყალიბება 1945—1949 წლებში აღმოსავლეთ ევროპის რვა ქვეყანაში.

საუკუნის ნახევარი გზა დედამიწის მოსახლეობის ორ მეხუთედზე მეტი წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებულობის იდეოლოგიის ქვეშ ცხოვრობდა. ლენინის ერთ-ერთი უპირველესი დეკრეტი „მიწის შესახებ“ კრძალავდა მიწაზე კერძო საკუთრებას, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპაში 1949 წლის შემდგომი მთავრობების ადრინდელ აქტებში უარყოფილ იქნა „უმიწობა“ მიწის რეფორმის მიღების შედეგად. მოგვიანებით ყველა ამ სახელმწიფოებში გარდა პოლონეთისა და იუგოსლავიისა ოფიციალური მესაკუთრე და მფლობელი-გამომყენებელი იყო სახელმწიფო, დომინირებული კი — კოოპერატივები და კომუნები. იუგოსლავიამ 1950 წელს შეცვალა სახელმწიფო მმართველობა მუშაკთა მმართველობით, მაგრამ კერძო კაპიტალი აქ არ გამხდარა „ფუნის თითებზე“ მეტი 1988 და 1990 წლის რეფორმების დაწყებამდე.

საკუთრების უფლებების თანაფარდობა სტაბილური იყო განსახილველი პერიოდის განმავლობაში. მარცხნივ: — სახელმწიფო საკუთრებისაკენ მიდრეკილება აღმოაჩნდა აფრიკასა და ნაწილობრივ ლათინურ ამერიკას, ხოლო მარჯვნივ — კერძო საკუთრებისაკენ ჩრდილოეთ ამერიკას, იაპონიასა და აღმოსავლეთ აზიას. 80-იან წლებში სასწორი მკვეთრად კერძო საკუთრებისაკენ გადაინხარა. რამდენიმე თვეში — 1978 წლის დეკემბრიდან 1979 მაისამდე — გამოიკვეთა ორი განსხვავებული შეხედულება. ის ჩინეთში დენ სიაოპინის ლიდერობას და მარგარეტ ტეტჩერის არჩევნებში გამარჯვებას დაუკავშირდა. ამ სახელმწიფოებში მართალია მკვეთრად განსხვავდებოდა პრივატიზაციის ობი-

ექტები, მაგრამ მათ „შეაგორეს სახელმწიფო ურიკა“ უკან. რესპუბლიკელების გამარჯვებამ აშშ-ში, ქრისტიანულ დემოკრატიული კავშირის, ქრისტიანულ სოციალური კავშირის გამარჯვებამ ფედერაციულ გერმანიაში, ევროპული კავშირის გაფართოებამ და გაღრმავებამ, ტოკიოს რაუნდმა და, იმედია აქვე ჩაეწერება ურუგვაის რაუნდი — განამტკიცა პროცესი ბაზრის გლობალიზაციის მიმართულებით. თვისებრივმა ნახტომმა ინფორმაციისა და კომუნიკაციების განვითარებაში ხელი შეუწყო მსოფლიო მასშტაბით ახალი კორპორაციების, კავშირების, გაერთიანებების ერას. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირი და მისი ექვსი მოკავშირე აღმოსავლეთ ევროპაში დაუბრუნდა იზოლაციის დაძლევის პოლიტიკას. მათი სახელმწიფო მონოპოლიის პრაქტიკამ და მათი პროტექციონიზმის პოლიტიკამ ეუს შიგნით გვიჩვენა რომ ამ ქვეყნებს არ შეუძლიათ იყვნენ უფრო მწარმოებლური ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნებში. შეიძლება მოვიყვანოთ ორი მაგალითი. მწარმოებლურობის საერთო მაჩვენებელი სსრკ-ში დაახლოებით 70-იანი წლებიდან მოყოლებული უარყოფითია. პრალის გაზაფხულზე ეკონომიკური ლიბერალიზაციის გამო პოლიტიკური ორგანიზაციების ბრძოლით შეშინებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ უარყო 1965 წლამდე არსებული მმართველობითი დეცენტრალიზაცია. მწარმოებლურობის ინდექსი ხრუშჩოვის და კოსიგინის განვითარების პოლიტიკის დროს იყო დადებითი. მეორე მაგალითია შიდა ვაჭრობა სამრეწველო საწარმოებს შორის, რომლის მიზანია გააფართოვოს მოხმარების ჯგუფების ვიწროდ განსაზღვრული ექსპორტი იმპორტის მიერ იგივეს ანაზღაურებით.

ინდექსი აღმოსავლეთ-აღმოსავლეთის და აღმოსავლეთ-დასავლეთის ვაჭრობაში არა მარტო დაბალია ვიდრე დასავლეთ-დასავლეთის ვაჭრობაში, არამედ იგივე საქონელი ეუხსის წევრისათვის არის კარგი ახსნა ინდექსის მოცულობის დაბალი ვარიაციისა.

საბაზრო ეკონომიკის სურათთან შედარებით საკუთარი ეკონომიკის ცუდმა მდგომარეობამ კომუნისტური მთავრობები კერძო საკუთრების რესტრუქციისაკენ შემოაბრუნა. ამან ცენტრალიზებული დაგეგმვისადმი ნდობა შეარყია. დაწყებული 60-იანი წლების შუა ხანებიდან ბოლო წლების კატაკლიზმებამდე აღმოსავლეთ ევროპაში სცადეს უამრავი, მაგრამ ძალიან შეზღუდული რეფორმების განხორციელება. ამ რეფორმების მარცხი გამოწვეული იყო „დუსენბერის ეფექტით“ („ცდა კმაყოფაზე გყავდეს შენი მეზობლები“). მათი მარცხი გამოიწვია აგრეთვე სამხედრო მოთხოვნილებების მზარდმა განვითარებამ სამოქალაქო ინოვაციებისა და დიდი კაპიტალდაბანდებების ხარჯზე. შედეგად რეფორმისათვის აუცილებელი იყო პოლიტიკური პირობების შექმნა. ამ გავებით მ. გორბაჩოვის არჩევა 1985 წელს ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ანდროპოვმა დროზე ადრე 1983 წ. გამოაცხადა „პერესტროიკა“ (მისი სიტყვით). ადრე გამოაცხადა იგი გორბაჩოვმაც, თუ ვიგულისხმებთ ეკონომიკისთან მიმართებას. ის ფაქტურად დაიწყო 1987 დასაწყისში, მაშინ როდესაც გორბაჩოვმა გააფართოვა ქვეყნის მმართველობის პოლიტიკა, რომლის შედეგებს დღეს ვხედავთ. პოლიტიკური რევოლუციის გარეშე, დღემდე რომ შფოთავს, საბჭოთა კანონმდებლობა არასოდეს დაუშვებდა კოლმეურნეობების, ან საბჭოთა მეურნეობების მიწების განკარგვას. ეს არ მოხდებოდა, სანამ კანონი არ დაუშვებდა ყველა სახის საკუთრებას. საბჭოთა კავშირში მასობრივი პრივატიზაცია ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ კანონების მომზადებას უკვე აქვს ადგილი.

აღმოსავლეთ ევროპის რევოლუციების ანალიზი არის ობიექტი საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის დღეს და ისტორიკოსებისათვის ხვალ, მაგრამ უკვე გარკვეულად გადაწყვეტილია, რომ მოხდება სახელმწიფო ქონების გადაცემა კერძო ან კორპორაციულ საკუთრებაში და საუკუნის ბოლოსათვის საკუთრების ისარი იმოძრაებს თავის საწყის წერტილთან საუკუნის დასაწყისში. საკუთრების უმნიშვნელო რყევა შეიმჩნეოდა ადრეულ საუკუნეებში. მეოცე საუკუნე გამოირჩევა ცვლილებების მაგნიტუდით, ივლისსმება არა მარტო მრავალფეროვნებით კერძოდან საზოგადოებრივამდე, არამედ აგრეთვე ბაზრის, სადაც მოქმედებენ ამ საკუთრების უფლებები, კომპოზიციის სიუხვე. საკუთრების ფორმების ცვლილების დროს გასათვალისწინებელია მდგომარეობა საქონლის, სამუშაო ძალისა და კაპიტალის ბაზარზე. რა ელის ხალხს კეთილდღეობის დონეს, რომელიც დამოკიდებული იქნება სუფთა საბაზრო ფასების პირობებში საქონლის და მომსახურების გადაადგილებაზე. საქონლისა და მომსახურების ნაკადი დაადგენს კეთილდღეობის დონეს. თუმცა არსებობს სხვა სერიოზული სოციალური არჩევანი, რომელიც ხორციელდება ორ სხვა — სამუშაო ძალისა და კაპიტალის ბაზარზე. ხალხებს და მთავრობებს აღმოსავლეთ ევროპაში და საბჭოთა კავშირში უპირველეს ყოვლისა აწუხებს სამსახურის შენარჩუნების საკითხი, რომელიც სასწორზე დგება უმუშევრობის რისკისა და შემოსავლების დიფერენციაციის გაფართოების გამო. არსებობს სუბსიდირებული დაბანდებები, რაც სუბსიდირებული მომხმარებლისათვის საქონლის შეძენის საშუალებას იძლევა. ეს სისტემა ცვალებადი კაპიტალის ბაზრის წინააღმდეგია და ზოგიერთს აძლევს სუპერმოგებას, სხვები კი ბანკროტები ხდებიან. ზოგიერთი აღმოსავლეთი ევროპის მთავრობა ცდუნებით არჩევანს მცირე მასშტაბზე აკეთებს. პარალელი: ნაცისტურმა გერმანიამ 1930 წლის ბოლოს მაღალა დასაქმების სუფთა ბალანსს და აღკვეთა უმუშევრობა.

მეოცე საუკუნის განმავლობაში სამი ბაზრის — საქონლის, სამუშაო ძალის და კაპიტალის მდგომარეობა შეიცვალა. პირველ მსოფლიო ომის დაწყების წინ იმ ემიგრანტთა რაოდენობა, რომლებიც სხვა კონტინენტებზე მუშაობდნენ იყო შესატყვისი ევროპის მთლიან ექსპორტთან. თუ დავუმატებთ მიგრაციას ევროპის შიგნით, სამუშაო ძალის ბაზარი უსწრებდა საქონლის ბაზარს, რამაც განაპირობა ტრანსნაციონალური კაპიტალის დაცემა ევროპის ფარგლებს გარეთ. ამ საუკუნის ბოლო მეოთხედში — საერთაშორისო კაპიტალის ბაზარი არის ბევრად უფრო დიდი ვიდრე საქონლის ექსპორტი, მაშინ როდესაც ტრანსნაციონალური სამუშაო ძალის ბაზარი არის უმცირესი.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობების გაუარესებამ 80-იან წლებში გამოიწვია შემდეგი თანმიმდევრობა: — პირველ ადგილზე იყო საქონლის ექსპორტი, მეორეზე კაპიტალისა და მესამეზე სულ უმნიშვნელო სამუშაო ძალის ექსპორტი. ბოლო ათწლეულში აშშ იმიგრაციის 80% მოდიოდა აღმოსავლეთ ევროპაზე. ამდენივე იყო 1924 წლის შეზღუდვამდე. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში მილიონობით მიგრანტები ოკეანის გაღმა განახევრდა 20-იან წლებში. ევროპის შიგნით მიგრაცია 30-იან წლებში იყო უმნიშვნელო: საბჭოთა ავტორიტარებმა საერთოდ აკრძალეს ემიგრაცია. იგივე გააკეთეს აღმოსავლეთი ევროპის კომუნისტურმა მთავრობებმა ომის შემდეგ; ომმა გამოიწვია სამუშაო ძალის დიდძალი გადაადგილება, რომელიც არ უნდა განვიხილოთ როგორც სამუშაო ძალის ბაზარი. აღმოსავლეთ ევროპის მუშახელი გამოიყე-

ნებოდა ნაციისტური გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში. საბჭოთა კავშირის ავტარქიამ, ეუს ინტეგრაციამ და დასავლეთის ემბარგომ — ყოველივე იმან რამაც გამოიწვია კონფრონტაცია ცივი ომის დროს შეზღუდა ვაჭრობა, რამეთუ საყოველთაო ნაციონალიზაციამ შეზღუდა კაპიტალის მოძრაობა.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობებში დღეს ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი დაბანდებულია ვაჭრობაში — 1989 წლის მონაცემებით 42 მილიარდი დოლარი ორთავე მიმართულებით, რაც მსოფლიო ვაჭრობის მხოლოდ — 20% შეადგენს. აღმოსავლეთ-დასავლეთის კაპიტალი ეცემოდა ყოველწლიურად 8 მილიარდი დოლარით წელიწადში, ხოლო სამუშაო ძალასთან დაკავშირებული გადასახადი (ემიგრანტების და ექსპატრიატების მიერ ფულის გადაყვანა და ინტელექტუალური საკუთრების შემოსავლისაგან) ამ თანხის ნახევარზე ნაკლებია. კომუნისტების საზღვრები იყო დახურული და მათ შორის ვინც გადაკვეთდა მას ლეგალურად თუ არალეგალურად პოლიტიკური თავშესაფრისათვის მხოლოდ ერთეულებს შესწევდათ მუშაობის უნარი. ეხლა როდესაც პოლიტიკური ობსტრუქციის დაშლის დრო დგება, იმედია, რომ სამივე ბაზარი აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის აღდგება აღმოსავლელების მოლოდინისა და დასავლელების პოტენციალის მიხედვით.

ვალუტის არაკონვერტირებულობა არა მარტო აზნობს ვაჭრობას არამედ იწვევს კაპიტალის დაცემას. თუ ქვეყანას ექსპორტზე გააქვს იმდენივე რამდენიც შემოაქვს იმპორტით — მან შეიძლება მიიღოს მოგება, რომელიც რიკარდომ გამოიცნო, მაგრამ საკუთრების ფაქტორი შეუხებელი რჩება. ბალანსის დარღვევას ადგილი ექნება საკუთრების უფლებების გადაცემისა და გადაუხდელობის შემთხვევაში. იმპორტის დეფიციტის მიზეზის გამო უცხოელები ყიდულობენ მიწას, ბუნებრივ რესურსებს ან აღწარმოებდა კაპიტალს, ან სესხად აძლევენ ფინანსურ აქტივებს. ვინაიდან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, როგორც ჭგუფი (საბჭოთა კავშირის გამოკლებით) არიან სტრუქტურულ დეფიციტში საუკუნის განმავლობაში, მათი ქონება სწრაფად და დიდი რაოდენობით გახდება უცხოელების საკუთრება. ის რომ აღმოსავლეთ ევროპის კაპიტალის მარაგის ერთ პროცენტზე ნაკლები შეადგინა დღეს უცხოურმა საკუთრებამ არის 30-იან და 40-იან წლებში კონფრონტაციის, მორატორიუმისა და ძალისმიერი კონვერსიის შედეგი.

საკუთრების უფლებების გაწყვეტის შედეგად უცხოური დავლიანება ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს იყო ომამდე. არაპრაქტიკულია დავუბრუნდეთ პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდს, ვინაიდან მესაკუთრეები მაშინ იყვნენ დიდი იმპერიების ფარგლებში და ისინი ცალცალკე არაა მოცემული საერთაშორისო განხარისებებში. მიუხედავად ამისა 1913 წლის დონე არის ჰკუის სასწავლებელი. უცხოური საკუთრება რუსეთის ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში 35% შეადგენდა. უფრო მაღალი იყო ეს მონაცემი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. 30-იან წლების დეპრესიის ზღვარზე მან უნგრეთში, რუმინეთში და იუგოსლავიაში 70%, ხოლო ბულგარეთში დაახლოებით 40% შეადგინა. უფრო ზომიერი დონე იყო პოლონეთში (25%) და ჩეხოსლოვაკიაში (15%) თუმცა ამ ქვეყნებში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი უფრო მაღალია ვიდრე იტალიაში (6%). კომუნისტური სახელმწიფოების სესხის შესაღარებელი დონე 1970-იან წლებში არის ნაკლები ვიდრე 60 წლის წინათ. 1978 წელს მიღწეული მაჩვენებელი იუგოსლავ-

ვიაში შეადგენდა 34%, უნგრეთში 28%, პოლონეთში 19%, ბულგარეთში 15% და 4% ჩეხოსლოვაკიაში. რუმინეთმა 1982 წელს შეცვალა სესხების შთანთქმის 70-იანი წლების პოლიტიკა. ჩაუშესკუს ეკონომიკური დაწოლის პოლიტიკით 1989 წლის დასაწყისში რუმინეთმა მოიშორა სავარეო ვალი და გადაიხდა ყველაფერი, მაგრამ მისი დასავლეთთან ერთობლივი წარმოება დაქვანა. ჩეხოსლოვაკიას ადრეც და ახლაც ყველაზე ნაკლები დავალიანება ჰქონდა აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის. ეს იყო გამონაკლისი ქვეყანა რეგიონში. 1968 წლის მოვლენების შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური ხელმძღვანელობა ზედმეტად ფრთხილი გახდა დასავლეთთან ურთიერთობაში. ჩეხოსლოვაკიის ძვირად უჯდებოდა სავარეო დავალიანების პოლიტიკის ჩატარების არაკომპეტენტურობა. დაიწყო რა დამოუკიდებლობა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის სამრეწველო პოტენციალის ნახევრით (მოსახლეობა კი მხოლოდ მეოთხედს შეადგენდა) ჩეხოსლოვაკია აწარმოებდა ექსპორტს (20-იან წლებში მას იგი ყოველწლიურად 11% ზრდიდა) და არ მიმართავდა მოწყობილობის იმპორტს საწარმოთა მოდერნიზაციისათვის. სავარეო დავალიანების მაგივრად იყო გამოსყიდვა, საშინაო ფირმებს დაუბრუნდა უცხოელ მფლობელთა წილი და უცხოური ვალუტის გაყიდვით მტკიცდებოდა კრონის გადაჭარბებული რაოდენობა. დებრესის პერიოდში ჩეხოსლოვაკია იყო უმძიმესი დარტყმა ყველა ევროპული სახელმწიფოებისათვის, რამეთუ მისი მოძველებული კაპიტალი იყო სუსტი ადგილი მოწინააღმდეგეებთან კონკურენციაში. ჩეხოსლოვაკიამ კვლავ დაუშვა იგივე შეცდომა 1948 წლის კომუნისტური გადატრიალების შემდეგ: მან დაუკავშირა თავისი ექსპორტი საბჭოთა კავშირს, გადააჭარბა ვალუტის მოცულობას და არ განახორციელა საწარმოო ფონდების მოდერნიზაცია. ორივე პერიოდში შესაძლებელი და მომგებიანი უცხოური სესხი უგულვებელყოფილი იყო.

ექვე აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოსათვის დავალიანების ნახევარზე მეტი დაიწყო ომის წინ. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ომის წინათგამოცემული ობლიგაციები. ახალმა საბჭოთა სახელმწიფომ თავი დააღწია ასეთ ვალდებულებებს ვინაიდან უბრალოდ უარი თქვა ცარიზმის მიერ აღებულ ყველა სესხზე და მოახდინა ყველა უცხოური საკუთრების ნაციონალიზაცია კონპენსაციის გარეშე. სწორედ ამ პოლიტიკამ დაუხურა მას კარები დასავლეთის კაპიტალის ბაზარზე, მაგრამ როდესაც საქონლის ბაზარი გახსნილი იყო ლენინის 1921 წლის ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, საბჭოთა დელეგაცია გენუის კონფერენციაზე (1922 წ.) მზად იყო ელიარებინა ყველა უცხოური მოთხოვნები 1914 წლის დასაწყისამდე არსებული დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის და დასავლური სესხების მიღებისათვის. თუმცა დიდი გადაწყვეტილებების დრო მაინც არ დამდგარა გორბაჩოვის მიერ დასავლეთისათვის ბაზრის გახსნის პოლიტიკამდე. აღმოსავლეთ ევროპის დავალიანება დაგროვდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ნაწილობრივ საჭირო სტაბილიზაციისათვის ეროვნებათა ლიგის პროექტის ქვეშ და ნაწილობრივ — მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარებისათვის. საბაზრო კრაზისების მიზეზითა დასავლურ საქონელზე მოთხოვნილების (ფასების) დაცემა, რაც გამოწვეულია კაპიტალის მოძრაობის შეწყვეტითა და ვაჭრობის განვითარების გაჩერებით. თეორია „ეკონომიკური მიუნჰენი“, გულისხმობს რომ დასავლური კაპიტალი დაბრუნდა გერმანიის სასარგებლოდ, ისევე როგორც დასავლეთის

მთავრობებმა დაუტოვეს ჩეხოსლოვაკია პიტლერს. პიტლერის — უფრო სწორად შახტის — პოლიტიკამ შემოაბრუნა ფონდების ნაკადი: გერმანია კი არ აბანდებდა ინვესტიციებს აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ პირიქით — აღმოსავლეთ ევროპა ახდენდა კაპიტალდაბანდებებს გერმანიაში. ეს იყო მიღწეული, რადგან სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გაზარდეს სესხები ნაციისტური გერმანიისათვის ცნობილი რეიხმარკის სუფთა ანგარიშებით. კაპიტალის ამგვარი ექსპორტი გადაიარაღებასთან ერთად „უიდულობს“, უზრუნველყოფს საშინაო დასაქმებას. ვაჭრობას ჰქონდა პოლიტიკური მნიშვნელობა. აღმოსავლეთ ევროპაში ვაჭრობის დაქვეითება უფრო მკვეთრი იყო ვიდრე დასავლეთში და მისი აღდგენა აქ მოგვიანებით მოხდა ვიდრე დანარჩენ კონტინენტზე. ექსპორტი აღმოსავლეთის ქვეყნებში 1937 წელს შეადგენდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 50-75%-ს რუმინეთში ის შეადგენდა 75%-ს სამუშაო ძალის დაბალი ღირებულების და იმპორტის შეცვლილი პოლიტიკით ბევრი დაკარგა აღმოსავლეთ ევროპის ერებმა. სამართლიანი ინვესტიციების მეშვეობით მათ 1937 წლისათვის აღადგინეს კრედიტის მოზღვაგების დროს დანაკარგები. საბჭოთა კავშირმა ნამდვილი ავთარქია განახორციელა უკვე 1937 წელს. ექსპორტით გაჰქონდათ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნახევარი. თუმცა საბჭოთა კავშირი მაინც ვერ გაექცა შახტის ხაფანგს. სსრ კავშირი გერმანიას აწვდიდა მისთვის საჭირო ექსპორტს და იხდიდა კლირინგს რეიხმარკებში.

მეორე მსოფლიო ომის დროს აღმოსავლეთ ევროპის მშრომელები ექსპლუატაციას განიცდიდნენ და მათი საწარმოო ფონდები შემცირდა, მაგრამ შედეგები (მაჩვენებლები) მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა: მაშინ, როდესაც პოლონეთმა და სსრ კავშირმა დაკარგა თავისი საწარმოო ფონდების დაახლოებით მესამედი, ბულგარეთმა და იუგოსლავიამ განიცადეს მნიშვნელოვანი დანაკარგები, რუმინეთმა კი უმნიშვნელო. ამ დანაკარგების ანაზღაურებისაკენ იყო მიმართული მარშალის გეგმა, მაგრამ სტალინმა იგი მალე დაამთავრა. მან აკრძალა მარშალის გეგმის განხორციელება. დასავლური საკუთრება აღმოსავლეთ ევროპაში ექსპროპრიირებული იქნა და საბჭოთა „შერეული კომპანიების“ კომბინაციამ და იძულებითმა ფასებმა შექმნეს საბჭოთა კავშირის ბლოკის შიგნით მოვაჭრე ქვეყნები. სტალინის სიკვდილის შემდეგ ეუს ფასების შეთანხმებამ (ბუქარესტი 1958 წ.) საბჭოთა კავშირი აქცია ფინანსურ დონორად: 70-იანი წლების განმავლობაში აღმოსავლეთის ექვსმა სახელმწიფომ საბჭოთა კავშირისაგან მოგების სახით მიიღეს იმდენი, რამდენიც მათ მიიღეს დასავლეთისაგან კრედიტების სახით. ეს თანხა ორივე შემთხვევაში დაახლოებით 70 მლრდ დოლარს შეადგენდა, ასეთი შიდა ნაკადი სტიმულს აძლევდა „იმპორტზე მიმართულ“ ზრდას. დასავლური საწარმოო საქონელი იყიდებოდა კრედიტებზე და შიდა ინვესტიციები განპირობებული იყო სსრკ-დან შემოტანილი იაფი ნედლეულით. მხოლოდ ამ უკანასკნელის საფუძველზე იყო შესაძლებელი ქარხნებისა და ფაბრიკების მოდერნიზაცია ექსპორტისათვის კონკურენტუნარიანი საქონლის საწარმოებლად და კრედიტების დასაფარავად. ამ პოლიტიკამ მარცხი განიცადა, რამეთუ მან ვერ განკურნა სისტემური დისფუნქციონირება და ხელი შეუწყო დავალიანებების 1981/1982 წლების კრიზისს. ესლა შეიძლება იწინასწარმეტყველო რომ თუ დენაციონალიზაცია უფრო პროდუქტიულად განხორციელდებდა აღმოსავლეთ ევროპაში, მაშინ შემოვა დასავლეთის კაპი-



ტალი: საკუთრების უფლებების განთავისუფლება უცხოელი მყიდველებისათვის იძლევა პოტენციურად კაპიტალის მოდინების ზრდის მეტ შესაძლებლობებს, ვიდრე სასესხო კაპიტალის სახით ინვესტიციების დროს. აღმოსავლეთ ევროპის საბანკო სისტემის კომერციალიზაცია რომ შედეგადად იყოს არაა საკმარისი საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტაბილური სესხები, ან კრედიტები. ეხლა უკვე ისმება კითხვა რომელ ქვეყანაში დავაბანდოთ ფული? ეს იმიტომ რომ მთელი აღმოსავლეთ ევროპის მთავრობებს უკვე აქვთ პრივატიზაციის კანონი ან მისი განხორციელების გადაწყვეტილება. ყველა ეს ქვეყნები ახდენენ უცხოური კაპიტალის შემოსვლის ლიბერალიზაციას. საბჭოთა კავშირში ამბიციური „500 დღის რეფორმის“ პროგრამა, რომელშიც ელცინა გორბაჩოვთან კავშირშია, იხილავს მნიშვნელოვან პრივატიზაციას. უფრო მეტად ლიბერალური კანონი უცხოურ ინვესტიციების შესახებ არის საკანონმდებლო მილსადენში.

მსოფლიოში არც ერთ ქვეყანაში ამჟამად არ მიდის დენაციონალიზაცია, იგი აქტუალურია მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპისათვის და განსაკუთრებით სსრ კავშირისათვის. საბჭოთა კავშირი ახდენს ეროვნული ქონების განსხვავებას, მათ შორის დასავლეთ ინვესტორებზე. სახალხო შეგნება, რომ ესაა გამოსავალი, თანდათან ფართოვდება. თუმცა ისმება მთავარი შეკითხვა ვის? მხოლოდ მუშებს თუ ყველა მოქალაქეს უნდა მიეცეს ერთობლივი ქონების წილი (აქციები), ხოლო სახელმწიფოს კი ეჭირის ბუნებრივი რესურსები ეროვნული საკუთრების ქვეშ. ახალი დემოკრატია იწვევს მუშათა კლასის მოძრაობაში შედეგებს. მიწის კერძო საკუთრების განმსაზღვრელი ზომით დაბრუნება სადაო პოლიტიკური გამოსავალია და ალბათ შეუძლებელია მისი განხორციელება სსრკ-ში და უნგრეთში.

ასე რომ ცვლილებები საკუთრების უფლებებში ეხლა მოიცავს შეფასების პრობლემას, რომელიც არაა გათვალისწინებული მარქსის ღირებულების თეორიაში. სახელმწიფო მონოპოლისტურმა მართვამ, საშინაო და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მკვეთრმა გამოიწვია ზოგიერთი შეფასება განადა ნეგატიური. მაგალითად ვაჭურუკიანების თავიდან ამორების ხარჯებმა ან სხვა ეკოლოგიურმა ზიანმა შეიძლება გადაწონოს დანადგარების ფასი, ან ქარხანა შეიძლება იყოს ისე ამორტიზებული რომ არ იყოს კონკურენტუნარიანი სახელმწიფო სუბსიდიების გარეშე.

ქონების არასწორი შეფასება აღმოსავლეთ ევროპის და საბჭოთა კავშირის სავალუტო პრობლემების ერთ-ერთი მიზეზია. დროის ნიშნულებითა და გამოცდილების ამპლიტუდით საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპა წააგავს მხოლოდ ლათინურ ამერიკას. სამი კატეგორია — ფასი, გაცვლითი კურსი და ფულის მერყეობა სერიოზულად აფერხებს ურთიერთდაკავშირების მექანიზმს საშინაო და საგარეო სექტორს შორის და საშინაო წარმოების სტრუქტურებს შორისაც.

ფასების ფლუნქტუაცია შეიძლება იყოს განსხვავებული ორივე მიმართულებებით. უნგრეთს ჯერ კიდევ 1946 წელს ეჭირა მსოფლიო რეკორდი გიპერინფლაციაში: ახალი ფორინტი იცვლებოდა ძველ პენგოსთან შედარებით: ათი 36-ის ძალასთან. 1929 და 1933/35 წწ. შორის დეფლაცია მთელი ღირებულების ჯამის ნახევარი იყო ბულგარეთში, პოლონეთში და რუმინეთში. მათი ინდექსი იმ დროისათვის არ იყო რეკორდული: ბელგიაში და იაპონიაში, მაგა-

ლითად, საქმე უარესად იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაცემისა და ინფლაციის პიკები საერთო იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და სსრ კავშირისათვის. 1924 წელს მანეთი სტაბილიზაციის შემდეგ შეცვლილ იქნა 1921 წლის 50 მილიარდ მანეთზე. ეს არც თუ ისე ცუდი მაჩვენებელია. ვერმანიაში ახალი რეისმარკით შეცვალეს 1000 მილიარდი მარკა. წამყვანმა ეკონომისტმა, ტროცკის მხარდამჭერმა, ევგ. პრეობრაჟენსკიმ, გამოაცხადა, რომ ინფლაცია ესაა „ფინანსთა კომისარიატის ტყვიამფრქვევი“, რომელიც უტყვეს ბურჟუაზიულ სისტემას ზურგიდან და იყენებს ამ სისტემის სავალუტო კანონებს რათა დაანგრის იგი. ინფლაციის გამომწვევე მიზეზები ზოგჯერ იყო სპეციფიკური საბჭოთა „სამხედრო კომუნიზმისათვის“. ახალგაზრდა ბოლშევიკური ხელმძღვანელობა მზად იყო მოესპოთ ფული მთლიანად. მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ „ფულის ფარდა“ ფარავს რეალურ ურთიერთობებს ექსპლოატატორთა და ექსპლუატირებულთა შორის და ის არაა საჭირო როდესაც არ იქნება კერძო საკუთრებითი ინტერესები და როცა არ იქნება არც ექსპლოატაცია და არც გასხვისება. მათი აზრით, ფულის მოძრაობა არაა საჭირო ეკონომიკისათვის, რომელიც, ლენინის აზრით, მოწყობილია როგორც „ერთი დიდი ქარხანა“, სადაც საქმარისია შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვა. 1920 წლის გეგმით ფული უნდა გამოყენებული ყოფილიყო მარტო როგორც „შრომის ერთეული“. მხოლოდ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დროს იქნა გადადგმული ნაბიჯი ბაზრისაკენ. ფულის უარყოფის ცდა შეინიშნებოდა პირველი ხუთწლიანი გეგმის სისტემაშიც, როცა სამხედრო სტილის კომპანიები იყვნენ მოდაში. ეს იმისკენ იყო მიმართული რომ მოეხდინათ სამრეწველო რესურსების მობილიზაცია და განეხორციელებინათ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივიზაცია. საბჭოთა დაგეგმვის ეპოსი და მექანიზმი პოლონელმა ეკონომისტმა, ოსკარ ლანგემ განაზოგადა როგორც ომის ეკონომიკა. თუ გეგმავები თავიანთი შეხედულების მიხედვით ანაწილებენ რესურსებს — საქონელს, საშუალო ძალას და კაპიტალს — მაშინ ფასის მოქნილობა არა თუ საჭირო არაა, არამედ პირიქით შესაზღუდველია. ასეთი განსხვავებული დამოკიდებულება ფულისადმი გვევლის ჩვენ გავიგოთ ფაქტიურად ფულის უწყვეტი მერყეობის მიზეზები კომუნისტური წყობის დროს.

ფულადი დაუბალანსებლობა გვხვდება საბაზრო სისტემაშიც, მაგრამ მაშინ თუ შეიქმნა ეკონომიკაში არანორმალური პირობები, ამ შემთხვევაში მთავრობა ცდილობს მოხსნას ეს არანორმალურობა. სსრ კავშირმა და აღმოსავლეთ ევროპამ გამოსცადეს მერყეობა ორივე შემთხვევაში: როგორც ბაზრის, ისე ბაზრის გარეშე პირობებში. კომუნისტური მთავრობები ინფლაციის საშინოვანების გავლენით ხშირად ფულის რეფორმის მეშვეობით კონფისკაციას ახდენდნენ, მაგალითები: საბჭოთა კავშირში 1947 წლის, პოლონეთში, ბულგარეთში, რუმინეთში 1950-1952 წლების რეფორმების დროს უპირობო კონფისკაციას ჰქონდა ადგილი. იგივე მოხდა აღმოსავლეთ გერმანიაში მაშინ, როცა აგვისტოში აღმოსავლეთის მარკების მფლობელებს გარკვეული შეზღუდვით შეეცვალათ ერთი ერთზე დოიჩმარკა, მაგრამ ამ ლიმიტის ზევით ერთი ორზე. დღეს კვლავ ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირში ფულის რეფორმაზე, როგორც შესაძლებელ გადაწყვეტილებაზე, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერ-მინისტრმა განაცხადა რომ ეს არ არის არჩევანი. მორატორიუმი ფინანსურ ანაბრებზე გამოიყენებოდა ადრეც. 1918 წ. და 1957 წ. განადგურებული მეფის მთავრობა. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1991, 1

ბის ობლიგაციები ღირებულებით ქვეყანაში არსებული მატერიალურა პროდუქციის ნახევრის ღირებულების ეკვივალენტური იყო. 1957 წელს გაყინული სახელმწიფო სესხი შეადგენდა მოსახლეობის ხელში არსებული შემოსავლების დაახლოებით ნახევარს.

აღმოსავლეთ ევროპის მთავრობები ყოველი მსოფლიო ომის შემდეგ ასწორებდნენ მათ ფულად სისტემას არა მარტო ინფლაციისაგან, არამედ იმისათვისაც რომ იცვლებოდა მათი საზღვრები. ჩეხოსლოვაკიამ, პოლონეთმა, რუმინეთმა და იუგოსლავიამ აიღეს მიმოქცევაში წინათარსებული ეროვნული ადმინისტრაციების ვალუტა და დაიმკვიდრეს მათი ავტორიტეტი. სტაბილიზაცია ყოველი ომის შემდგომ პერიოდში, ისევე როგორც ომის დროინდელი ფულადი გაუგებრობა (მოშლილობა), თავისთავად არის ისტორია, მაგრამ ზოგიერთ სახელმწიფოში ნორმალურ მდგომარეობამდე დასაბრუნებელი დრო უფრო ხანგრძლივი იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. ასე, მაგალითად სტაბილიზაციის პერიოდი 1918 წ. შემდეგ რუმინეთის ლეისათვის გაგრძელდა 1929 წლამდე, იუგოსლავიის დინარისათვის 1931 წლამდე. ლეის სტაბილიზაცია განსაკუთრებით ხანგრძლივი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. იგი დასრულდა 1952 წელს. აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყნის ფულის სისტემის მომდევნო სტაბილიზაცია კომუნისტური წესწყობილების ქვეშ განსაზღვრა მკაცრმა ადმინისტრაციულმა — როგორც საცალო, ისე საბითუმო ვაჭრობაში — ფასებმა. ინფლაციის შეზღუდვას იწვევდა არა ბაროუ-გროსსმანის ნეგატიური სამუშაო ძალის მხარდამჭერი მაჩვენებლის მიხედვით მოქმედება, არამედ ის რომ სამუშაო ძალის ბაზარი იყო დამახინჯებული. ბოროტების წყვილია ქრონიკული ჭარბი მოთხოვნა და ქრონიკული არასაკმარისი მიწოდება. იგი განასხვავებს წონასწორობას მფლობელთა შემოსავლებს და წაგებას, საწარმოების ფინანსებს და საზოგადოებრივ ანგარიშებს შორის. საქონლის ბაზარი იყო სერიოზულად დაუბალანსებელი და ბოლოს, საშინაო ბაზრის იზოლაცია მსოფლიო ბაზრის კავშირებისაგან შესაძლებელს ხდიდა ფულს ჰქონოდა მრავალი გაცვლითი კურსი: უარეს შემთხვევაში იმდენი რამდენიც საქონელი იყო ქსელში. ეს იწვევდა აბსოლუტურ არაკონვერტირებულობას. მხოლოდ სახელმწიფოს შეეძლო გასულიყო მსოფლიო კაპიტალის ბაზარზე. ვერ იქნა გამოჩნული ავტომატურად გასვლის მექანიზმი.

აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა ახლა რათა მათ მოახდინონ მოდერნიზაცია, გახადონ საწარმოო ფონდები კონკურენტუნარიანი და გაასწორონ მათი გადასახდელი ბალანსის დეფიციტი, დასავლეთის კაპიტალის უზარმაზარ ნაკადს საჭიროებს. უკანასკნელ ხანებში ნავთობის ფონდებმა გააუარესეს ეს დეფიციტი. სახალხოდ არჩეულ მთავრობებს ახლა არ სურთ გააფართოვონ ენერგეტიკული წარმოება ბირთვული ელექტროსადგურებით ან გააქუჩყიანონ ქვანახშირის თბოსადგურებით. მომავალი იანვრიდან აღმოსავლეთ ევროპის გაზის და ნავთობის მთავარ მიმწოდებელი სსრკ აწარმოებს თავის ექსპორტს მხოლოდ მსოფლიო ფასებში და იყიდის იმპორტს აღმოსავლეთ ევროპის მანუფაქტურას იმავე ფასების მასშტაბით მსოფლიოზე უფრო დაბალ ფასებში. ამ მოსალოდნელ სავაჭრო ტენდენციას შეუძლია საბჭოთა კავშირის მისცეს 10 მილიარდი დოლარი მოგება. ამას დაემატება ენერგეტიკის ფასის გაზრდა შუა აღმოსავლეთის კონფლიქტის შედეგად.

დასავლეთი ყოველთვის ეხმარებოდა აღმოსავლეთ ევროპის კავშირის რეკონსტრუქციას და განვითარებას ევროპის ბანკისა და საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში წევრობის მეშვეობით. მაგრამ გახსნილი საკუთრების უფლებები გამოიწვევს კერძო კაპიტალის უფრო დიდი წვლილის შეტანას აღმოსავლეთის განვითარებაში. მინიმალური პირობები დასავლეთის ბანკებისა და ფირმებისა დიდადა დაკავშირებული კონვერტირებული ხელფასების სისტემასთან. აღმოსავლეთ ევროპაში მოკვებაზე საგადასახადო ლიმიტები შემოაბრუნებს ხოლმე კაპიტალური დაბანდების ნაკლს.

სსრკ-ს და კომუნისტური აღმოსავლეთ ევროპის მიერ დასავლეთის კაპიტალის, ტექნოლოგიისა და მმართველური ექსპესტივის უარყოფა იყო ორი გაერთიანებული პოლიტიკური მოტივის — ავტოკრატიის და იდეოლოგიის შედეგი. სხვა აზრისა და სხვანაირი საქმიანობის ლიკვიდაცია ოლიგარქიის წესია. დიქტატორი სტალინი ამის კერძო შემთხვევაა. პრივატიზაცია და დასავლეთის კაპიტალისადმი მობრუნება გააბნევს ცენტრალურ გადაწყვეტილებებს და გააძლიერებს პარალელურად დემოკრატიზაციას. მოკლედ საკუთრების უფლებების დიფუზიამ შეიძლება გაააქტიუროს მოქალაქეობრივი უფლებები.

დასავლეთის მესაკუთრეების გათიშვას აქვს იდეოლოგიური ბაზა. მარქსის მიხედვით კერძო საკუთრება ბადებს ექსპლოატაციას. კაპიტალიზმი ლენინის მიხედვით იყო შინაგანად იმპერიალისტური, მარქსის ისტორიული დიალექტიკის პოსტულატი, რომ პოლიტიკურმა სუპერსტრუქტურებმა უნდა უზრუნველყონ წარმოებითი ურთიერთობების შესაძლებლობა (წარმოების ფაქტორები მესაკუთრეები) — რათა მაქსიმალურად გამოყენებული იქნას საწარმოო ძალები. ფეოდალიზმს არ შეუძლია მართოს ინდუსტრიალური რევოლუციის მეშვეობით გამოწვეული ეკონომიკური შესაძლებლობები და დააარსოს ბურჟუაზიული წესი. ოთხმა ათწლეულმა სახელმწიფო მონოპოლიისა აღმოსავლეთ ევროპაში და ექვსმა ათწლეულმა საბჭოთა კავშირში უჩვენა საკომანდო ეკონომიკის უძლურება შეეჯიბროს პოტენციალთან შესაბამისი ტექნოლოგიით, წარმოებით და კომუნიკაციით დასავლეთს. პოლიტიკურმა მექანიზმებმა და პოლიტიკურის სტრუქტურებმა უნდა, მარქსისტული დიალექტიკის მიხედვით, შექმნან ინსტიტუტები, რომლებსაც ძალუძთ აითვისონ თანამედროვე კორპორაციული მეწარმოება. ბოლო წლების მიმდინარე რევოლუციები ანადგურებენ მარქსიზმს, მაგრამ ისინი ამასთან ამტკიცებენ მარქსის სიმართლეს.

M. KEIZER

## ПРАВА СОБСТВЕННОСТИ И ЗАДОЛЖЕННОСТЬ В ОТНОШЕНИЯХ ВОСТОЧНОЙ И ЗАПАДНОЙ ЕВРОПЫ В XX ВЕКЕ

Резюме

Доклад сделан на X Международном конгрессе по экономической истории в г. Лувене (Бельгия). 20 августа 1990 г. М. Кеизер — директор института России, Советского Союза и Восточной Европы Оксфордского университета. Доклад впервые печатается в Советском Союзе.

## გივი ზედაძე

### საბაზრო ეკონომიკა და კომპლექსური ტერიტორიული მართვის საფუძვლები

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების კვალობაზე რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტის რეალიზაციისა და მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაფართოების შესაბამისად უნდა შეიქმნას ტერიტორიული მართვის შესაბამისი ახალი სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოო სისტემები, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტები, თავისუფალი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობებით, მეორე მხრივ — ყველა შიგარესრესპუბლიკური რეგიონული რგოლის და რესპუბლიკის ტერიტორიული სტრუქტურის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

ტერიტორიული მართვის აღნიშნული სისტემა უნდა მოიცავდეს საერთო რესპუბლიკურ და შიგარესრესპუბლიკურ რეგიონულ დონეებს.

რესპუბლიკურ დონეზე, გამომდინარე რესპუბლიკის როგორც მთლიანი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კომპლექსური განვითარების პოზიციებიდან, უნდა განხორციელდეს შიგარესრესპუბლიკური რეგიონულ პოლიტიკის ფორმირება და ამ პოლიტიკის რეალიზაციისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პირობებში შიგარესრესპუბლიკური რეგიონების საქმიანობის საფუძველზე.

საბაზრო ეკონომიკის თავისუფალი ზემოქმედება რესპუბლიკის და მისი რეგიონების ტერიტორიული სტრუქტურის ფორმირებაზე, ბუნებრივია, გამოიწვევს გარკვეულ გაუთვალისწინებელ დეფორმაციებს და არასასურველ დისპროპორციებს. ეს შეიძლება აისახოს როგორც რესპუბლიკის მაკროტერიტორიულ სტრუქტურაში, ასევე ცალკეული შიგარესრესპუბლიკური რეგიონების დონეზეც.

შიგარესრესპუბლიკურმა რეგიონულმა პოლიტიკამ მიზანშეწონილია მოიცვას მხოლოდ საკითხების ის წრე, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ყველა რეგიონში ადამიანის ცხოვრებისათვის მინიმალურად აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების და ყოველი რეგიონის ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობაზე მისი ტერიტორიის მოსახლეობის ცხოვრების დონის პირდაპირი დამოკიდებულების რეალიზაციის უზრუნველყოფასთან.

ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კომპლექსურობის უშუალო ორგანიზაცია უნდა იყოს შიგარესრესპუბლიკური რეგიონების გამგებლობაში.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ის, რომ საქართველოს ყველა შიგარესრესპუბლიკური რეგიონი წარმოადგენს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ტერიტორიული სტრუქტურის ორგანულ ნაწილს, რეგიონულ რგოლს. ყოველი ტიპის რეგიონს ახასიათებს გარკვეული მთლიანობა, შეფარ-

დებითი დამოუკიდებლობა და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების ტერიტორიული ლოკალიზაციის თვისება. ამის შესაბამისად, რესპუბლიკის მართვის რეგიონული დონე უნდა აიგოს რეგიონების თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე.

პირველად დონეზე საქართველოს შიგარესპუბლიკური რეგიონული თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების საბაზო, ძირითადი რგოლების სახით უნდა გამოიყოს რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონები და ქალაქები, რომელთა შესაბამის ტერიტორიებზე ხდება ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების კვლავწარმოების გარკვეული ლოკალიზება რესურსულ-ტექნოლოგიურ, საზოგადოებრივ ურთიერთობათა და ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურების კრილში. ამ რეგიონების უშუალო კომპეტენციაში უნდა შევიდეს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით თავისი ტერიტორიის ადმინისტრაციული დაყოფის განსაზღვრა და მათ შემადგენლობაში მყოფი ტერიტორიული ერთეულების თვითმმართველობის საფუძველზე საქმიანობის ორგანიზაცია.

საერთო-რესპუბლიკურ და შიგარესპუბლიკურ რეგიონულ დონეებზე მართვის მექანიზმის ახალი ფუნქციებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსურობის უზრუნველყოფა შესაბამის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა დამოუკიდებელი სუბიექტის (სოციალურ-ეკონომიკური სისტემის) ინტერესების ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთზეგავლენის გათვალისწინებით. ამავე დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონის ფუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ცვლილებების მიმართულებების სისტემატურ გამოკვლევას, მათ ადეკვატურ ასახვას რეგიონული მართვის და უშუალო რეგულირების პროცესში.

საბაზო რეგიონულმა სოციალურ-ეკონომიკურმა სისტემებმა რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში, რესპუბლიკურ სახალხო-სამეურნეო კომპლექსში თავისი საერთო-რესპუბლიკური ფუნქციის რეალოზაციის, მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფის, ბუნებრივი და სხვა სახის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოების მიზნების შესაბამისად უნდა მოახდინონ თავის ტერიტორიაზე ეკონომიკისა და სოციალური სფეროს პროპორციული განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა, პრიორიტეტების გამოყოფა და მათი ასახვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მთლიანად რესპუბლიკის და მისი რეგიონების კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს რეგიონული პრობლემების გამოვლენას და გადაჭრას. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ინტერესების სწორი შეხამების აქტუალურობა და სიმწვავე კონცენტრირებული ფორმით გამოვლენდება სწორედ ამ პრობლემების ანალიზისა და მათი პრაქტიკული გადაჭრის პროცესში.

საბაზო ეკონომიკისა და რეგიონების თვითმმართველობის პირობებში სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ინტერესების შეთანაწყობა უკიდურესად გართულდება, გაძნელება აგრეთვე საკვანძო პრობლემების დროული გამოვლენა და გადაწყვეტა. ამ მიმართებით, აუცილებელია ტერიტორიული მართვის სისტემა, როგორც რესპუბლიკურ, ასევე რეგიონების დონეზე, უზრუნ-

ველყოფილ იქნას რეგიონული პრობლემებისა და რეგიონული ხასიათის საწარმოო-სამეურნეო ღონისძიებების კომპლექსური გამოკვლევისა და განხორციელების სპეციალური მექანიზმით. ეს მექანიზმი საჭიროა ითვალისწინებდეს ისეთი მეთოდოლოგიური აპარატის გამოყენებას, რომელიც იძლევა საშუალებას ყოველმხრივ იქნას ასახული ცალკეული რეგიონული პრობლემა მისი რაოდენობრივი და თვისებრივი ასპექტების მიხედვით. ამის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს პრობლემების გადაჭრის ხერხებისა და გზების მეცნიერული დასაბუთება. ამასთან ერთად, აუცილებელი მოთხოვნა უნდა იყოს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კვლავწარმოების პროცესში მონაწილე სუბიექტების (დამოუკიდებელი სისტემების) საკუთარი ინტერესების გამოვლენა და დაბალანსება.

რეგიონის დონეზე შეიძლება გამოიყოს რამოდენიმე ძირითადი სუბიექტი, რომლის ინტერესებიც არ ემთხვევა ყოველთვის ერთმანეთს და ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს წარმოადგენს პრობლემური სიტუაციის წარმოქმნის მიზეზს. ესენია — ადგილობრივი მართვის ორგანო (როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ინტერესების გამომხატველი სუბიექტი), საწარმოო სისტემები (მატერიალური და არამატერიალური დოვლათის წარმოებასთან დაკავშირებული საკუთრების სხვადასხვა ფორმებზე დაფუძნებული საწარმოო სოციალურ-ეკონომიკური სისტემები — სუბიექტები, რომლებიც ფუნქციონირებენ რეგიონის ტერიტორიაზე) და იერარქიის უფრო მაღალი დონის მართვის ორგანო (როგორც შესაბამისი დონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ინტერესების ამსახველი სუბიექტი. აქ არსებითად მხედველობაშია საერთო-რესპუბლიკური დონე და შესაბამისი ინტერესები). აღნიშნულის გარდა, პრობლემების ნაწილი შეიძლება დაკავშირებული იყოს მოცემული რეგიონისა და სხვა ანალოგიური ტიპის რეგიონების ინტერესების ურთიერთომჭიმედასთან და წინააღმდეგობასთან. ამიტომ, პრობლემების ანალიზის დროს გასათვალისწინებელია პრობლემასთან შეხებაში მყოფი სხვა რეგიონების ინტერესებიც.

ინტერესების კონკრეტული გამოვლინების სიღრმისეული საფუძველია შესაბამისი სუბიექტის, როგორც მთლიანი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, შინაგანი მოთხოვნილებები, მიზნები და შესაბამისი ფუნქციები. მათი სტრუქტურისა და ძირითადი შემადგენელი ნაწილების გამოყოფის შემდეგ შესაძლებელი იქნება ყოველი პრობლემური სიტუაციის მიმართ ზემოაღნიშნული სუბიექტების ინტერესების მიმართების განსაზღვრა, რაოდენობრივი მაჩვენებლების გაანგარიშება და პრობლემების შემდგომი კომპლექსური გამოკვლევის განხორციელება.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონისათვის და სხვა დამოუკიდებელი სუბიექტებისათვის სწორედ მათი ძირითადი ფუნქციების (ფუნქციონალური მიზნების) სისტემური წარმოდგენა.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემისათვის ფუნქციონალური მიზნების სტრუქტურა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი ქვემიზნების მიხედვით:

1. რეგიონის ამოცანები, გამომდინარე შრომის ტერიტორიული დანაწილებიდან (რეგიონის მიზნები, დაკავშირებული მის ფუნქციებთან რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსში);

2. რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (მოსახლეობის მატერიალური, სოციალური და სულიერი მოთხოვნილებების რეალიზაცია — კვებაზე, საბინაო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, ტანსაცმელზე

და ჯანმრთელობის უზრუნველყოფაზე მოთხოვნილებების, მოსახლეობის ცხოვრების ბუნებრივ-ბიოლოგიური გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების, აგრეთვე შრომაზე, ინფორმაციაზე, დასვენებაზე, პიროვნებათშორის ურთიერთობებზე, სხვა ზნეობრივი და სოციალური ხასიათის შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობის მოთხოვნილებების გათვალისწინებით);

3. სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება და სრულყოფა (რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ორგანიზაციულ-მმართველობითი, სოციალური და შიგარეგონული ტერიტორიული სტრუქტურების განვითარების სრულყოფა და სტაბილურობის უზრუნველყოფა);

4. რეგიონის რესურსული პოტენციალის გაფართოება მისი კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის განსახილველი გრძელვადიანი პერიოდის შემდეგ (რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსში რეგიონის შემდგომი ეფექტიანი სპეციალიზაციისათვის და მისი ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ფუნქციონირების აუცილებელი კომპლექსურობის უზრუნველყოფი შესაბამისი პოტენციალების შექმნა).

საწარმოო სისტემებისათვის რეგიონის მიმართ ფუნქციონალური მიზნებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი ქვემიზნები:

1. საწარმოო სისტემების მომუშავეთათვის მატერიალური, სოციალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თანასწორი უფლებების უზრუნველყოფა რეგიონის მთელ ტერიტორიაზე;

2. საწარმოო სისტემების საწარმო-ტექნოლოგიური და საფინანსო-ეკონომიკური ფუნქციონირების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;

3. საწარმოო სისტემების საწარმო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მომსახურებით შეუფერხებელი უზრუნველყოფისათვის პირობების შექმნა;

4. საწარმოო სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირების ინტერესების გათვალისწინება რეგიონის დონეზე ფასწარმოქმნის, საგადასახადო, ინვესტიციური და მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში;

5. საწარმოო სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირების ინტერესების და რეგიონის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოთხოვნების შეთანაფხობა შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების მიმართულებების ჩამოყალიბების პროცესში;

6. საწარმოო სისტემების შეუფერხებელი საფინანსო-საკრედიტო უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნა;

7. კომერციულ საფუძველზე საწარმოო სისტემების უზრუნველყოფა ინფორმაციით რეგიონული, რესპუბლიკური და საერთაშორისო ბაზრის შესახებ;

8. საწარმოო სისტემების შიგარეგონული კოპერაციისა და დარგთაშორისი ინტეგრაციისათვის საჭირო პირობების შექმნა.

საერთო-რესპუბლიკური დონის პოზიციებიდან რეგიონის მიმართ ფუნქციონალური მიზნების სტრუქტურაში ქვემიზნების გამოყოფა არსებითად განპირობებულია შიგარესრესპუბლიკური რეგიონული პოლიტიკით, რომელიც დაკავშირებულია რესპუბლიკის როგორც მთლიანი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კომპლექსური განვითარების მოთხოვნებთან.

შიგარესრესპუბლიკური რეგიონული პოლიტიკის შემუშავებასთან ერთად რესპუბლიკურ დონეზე უნდა განხორციელდეს აგრეთვე საკანონმდებლო აქტების და სპეციალური მექანიზმების ფორმირება, რომლებიც მორეგულირებენ რე-



გიონთაშორის ურთიერთობებს და სხვადასხვა ხასიათის კონფლიქტურ სიტუაციებს. რესპუბლიკის ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფის, ცალკეული შიგარესპუბლიკური რეგიონის ან რეგიონთა ჯგუფის დაჩქარებული განვითარების მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონების დახმარების ცენტრალიზებული რესპუბლიკური ფონდის შექმნას და მის ეფექტიან გამოყენებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, განსახილველი ფუნქციონალური მიზნების ჯგუფიდან შეიძლება უკვე წარმოდგენილი იყოს ძირითადი ქვემიზნები:

1. რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსში რეგიონის ფუნქციების ეფექტიანი რეალიზაციის უზრუნველყოფა;
2. საერთო-რესპუბლიკური ინტერესების შესაბამისად საწარმოო ძალთა ტერიტორიული განლაგების პოლიტიკის რეალიზაციისათვის ყოველ შიგარესპუბლიკურ რეგიონში ხელშემწყობი პირობების შექმნა;
3. საერთო-რესპუბლიკური ინტერესებიდან გამომდინარე ფორმირებული სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ასახვა რეგიონის მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ზოგად საორიენტაციო მიმართულებებში;
4. რეგიონის მონაწილეობის უზრუნველყოფა საერთო-რესპუბლიკური პრობლემების განხილვაში და მათ გადაწყვეტაში;
5. რეგიონისათვის გამოყოფილი საკრედიტო და რეგიონების დახმარების ცენტრალიზებული რესპუბლიკური ფონდიდან მიღებული რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა;
6. რეგიონის მონაწილეობა რეგიონების დახმარების ცენტრალიზებული რესპუბლიკური ფონდის მატერიალური და ფინანსური რესურსების შექმნაში;
7. რეგიონის სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის ზრდაზე მისი ტერიტორიის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების უშუალო დამოკიდებულების რეალიზაციის უზრუნველყოფა;
8. რეგიონში ადამიანის ცხოვრებისათვის მინიმალურად აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების რეალიზაციისათვის საჭირო საერთო-რესპუბლიკური პირობების შექმნა.

რეგიონის, საწარმოო და მთლიანად რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ტერიტორიულად ლოკალიზებული გამოყოფილი ფუნქციონალური მიზნების (ინტერესების) ურთიერთმიმართების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გამოვლინდეს რეგიონის დონეზე დამოუკიდებელ სუბიექტებს შორის კონფლიქტური და შესაბამისი პრობლემური სიტუაციის წარმოშობის მიზეზები, როგორც მიმდინარე, ისე განვითარების პერსპექტიულ პერაოდში.

რეგიონის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტერიტორიული სტრუქტურის კომპლექსურობის მხრივ, პრობლემური სიტუაციის წარმოქმნის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სფეროა განვითარების სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალური მხარეების ურთიერთმიმართება, რასაც არსებითად განაპირობებს სწორედ რეგიონული, საწარმოო და მთლიანად რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ურთიერთმიმართება. ეს, პირველ რიგში, აისახება სოციალური განვითარების ისეთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორში, როგორცაა სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. ამასთან დაკავშირებით, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემური ასპექტის გამოკვლევისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მისი ტერიტორიის სოციალური ინფრასტრუქტურის კომპლექსურობისა და პრო-

პორციულობის სისტემურ ანალიზს, რომელიც უნდა მოიცავდეს სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დონის სინთეზური მაჩვენებლების გაანგარიშებას, პროპორციულობის დარგობრივი ჭრილის განსაზღვრას და მისი სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობასთან ურთიერთდამოკიდებულების ფორმის გამოვლენას<sup>1</sup>.

სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების საერთო დონის სინთეზური (ბალური) მაჩვენებლების დინამიკა 1971-1985 წლებში და მისი ცვლილების ტენდენცია 1986-1990 წლებში საქართველოს შიგარესპუბლიკური საბაზო რეგიონების ჭრილში გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ პერიოდში სტაბილურად ჩამორჩებიან ისეთი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ქალაქები, როგორცაა რუსთავი (1970 წ. — 55,05 ბალი; 1975 წ. — 48,75 ბალი; 1980 წ. — 47,52 ბალი; 1985 წ. — 43,12 ბალი; 1990 წ. — 41,00 ბალი), ქუთაისი (1970 წ. — 54,03 ბალი; 1975 წ. — 53,42 ბალი; 1980 წ. — 50,58 ბალი; 1985 წ. — 47,69 ბალი; 1990 წ. — 45,00 ბალი), გორი (1970 წ. — 48,23 ბალი; 1975 წ. — 48,84 ბალი; 1980 წ. — 49,38 ბალი; 1985 წ. — 44,81 ბალი; 1990 წ. — 43,00 ბალი), ჭიათურა (1970 წ. — 42,43 ბალი; 1975 წ. — 44,09 ბალი; 1980 წ. — 50,58 ბალი; 1985 წ. — 45,04 ბალი; 1990 წ. — 44,00 ბალი) და ტყვარჩელი (1970 წ. — 50,38 ბალი; 1975 წ. — 47,50 ბალი; 1980 წ. — 50,09 ბალი; 1985 წ. — 48,23 ბალი; 1990 წ. — 46,00 ბალი). სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ბალური შეფასებების სიდიდის მიხედვით, პირველ ხუთეულში შევიდნენ შემდეგი ქალაქები: 1970 წ. ბათუმი (71,78 ბალი), თბილისი (64,22 ბალი), ცხინვალი (61,98 ბალი), სოხუმი (58,72 ბალი) და ფოთი (56,63 ბალი); 1975 წ. ბათუმი (65,12 ბალი), თბილისი (64,83 ბალი), ცხინვალი (64,37 ბალი), სოხუმი (62,60 ბალი) და ზუგდიდი (56,00 ბალი); 1980 წ. სოხუმი (65,20 ბალი), ცხინვალი (64,53 ბალი), თბილისი (64,29 ბალი), ბათუმი (62,42 ბალი) და ტყიბული (59,88 ბალი); 1985 წ. ბათუმი (66,49 ბალი), თბილისი (62,28 ბალი), სოხუმი (61,88 ბალი), ცხინვალი (61,77 ბალი) და ტყიბული (57,90 ბალი), ხოლო, 1990 წ. წინასწარი მოსალოდნელი მონაცემების მიხედვით, ბათუმი (67,00 ბალი), თბილისი (61,00 ბალი), ცხინვალი (59,00 ბალი), სოხუმი (58,00 ბალი) და ფოთი (57,00 ბალი).

სასოფლო ადმინისტრაციულ რაიონებს შორის 1970 წ. მაღალბალური შეფასებები მიიღეს ოზურგეთის (50,55 ბალი), ყაზბეგის (47,07 ბალი), ამბროლაურის (47,02 ბალი), ხონის (44,51 ბალი), ქობულეთის (44,47 ბალი), მცხეთის (43,99 ბალი), ლენტეხის (43,54 ბალი), მესტიის (42,49 ბალი), თელავის (41,74 ბალი), ჩოხატაურის (41,65 ბალი), სამტრედიის (41,10 ბალი), ბორჯომის (41,07 ბალი), ჯავის (41,06 ბალი), ასპინძის (41,00 ბალი) და სენაკის (40,69 ბალი) რაიონებმა, ხოლო 1985 წ. ყაზბეგის (55,52 ბალი), ამბროლაურის (50,31 ბალი), სენაკის (48,52 ბალი), ჯავის (47,06 ბალი), ოზურგეთის (46,47 ბალი), თიანეთის (46,22 ბალი), ონის (45,27 ბალი), მესტიის (45,04 ბალი), სამტრედიის (43,51 ბალი), გუდაუთის (43,41 ბალი), ასპინძის (43,38 ბალი), ლენტეხის (43,36 ბალი), ჩხოროწყუს (43,16 ბალი), ქობულეთის (42,85 ბალი) და ხონის (42,26 ბალი) რაიონებმა. დაბალი ბალური შეფასებები მიიღეს 1970 წ.

<sup>1</sup> უფრო დაწვრილებით აღნიშნული მეთოდური და კონკრეტული გათვლების ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხები განხილულია ნაშრომში: გ. ბედიანაშვილი, რეგიონის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება: მიზნობრივი და რესურსული ასპექტები, თბილისი, 1990, გვ. 40-52.

ცხინვალის (19,82 ბალი), სოხუმის (22,05 ბალი), წალკის (22,49 ბალი), ბოგდანოვკის (23,78 ბალი), ქარელის (23,79 ბალი), ხელვაჩაურის (24,42 ბალი), ხულოს (24,66 ბალი), გორის (24,79 ბალი), ახალქალაქის (25,31 ბალი), ზნაურის (25,41 ბალი), დმანისის (26,11 ბალი), გარდაბნის (26,92 ბალი), ბოლნისის (26,98 ბალი) და მარნეულის (27,23 ბალი) რაიონებმა, ხოლო 1985 წ. ხელვაჩაურის (23,42 ბალი), ახალქალაქის (23,63 ბალი), კასპის (24,88 ბალი), ზუგდიდის (25,03 ბალი), სოხუმის (25,91 ბალი), ცხინვალის (26,65 ბალი), გორის (28,11 ბალი), გულრიფშის (28,30 ბალი), ქარელის (28,38 ბალი), გარდაბნის (29,22 ბალი), ხულოს (29,29 ბალი), საჩხერეს (29,67 ბალი), ბოგდანოვკის (29,85 ბალი), ოჩამჩირის (29,94 ბალი) და წალკის (30,09 ბალი) რაიონებმა. რესპუბლიკის რაიონების სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დონის სინთეზური ბალური შეფასებების რანგული მაჩვენებლები 1986-1990 წლებში არსებით ცვლილებებს არ განიცდიან და 1990 წ. მეორდება დაახლოებით 1985 წ. მდგომარეობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებულობის დიფერენციაციის მაჩვენებელი ზემოაღნიშნული სამრეწველო ქალაქების მიმართ 1971—1985 წლებში შემცირდა უმნიშვნელოდ, ხოლო რაიონების ჭრილში — უფრო შესამჩნევად. საერთო ტენდენციების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველოს შიგარესრესპუბლიკური საბაზო რეგიონების სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დონეთა დიფერენციაციის მაჩვენებელი 1986-1990 წლებში არ გაუმჯობესდება და უახლოეს წლებში კი — შესაძლოა გარკვეულად გაუარესდეს კიდევ.

სოციალური ინფრასტრუქტურის დინამიკის უფრო დეტალური ანალიზი დარგობრივი პროპორციების მიხედვით იძლევა საშუალებას გამოაყოს ყველაზე უფრო ჩამორჩენილი რეგონები და უარყოფითი შედეგები როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ სფეროებში. ამ მიმართებით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რესპუბლიკის რეგიონებში სოციალური ინფრასტრუქტურის ცალკეული დარგების განვითარებაში არსებული დისპროპორციები. ამასთან, 1981-1990 წლებში არ მომხდარა არსებითი ცვლილებები კომპლექსურობის ამაღლების მიმართულებით. ცხადია, რომ სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების არაპროპორციული განვითარება არ იძლევა საშუალებას სრულად იყოს გამოყენებული შესაბამისი რეგიონების სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის სოციალური ფაქტორები.

რესპუბლიკის რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეების, ყოველი მათგანის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებულობის ბალურ შეფასებებთან შედარების საფუძველზე შეიძლება გამოვლინდეს ამ რეგიონების სოციალური და სამეურნეო-ეკონომიკური სფეროების ურთიერთკავშირის ფორმა და სიმჭიდროვე. სპირმენის კორელაციის რანგული კოეფიციენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შიგარესრესპუბლიკური რეგიონული სისტემების ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დონეებს შორის არ შეიმჩნევა მჭიდრო კავშირი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ რეგიონის მაღალი ეკონომიკური განვითარება არ განაპირობებს ცალსახად სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებულობის შესაბამისად მაღალ დონეს. მაგალითად, გარდაბნის, წითელწყაროს, გურჯაანის და სიღნაღის რაიონები განსახილველ პერიოდში ხასიათდებიან ეკონომიკური განვითარების მაღალ დონით, ხოლო მათი სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დონე კი

არსებითად ჩამორჩება საშუალო რესპუბლიკურს. იგივე შეიძლება აღინიშნოს რესპუბლიკის ისეთი სამრეწველო ქალაქების მიმართაც, როგორცაა ქუთაისი, რუსთავი და გორი.

სოციალური ინფრასტრუქტურის ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფისა და მისი პროპორციულობის უზრუნველყოფის უმთავრესი ფაქტორია კაპიტალური დაბანდებები — ინვესტიციური პოლიტიკა სოციალურ სფეროში.

კორელაციის კოეფიციენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ინვესტიციური პოლიტიკა კაპიტალური დაბანდებების განაწილების პროცესში შიგარესსუბიექური საბაზო რეგიონების დაბანდებების განაწილების პროცესში შიგარესსუბიექური საბაზო რეგიონების მიხედვით (როგორც მთლიანად სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე მისი ცალკეული დარგების განვითარებისათვის) მთელ საანალიზო პერიოდში არ ითვალისწინება სრულად სოციალური სფეროს ტერიტორიულ სტრუქტურას და განვითარების დონეთა გარკვეული გამოთანაბრების (დიფერენციაციის შემცირების) აუცილებლობას. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ 1985 წ. (წინასწარი საორიენტაციო შეფასებებით 1990 წელსაც), შედარებით 1980 წ., არ მომხდარა არსებითი ძვრები რესპუბლიკის სოციალური ინფრასტრუქტურის დარგობრივ და ტერიტორიულ ჭრილებში მისი კომპლექსურობის ამალეების მიმართულებით.

ამ დისპროპორციების გამომწვევ მიზეზებს შორის უნდა გამოიყოს ორი ძირითადი — სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტურ მიზეზთაგან მთავარია ის, რომ რესპუბლიკის რეგიონული და დარგობრივი სისტემების ხელმძღვანელი მუშაკები არ აფასებდნენ ჭეშოროვანად ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კომპლექსური ურთიერთდაკავშირებული გადაჭრის მნიშვნელობას. ობიექტური მიზეზებიდან უნდა აღინიშნოს ის, რომ მართვის რეგიონული ორგანოები არ იყვნენ უზრუნველყოფილი თავისი ამოცანების შესაბამისი უფლებებითა და მატერიალურ-ფინანსური შესაძლებლობებით. ეს ნაკლოვანებები პირდაპირ აისახებოდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების პრობლემების გადაჭრისადმი მიდგომაში, აგრეთვე შიგარესსუბიექტური რეგიონების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებების განსაზღვრაში და უშუალო რეალიზაციაში, რითაც ხდებოდა რესპუბლიკის ტერიტორიული სტრუქტურის თავდაპირველადვე უკვე დისპროპორციული ფორმის ჩამოყალიბება.

საქართველოს ნამდვილი სუვერენიტეტის პირობებში ბევრად იზრდება რესპუბლიკის როლი და პასუხისმგებლობა აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარებაში და ყოველი შიგარესსუბიექტური რეგიონისათვის სოციალური ინფრასტრუქტურის, მთლიანად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, გარკვეული (მინიმალურად აუცილებელი, გარანტირებული) დონის უზრუნველყოფაში. ამასთან ერთად, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპების შესაბამისად, არსებითად იზრდება თვით საბაზო რეგიონების უფლებები და მატერიალურ-ფინანსური საშუალებები თავის ტერიტორიებზე კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განხორციელების მიმართულებით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დამოუკიდებლობას იქნენ უშუალოდ რეგიონების ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოო სისტემებიც, რომელთა საქმიანობაც პირდაპირ (დადებითად ან უარყოფითად) იმოქმედებს შესაბამისი რეგიონის და მთლიანად რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსურობაზე. აქედან ცხადია, რომ აუცილებელია რეგიონის დონეზე

წარმოქმნილი პრობლემური სიტუაციის გადაჭრის გზებისა და ხერხების შერჩევისას გამოვდიოდეთ პრობლემასთან ურთიერთობაში მყოფი დამოუკიდებელი სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ობიექტურად არსებული ინტერესების ურთიერთდაბალანსების მოთხოვნებიდან.

რეგიონული პრობლემების უმრავლესობა დაკავშირებულია რეგიონის, საწარმოო და რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ურთიერთობათა, ან უშუალოდ რეგიონის დონეზე არსებული სამეურნეო მექანიზმის არასრულყოფილებასთან. ამის გამო, პირველ რიგში საჭიროა განხილულ იქნას რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მისი ცალკეული რგოლის ფუნქციონირების მექანიზმის სრულყოფის შესაძლებლობები და მიმართულებები. ხშირ შემთხვევაში, მთლიანად რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ან შესაბამისი პრობლემური ობიექტის ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურის სრულყოფამ შესაძლოა მოხსნას ზოგიერთი პრობლემა, გაამართლოს ცალკეული მათგანის გადაჭრა და ამით არსებითად შეამციროს რაოდენობა იმ პრობლემებისა, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ მიდგომას და სპეციალურ მეთოდებს.

პრობლემის გადაწყვეტის სპეციალურ ხერხებს შორის ძირითადია პროგრამული მიდგომა, რომელიც დაკავშირებულია პრობლემური სიტუაციის გადაჭრისათვის მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის შემუშავებასა და რეალიზაციასთან. ახალ პირობებში მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები წარმოადგენენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რთული საკვანძო პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან ინსტრუმენტს. ამიტომ მათი აქტიური გამოყენების საკითხს მართვის სისტემის საერთო-რესპუბლიკურ და შიგარესრესპუბლიკურ რეგიონულ დონეებზე უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

Г. В. БЕДИАНАШВИЛИ

## РЫНОЧНАЯ ЭКОНОМИКА И ОСНОВЫ КОМПЛЕКСНОГО ТЕРРИТОРИАЛЬНОГО УПРАВЛЕНИЯ

Резюме

Исходя из общих принципов рыночных экономических отношений, реального суверенитета республики как государственной социально-экономической системы и расширения самостоятельности внутриреспубликанских регионов, исследованы общие основы комплексного территориального управления, с выделением республиканского и регионального уровней.

В качестве важнейшей функции новой системы территориального управления рассматривается своевременное выявление и решение узловых региональных проблем на базе согласования интересов региона, производственных систем и республики в целом как относительно самостоятельных субъектов регионального воспроизводственного процесса и социально-экономического развития.

## ნიკოლოზ ბაკაშვილი, ღარეჯან მისხიშვილი

### საქართველოში საკომუნიკაციო მომსახურების გაუმჯობესებისათვის

საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამ ჩვენი პლანეტა — დედამიწა — ერთ პატარა სოფლად გადააქცია. ცივილიზებულ სამყაროში ყოველდღიურად იზრდება ვადასაცემი და მოსახმარი ინფორმაციის რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია სამრეწველო პოტენციალის ზრდით.

ყოველდღიურად იზრდება ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებები საკომუნიკაციო მომსახურების საშუალებებზე.

თუ გადავხედავთ საქართველოში არსებულ სიტუაციას, სასიკეთოს ვერაფერს დავინახავთ მოძველებული მაგისტრალური კაბელების, ჩამონგრეული ავტომატური სატელეფონო სადგურების, გაუბედურებული საკომუნიკაციო მოწყობილობისა და მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი შემაერთებელი ხაზების შემყურენი.

მაშინ, როდესაც მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში აღნიშნული სფერო სულ სხვაგვარად გამოიყურება. მაგალითად: დღეისათვის აშშ-ში ბინების 98% ტელეფონიზირებულია, სატელეფონო ქსელი იძლევა საშუალებას, 215 მილიონი აბონენტიდან თვითელმა წამში დაამყაროს კავშირი თავისი ქვეყნის და მრავალი სხვა ქვეყნის 250 მილიონ აბონენტთან ნებისმიერთან, კერძო პირმა თუ ორგანიზაციამ მყისეულად გასცეს ინფორმაცია ქვეყნის ნებისმიერ წერტილში და მიიღოს შესაბამისი პასუხიც, ამერიკელები ყოველდღიურად აკეთებენ მილიარდზე მეტ სატელეფონო გამოძახებას. ამერიკის სატელეფონო ქსელი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე რთული და განვითარებული სისტემაა, აერთიანებს ერთმანეთთან ადამიანებსა და მანქანებს; იგი არა მხოლოდ სატელეფონო ლაპარაკების გადაცემის, არამედ უამრავი სახის ინფორმაციის გადატანის საშუალებასაც იძლევა; როგორცაა ელექტროგამომთვლელი მანქანების მონაცემები, სატელევიზიო პროგრამები და ა. შ.

დამოუკიდებელ საქართველოს, რომლისთვისაც ჩვენში დიდი და პატარა ერთნაირად იღვწის, სჭირდება გამართული, თანამედროვე ტანდარტების დონეზე აღჭურვილი საკომუნიკაციო მომსახურება, რომელსაც ჩვენ დღეს ძალიან მოკლებული ვართ. რესპუბლიკაში არსებული სიტუაციის ანალიზი სასიკეთოს ვერაფერს გვეუბნება. ყოველ 100 მცხოვრებზე საერთო სარგებლობის სატელეფონო ქსელის ტელეფონის აპარატებით უზრუნველყოფის დონე საქართველოსათვის 11,8-ია (საკავშიროსი — 13,1) მაშინ როცა კანადაში ყოველ 100 მცხოვრებზე 106 ტელეფონ-აპარატი მოდის; ყოველ 100 ოჯახზე საერთო სარგებლობის სატელეფონო ქსელის ბინის ტელეფონით უზრუნველყოფის დონის მაჩვენებელი ჩვენთან 29,0 ერთეულია (საკავშიროსი — 26,6) რესპუბლიკაში საერთო სარგებლობის სატელეფონო ქსელის ტელეფონის აპარატების რიცხვმა 557 ათასს მიაღწია (ქალაქად — 454 ათასი, ხოლო სოფლად — 103

ათასი) 1989 წლისათვის ბინაზე ტელეფონის დადგმის მსურველთა რიცხვმა 350 ათასს მიაღწია, რაც მოთხოვნების დაკმაყოფილების დონეს 47.5%-ით განსაზღვრავს; საქალაქთაშორისო ლაპარაკი ყოველ მოსახლეზე 5.2-ს შეადგენს. ხოლო საქალაქთაშორისო ლაპარაკები წელიწადში მითლიანად რესპუბლიკისათვის 28 მლნ-ს აღემატება. საქართველოს მოსახლეობას ყოველწლიურად კავშირგაბმულობის საერთო სარგებლობის საშუალებებით საშუალოდ 55 მილიონი მანეთის ფასიანი მომსახურება ეწევა, თითოეულ სულზე განგარიშებით კი აღნიშნული მაჩვენებელი 10,5 მან. აღწევს; ტელეფონით გაზავნილი დებუშების რიცხვა 9,1 მლნ გადააჭარბა. დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს 1776 ერთეული საფოსტო განყოფილება, რომელთაგან 1209 ერთეული სოფლადაა, ხოლო 567 — ქალაქად. დღეისათვის რესპუბლიკას საკომუნიკაციო ქსელის განვითარებისათვის ყოველწლიურად გამოიყოფა თითქმის 45 მლნ-მდე მანეთის კაპიტალური დაბანდებანი, მაგრამ როგორც ვხედავთ, ყოველივე ეს ზღვაში წვეთია.

კავშირგაბმულობაზე გაწეული კაპიტალურ დაბანდებთა სტრუქტურა

კაპიტალურ დაბანდებთა სახეები	№-ით
კაპიტალური დაბანდება მთლიანად მათ შორის ხარჯები:	100
სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე	38,4
მოწყობილობების, ხელსაწყოებისა და ინვენტარის შექმნაზე	58,1
სხვადასხვა ხარჯები	3,5

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ირკვევა, კავშირგაბმულობის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებთა უდიდესი ნაწილი (60%-მდე) მოდის მოწყობილობების, ხელსაწყოებისა და სამეურნეო ინვენტარის შექმნაზე, მაშინ როცა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე — 38%-ია. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ კაპიტალური დაბანდებანი კავშირგაბმულობის დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე უნდა გაიზარდოს 12-15%-ით, რათა გადაიჭრას რესპუბლიკაში საკომუნიკაციო საშუალებებით პირველადი მომსახურების დეფიციტი.

დღეისათვის, რესპუბლიკის სრული ტელეფონიზაციისათვის საჭიროა დაიდგას 1014670 ცალი ტელეფონის აპარატი (ქალაქად — 590 100, სოფლადა — 424570), რაც არსებული სატელეფონო ქსელით (თუნდაც მისი შემდგომი გაფართოების პირობებში) წარმოუდგენელია, ვინაიდან მისი დიდი ნაწილი (80%-მდე) მორალურად და ფიზიკურად მოძველებულია და არ შეესაბამება დროის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

რესპუბლიკის მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საკომუნიკაციო საშუალებების მომსახურების გაუმჯობესებისათვის, საკომუნიკაციო მომსახურების ახალი სახეების დანერგვისათვის ჩვენში, ერთადერთ სწორ გზად მიგვაჩნია ლაზერისა და ოპტიკური ბოჭკოს გამტარებიანი კაბელის დანერგვა ტელესაკომუნიკაციო მომსახურებაში.

ლაზერს, მრავალ სხვა შესანიშნავ თვისებებთან ერთად კიდევ ერთი დიდი საოცრება გააჩნია, მისი დახმარებით შეიძლება გადაიციეს უდიდესი რაოდენობის ინფორმაცია. მას შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს რადიოტალღებს, რადიო-

სარელეო ხაზებსა და ასობით სპილენძის სადენიან ტელეფონის კაბელებს. ლაზერის მიერ გამოხსივებული ტალღის სიგრძე 10 000-ჯერ ნაკლებია ყველაზე მოკლე რადიოტალღის სიგრძეზე და შეადგენს 0,7 მიკრომეტრს. ამას გარდა, არსებობს ოპტიკური კაბელები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ლაზერის სხივის თავისუფლად მოგზაურობისათვის დიდ მანძილზე ისე, რომ ატმოსფერულმა გარემომ ხელი არ შეუშალოს მას.

ამერიკელებმა უკვე კარგახანია დანერგეს შიგასაკომუნიკაციო ქსელში ოპტიკური ბოჭკოს კაბელები ლაზერული სხივებით, ხოლო მყარი გარეკავშირითიერთობისათვის გამოიყენება ხელოვნური თანამგზავრები, სწორედ რომ ეს იძლევა იმ მაღალ ეფექტს, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი ამერიკის მაგალითზე.

მოსკოვშიც იქნა გამოყენებული ლაზერის სხივი, რომელიც უნივერსიტეტის კოშკიდან მიემართება ზუბოვის მოედნის ახლომდებარე რაიონისაკენ, სადაც მეზობელი ატს-ია. მის საწინააღმდეგოდ კი ლაზერის მეორე სხივი კვეთს სივრცეს, რომლებიც ეხმარება დღეს საკმაოდ გადატვირთულ სატელეფონო ქსელის აბონენტებს ერთმანეთთან დაკავშირებაში. ლაზერის სხივმა ტალინის სახლებზეც გადაკვეთა სივრცე და რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო გამოთვლით ცენტრთან დაკავშირა (ეს პირველი ექსპერიმენტია კავშირგაბმულობაში ნახევარგამტარებიან ლაზერებზე), სულ მალე იაპონიაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ოპტიკური საქალაქთაშორისო სატელეფონო კაბელი, რომლის ერთ წყვილ სინათლის გამტარში 5760 სატელეფონო ლაპარაკი გადაიცემა; კაბელში ამ გამტარის გარდა ორი წყვილი სინათლის სარეზერვო გამტარიცაა.

აი, რა უნდა გადმოვიღოთ ჩვენში, რით შეგვიძლია გავაუმჯობესოთ საქართველოს საკომუნიკაციო მომსახურება, რომლის განვითარებაც აუცილებლად დანერგავს ჩვენში კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების ახალ, დღემდე ჩვენთვის მიუწვდომელი მომსახურების სახეებს, როგორცაა ლოკალური ქსელები, მულტიპლექსები, მოდემები, ტელექსელები და ტელეფაქსები.

რესპუბლიკაში უნდა დაინერგოს საერთაშორისო სატელეფონო და სატელეგრაფო ქსელები, რომელნიც უშუალოდ გავლენ მსოფლიოს საერთაშორისო სატელეფონო და სატელეგრაფო ქსელებზე. ამ ქსელებით სარგებლობის საშუალება მიეცემა ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობას, წარმოება-დაწესებულებებს, ერთობლივ საწარმოებს, უცხოელ ტურისტებს თუ მსოფლიოს საქმიანი წრეების წარმომადგენლებს.

საკვიროდ მიგვაჩნია, რომ ჩვენში დაინერგოს მონაცემთა და ინფორმაციის გადაცემის, ჩვენთვის ისეთი ახალი მეტად პერსპექტიული კავშირების სახეობანი, როგორცაა მონაცემთა პაკეტური გადაცემა, ელექტრონული ფოსტა და ვიდეოტექსტი. ეს სახეობანი განკუთვნილი იქნება რესპუბლიკის შივნი და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მონაცემთა და კორესპონდენციითა ვაცვლისათვის, მსოფლიოს საინფორმაციო ცენტრებთან ორმხრივი კავშირის დამყარებისათვის. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ფოსტის ქსელს აქვს საშუალება აწარმოოს ინფორმაციის გაცვლა ყველა არსებულ ტერმინალებს შორის (ტექსტი, ტელეტაიპი, პერსონალური კომპიუტერი, ტელეფაქსი და სხვა).

ინფორმაციის დამუშავების ხარისხის გაუმჯობესებას მივყავართ საზოგადოების კეთილდღეობისაკენ, რომლის დროსაც მაღლდება ყველა სოციალური



და ეკონომიური საქმიანობის პროდუქტიულობა, თუნდაც წარმოების, განათლების, ტრანსპორტისა და აგრეთვე დასვენების სფეროებში.

ამდენად, ძალიან დიდია საკომუნიკაციო მომსახურების ეკონომიკური და სოციალური ეფექტი.

საზოგადოებამ მწვანე გზა უნდა მისცეს საკომუნიკაციო მომსახურების განვითარების დახვეწასა და დანერგვას ჩვენში — საქართველოში. სულ ახლახანს ზომ დასავლეთელმა მეგობრებმა შემოგვთავაზეს საუკეთესო ვარიანტი ქვეყნის სრული ტელეფონიზაციისა და მყარი გარეკავშირთაგანობისათვის გამოვიყენოთ ოპტიკური გამტარები ლაზერული სხივებითა და ხელოვნური თანამგზავრი, რომლის სეგმენტიც საქართველოს მსოფლიოს საკომუნიკაციო სისტემების ქსელში ჩართვის საშუალებას მისცემს და ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სიკეთეს მოგვტანს.

Н. БАКАШВИЛИ, Д. МЕСХИШВИЛИ

## ДЛЯ УЛУЧШЕНИЯ КОММУНИКАЦИОННОГО ОБСЛУЖИВАНИЯ В ГРУЗИИ

### Резюме

Ежедневно возрастает спрос народного хозяйства и населения на средства коммуникационного обслуживания.

Сегодня в цивилизованных странах мира широко внедрены новые виды коммуникационного обслуживания, — локальные сети, мультиплексы, модемы, телесети и телефаксы, а также электронная почта, которые дают возможность производить обмен информацией между всеми существенными терминалами (текст, телетайп, персональный компьютер, телефакс и др.).

Улучшение качества обработки информации идет на пользу всему обществу, при этом повышается продуктивность всех видов социальной и экономической деятельности, будь то производство, образование, транспорт, даже отдых.

Все это достигается внедрением кабеля волоконнооптической сети связи и лазерными лучами, а также с помощью искусственного спутника.

Для Грузии все это ново, и для реализации этих программ нужны соответствующие капитальные вложения, которые должны возрастать на 12—15% от издержек всех видов источников финансирования.

### კახა თოღუა

#### საპარტველოს საწარმოო გაერთიანება „ავტომოტოსერვისი“ ბანკითარების სრულყოფის გზები

საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ერთ-ერთ ძირითად, პერსპექტიულ დარგობრივ ჯგუფს საქართველოს ინდივიდუალური სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება წარმოადგენს, ამ საქმეს საქართველოს „ავტომოტოსერვისის“ საწარმოო გაერთიანება ემსახურება. საწარმოო გაერთიანებაში 1989 წლის 1 იანვრისათვის შედიოდა 26 საწარმო და 1 თბილისის მოტოველნაკეთობათა ტექნიკური მომსახურების სადგური. მათ მიერ რეალიზებული მომსახურების მოცულობამ შეადგინა: 1980 წელს 10744,0 ათასი მანეთი, ხოლო 1988 წელს — 31400,0 ათასი მანეთი.

როგორც სათანადო მასალების ანალიზიდან ირკვევა საქართველოს „ავტომოტოსერვისის“ საწარმოო გაერთიანებაში 1989 წლის 1 იანვრისათვის შედიოდა 26 საწარმო და 1 თბილისის მოტოველნაკეთობათა ტექნიკური მომსახურების სადგური. მათ მიერ რეალიზებული მომსახურების მოცულობამ შეადგინა: 1980 წელს 10744,0 ათასი მანეთი, ხოლო 1988 წელს — 31400,0 ათასი მანეთი. მომსახურების რეალიზაციის მოცულობა 1988 წელს 1980 წელთან შედარებით გაიზარდა 96,9%-ით.

ავტომოტოსერვისში შემავალი საწარმოებიდან შედარებით დიდი ხვედრითი წილით გამოირჩეოდა ავტომოტოსერვისის თბილისის საწარმო. 9 წლის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, მასზე მოდიოდა მომსახურების რეალიზაციის საერთო მოცულობის 38,9%.

1980—1988 წლების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, მომსახურების რეალიზაციის მოცულობის დიდი ხვედრითი წილი მოდიოდა თბილისის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ქუთაისის, გორის, ოზურგეთის, ზუგდიდის, თელავის, მარნეულისა და ახალციხის ავტომოტოსერვისის საწარმოებზე. (82,7%).

როგორც სათანადო მასალებიდან ირკვევა, 1970 წელს სსრ კავშირში ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობა 1,3 მლნ ცალს შეადგენდა, ხოლო საქართველოში კი 45,8 ათას ცალს, ანუ საკავშირო მაჩვენებლის 3,6%. საქართველო მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ხვედრითი წილის მიხედვით მეოთხე ადგილზე იმყოფებოდა რსფსრ-ის, უკრაინის და ყაზახეთის სს რესპუბლიკების შემდეგ.

1975 წელს სსრ კავშირში ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობა 1970 წელთან შედარებით 3,1-ჯერ გაიზარდა და 4,1 მლნ შეადგინა. ამ პერიოდში ინდივიდუალური ავტომანქანების რაოდენობა საქართვე-

ლოში თითქმის სამჯერ გაიზარდა და 133,0 ათას მიაღწია. 1975 წლისათვის საქართველოს ხვედრითი წილი 3,2%-მდე შემცირდა და მეოთხე ადგილიდან მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. ამ მაჩვენებლით საქართველოს გაუსწრო რსფსრ-ის, უკრაინის, უზბეკეთისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკებმა.

მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობა 1980 წელს სსრ კავშირში შეადგენდა 8215,5 ათას ცალს, ხოლო საქართველოში კი 246,8 ათასს, ანუ საკავშირო მაჩვენებლის 3%. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ხვედრითი წილის მიხედვით მე-5 ადგილზე იყო ბელორუსის რესპუბლიკასთან ერთად. საქართველოს ამ მაჩვენებლით უსწრებდნენ: რსფსრ — 4194,7 ათასი ცალი (51,1%), უკრაინა — 1554,9 ათასი ცალი (18,9%), უზბეკეთი — 404,8 ათასი ცალი (4,9%) და ყაზახეთი — 425,3 ათასი ცალი (5,2%).

1985 წელს სსრ კავშირში უკვე 12,4 მლნ ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანა ითვლებოდა, ხოლო საქართველოში 364,0 ათასი ცალი. მიუხედავად ამისა, ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობის მხრივ, საქართველომ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის დაკავებული მე-5 ადგილიდან, მე-6 ადგილზე გადაინაცვლა. ამ მხრივ, მასზე წინ აღმოჩნდა რსფსრ-ის, უკრაინის, ბელორუსის, უზბეკეთისა და ყაზახეთის რესპუბლიკები.

მნიშვნელოვნად გადიდდა ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების პარკი ჩვენი ქვეყანაში 1986—1988 წლებში და 1989 წელს მისი რაოდენობა 15,1 მლნ ცალს უდრიდა, ამ წელს საქართველოში ინდივიდუალურა მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობა 432 ათას ერთეულამდე ითვლებოდა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის კვლავ მე-6 ადგილზე დარჩა. მას კვლავინდებურად გაუსწრო რსფსრ — 50,9% (7689 ათასი), უკრაინა — 19,0% (2868 ათასი), ბელორუსია — 3,3% (494 ათასი), უზბეკეთი 5,4% (810 ათასი) და ყაზახეთის სსრ — 4,9% (739 ათასი). აღსანიშნავია ისიც, რომ 1988 წლის ბოლოს, საქართველოში არსებული ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების ხვედრითი წილი მოკავშირე რესპუბლიკებში 1980 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შემცირდა (3,0%-იდან 2,9%-მდე). ცხრილიდან ირკვევა ისიც, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის, ხვედრითი წილის მიხედვით, საქართველო საანალიზო პერიოდში, ყოველთვის პირველ ადგილზე იყო. მაგალითად, 1980 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა: საქართველოში — 3,0%, აზერბაიჯანში — 1,8, ხოლო სომხეთში — 1,5%; 1988 წელს შესაბამისად, 2,9, 1,6 და 1,5%.

ნებისმიერ რეგიონში მხოლოდ ავტომანქანების რაოდენობით ვერ განისაზღვრება სრულყოფილად ავტოტექნომსახურების განვითარების არსებული დონე და მასზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხი. ამ მიზნით, აგრეთვე საჭიროა განისაზღვროს ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანებით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე, რაც ყოველ 1 ათას მცხოვრებზე მოსული ავტომანქანების რაოდენობით განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყანაში ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობის ზრდასთან ერთად, როგორც სსრ კავშირში, ასევე მოკავშირე რესპუბლიკებშიც მკვეთრად გადიდდა ავტომანქანების რაოდენობა 1 ათას მცხოვრებზე. (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობა 1 ათას მცხოვრებზე სსრ კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებში 1980—1988 წლებში, წლის ბოლოსათვის, ცალა<sup>1</sup>

მოკავშირე რესპუბლიკები	ავტომანქანების რაოდენობა			ზრდის ტემპი %		
	1980	1985	1988	1985 წ. 1980 წლის მიმართ	1988 წ. 1985 წლის მიმართ	1988 წ. 1980 წლის მიმართ
სსრკ	31	45	53	145,2	177,8	170,9
რსსფრ	30	45	53	150,0	177,8	176,6
უკრაინა	31	46	56	148,3	121,7	180,6
ბელორუსია	25	39	48	156	123,1	192,0
უზბეკეთი	25	37	43	148	113,5	172,0
ყაზახეთი	28	38	43	135,7	113,2	153,6
საქართველო	48	66	76	137,5	115,1	158,3
აზერბაიჯანი	24	30	35	125	116,6	145,8
ლიტვა	68	91	110	133,8	120,9	161,8
მოლდავეთი	22	34	41	154,5	120,6	186,4
ლატვია	61	83	93	136,1	112,0	152,4
ყირგიზეთი	25	33	39	132	118,2	156,0
ტაჯიკეთი	22	33	44	150	133,3	200,0
სომხეთი	40	51	60	127,5	117,6	150,0
თურქმენეთი	31	44	51	141,9	115,9	164,5
ესტონეთი	79	117	140	148,1	119,6	177,2

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ სსრ კავშირში 1980—1988 წლებში ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობა 1 ათას მცხოვრებზე 1,7-ჯერ გაიზარდა. საქართველოში ეს მაჩვენებელი 1,6 უდრიდა. ამასთან უნდა აღინიშნოს რომ ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მეტად რსფს-ს, მოლდავეთის, უკრაინის, ბელორუსიის და უზბეკეთის რესპუბლიკებში გაიზარდა. ამ პერიოდში მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობა 1 ათას მცხოვრებზე სსრ კავშირში 31-დან 53-მდე, ხოლო საქართველოში 48-დან 76 ცალამდე გადიდა. მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება აგრეთვე ეს მაჩვენებელი საანალიზო პერიოდის დანარჩენ წლებშიც, რის გამოც, 1988 წლის ბოლოს, სსრ კავშირში საშუალოდ ყოველ 1 ათას მცხოვრებზე 53 ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანა მოდიოდა, ხოლო საქართველოში 76 ავტომანქანა.

1989 წლის 1 იანვრისათვის საქართველო 1 ათას მცხოვრებზე, ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობის მხრივ, ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკას წარმოადგენდა, კერძოდ, ამ მხრივ, საქართველო მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მეოთხე ადგილზე იმყოფებოდა. მას წინ უსწრებდა მხო-

<sup>1</sup> ყველა ციფრობრივი მონაცემი, რომელიც სსრ კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებს ეხება, დამუშავებულია ავტორის მიერ სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ავტომოტოსერვისის, ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების სამმართველოს და საავტომობილო და ავტორავეების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალის მიერ, შესაბამისი წლებისათვის გამოცემული საინფორმაციო ხასიათის ნაშრომის საფუძველზე.

ლოდ ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის რესპუბლიკები, სადაც 1 ათას მცხოვრებზე შესაბამისად 140, 93 და 110 ინდივიდუალური ავტომანქანა მოდიოდა.

ავტოსერვისის განვითარებაზე და ამ სახის მომსახურების რეალიზაციის მოცულობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების პარკის სტრუქტურა, რაც იმით აიხსნება, რომ სხვადასხვა მარკის მსუბუქ ავტომანქანას წლის მანძილზე სხვადასხვა მოცულობის ტექნიკური მომსახურება სჭირდება. მსუბუქი ავტომანქანების პარკის სტრუქტურის განსაზღვრა, მარკების მიხედვით, აუცილებელია მომსახურების რეალიზაციის მოცულობის სწორი დაგეგმვისა და პროგნოზირებისათვის, რასაც ყველგან საჭირო ყურადღება არ ექცევა. ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების პარკის სტრუქტურა, როგორც მთლიანად კავშირში, ისე საქართველოში მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1980 წელს ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების პარკი ჩვენს ქვეყანაში მრავალფეროვანი გახდა. იგი შედგებოდა ისეთი მარკის ავტომანქანებისაგან, როგორცაა: „ვოლგა“, „ჟიგული“, „მოსკვიჩი“, „ზაპოროჟეცი“ და „უაზი“. ამ წელს სსრ კავშირში ავტობარკის სტრუქტურაში პირველ ადგილზე გამოვიდა მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგული“, რომლის ხვედრითმა წილმა 43,2% შეადგინა, მეორე ადგილზე — „მოსკვიჩი“ — 26,8, ხოლო მესამეზე — „ზაპოროჟეცი“ — 17,5%. შემდეგ ადგილებზე გავიდა „ვოლგა“, „გაზ-69“, „უაზი“ და სხვა.

საქართველოშიც ამ პერიოდისთვის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანას ჰქონდა, რომელიც საკავშირო მაჩვენებელზე მეტს — 56,8% უდრიდა, მეორე ადგილზე გამოვიდა „მოსკვიჩი“ — 15,1%, მესამე ადგილზე „ვოლგა“ — 8,4%. აღსანიშნავია, რომ შემდგომ წლებში აღარ დარღვეულა ამ წელს ჩამოყალიბებული კანონომიერება და სტრუქტურაში ხვედრითი წილის მიხედვით ადგილების განაწილება თითქმის იგივე დარჩა, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „ჟიგულის“ მარკის ხვედრითი წილი კიდევ უფრო ამაღლდა. კერძოდ, 1988 წელს სსრ კავშირში ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობის თითქმის ნახევარი — 47,3% — „ჟიგულის“ მარკის სხვადასხვა მოდიფიკაციის ავტომანქანაზე მოდიოდა. ეს მაჩვენებელი გაცილებით უფრო მაღალი იყო საქართველოში, სადაც ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების 66,8% „ჟიგული“ შეადგენდა. ამ მხრივ, მეორე ადგილზე გასული „მოსკვიჩის“ ხვედრითი წილი 15,02% იყო.

საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად სსრ კავშირში, ავტოსერვისის განვითარების ტემპები და მისი განვითარების თანამედროვე დონე, ზოგიერთი ნაკლოვანების მიუხედავად, ყველაზე სრულყოფილად მომსახურების რეალიზაციის მოცულობით განისაზღვრება. 1980—1988 წლებში ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების რეალიზაციის მოცულობა სსრ კავშირში 2,9-ჯერ გაიზარდა, ხოლო საქართველოში 2,95-ჯერ. კიდევ უფრო მაღალი იყო ზრდის ტემპი ყირგიზეთში (3,3-ჯერ) და ყაზახეთში (3,1-ჯერ).

ამრიგად, როგორც ანალიზმა ცხადყო საქართველოში, ისევე, როგორც სსრ კავშირში, 1980—1988 წლებში ავტოსერვისის განვითარება მაღალი ტემპებით აღინიშნა, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია საყოფაცხოვრებო მომსახურების ამ დარგობრივი ჯგუფის ეკონომიკური ეფექტიანობის გაღივება.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდამდე, სსრ კავშირსა და საქართველოში ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების შეკეთება და ტექნიკური

მომსახურება ძირითადად სახელმწიფო სექტორის საწარმოთა მიერ ხდებოდა. მაგრამ სსრ კავშირში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისა და კოოპერატივების შესახებ კანონის მიღების შემდეგ, მათი სახით სახელმწიფო სექტორის საწარმოებს კონკურენტები გაუჩნდა.

ავტოსერვისის მომსახურების განვითარების მიზნით, სსრ კავშირში დიდად გაფართოვდა მოსახლეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა. მაგალითად, 1988 წელს ამ სახით საწარმოებთან გაფორმებულ იქნა 259 ხელშეკრულება და მიღებულ იქნა თითქმის 1,3 მლნ მანეთის მომსახურება. საქართველოსათვის ეს მაჩვენებლები უდრიდა შესაბამისად 16 ერთეულს და 10 ათას მანეთს, რაც მომსახურების ამ ფორმის განვითარების დაბალ დონეზე მიუთითებს. აქ მეტად დაბალია შრომის ნაყოფიერების დონეც.

ნაკლებადაა განვითარებული ტექნიკური მომსახურებისა და სასწრაფო შეკეთების პუნქტები ავტომანქანების გარაჟებსა და ავტოსადგომებზე. ასე, მაგალითად, სსრ კავშირში 1988 წელს მხოლოდ 211 ასეთი პუნქტი იყო, სადაც 816 კაცი მუშაობდა, ხოლო საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობამ მხოლოდ 5,4 მლნ მანეთი შეადგინა. 15 მოკავშირე რესპუბლიკიდან — 6-ში, მათ შორის საქართველოში, ამ დროისათვის ტექნიკური მომსახურებისა და სასწრაფო შეკეთების პუნქტები არ ფუნქციონირებდა, რაც მალე უნდა დაინერგოს. ამასთან საქართველოში სასწრაფოდ უნდა განვითარდეს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა და სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების ახალი ფორმები და სახეები.

1989 წლის დასაწყისისათვის ჩვენი ქვეყნის ავტოსერვისის სისტემაში ფუნქციონირებდა 483 კოოპერატივი (1988 წლის დასაწყისისათვის კი მხოლოდ 99 კოოპერატივი), რომლებშიც დასაქმებული იყო 10 ათასზე მეტი კაცი, ხოლო მათ მიერ გაწეულმა მომსახურებამ შეადგინა 20,8 მლნ მანეთი. აღნიშნული პერიოდისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 48 კოოპერატივი, სადაც მუშაობდა 2205 კაცი, ხოლო საყოფაცხოვრებო მომსახურებას მოცულობამ 4,5 მლნ მანეთს გადააჭარბა. შრომის ნაყოფიერების დონე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კოოპერატივებში 1988 წელს მერყეობდა 5833 და 1672 მანეთს შორის. ეს მაჩვენებელი საქართველოში დაახლოებით საშუალო-საკავშირო მაჩვენებლის დონეზე იყო.

თუ რა მდგომარეობაა მსუბუქი ავტომანქანების წარმოების მხრივ სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში, ჩანს მე-2 ცხრილიდან. ამ ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა, რომ მსოფლიოს 20 ქვეყნიდან 1987 წელს მსუბუქი ავტომანქანების წარმოების მხრივ სსრ კავშირი მე-7 ადგილზე იყო, ხოლო 1 ათას მცხოვრებზე გაანგარიშებით კი მე-17 ადგილზე.

უზრადღებას იპყრობს ისიც, რომ თუ 1987 წელს სსრ კავშირში იწარმოებოდა 1332 ათასი ავტომანქანა, იაპონიაში — 7891, აშშ-ში — 7085, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში — 4046, საფრანგეთში — 2982, ხოლო იტალიაში კი 1712 ათასი მსუბუქი ავტომანქანა; 1 ათას მცხოვრებზე შესაბამისად: 5, 65, 29, 68, 54 და 30 ავტომანქანა. ე. ი. ამ 20 ქვეყნიდან მსუბუქი ავტომანქანების წარმოების მხრივ პირველ ადგილზეა იაპონია, ხოლო 1 ათას მცხოვრებზე გაანგარიშებით კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ცხრილის მონაცემებიდან აღსანიშნავია ისიც, რომ 1980—1987 წლებში მსუბუქი ავტომანქანების წარმოება სსრ კავშირში გაიზარდა მხოლოდ 0,4%-ით, ხოლო 1 ათას მცხოვრებზე გაანგარიშებით კი ერთ დონეზეა (5 ავტომანქანა).

მე-2 ცხრილის მონაცემების ანალიზიდან შეიძლება დაეასკვნათ, რომ მსოფლიოში სსრ კავშირი მსუბუქი ავტომანქანების წარმოების მხრივ დაბალ დონეზეა, რაც ძირითადად ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდის შედეგია.

საქართველოს ავტომოტოსერვისის სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით აქ ეიძლევიტ ზოგიერთ რეკომენდაციას:

ც ხ რ ი ლ ი 2

მსუბუქი ავტომანქანების წარმოება სსრ კავშირსა და საზღვარგარეთის  
ზოგიერთ ქვეყანაში 1980—1987 წლებში

		სულ, ათასი ცალი				ათას მცხოვრებზე, ცალი			
		1980	1985	1986	1987	1980	1985	1986	1987
1	სსრ კავშირი	1327	1332	1326	1332	5	5	5	5
2	გერმან. დემოკრ. რესპ.	177	210	218	217	11	13	13	13
3	პოლონეთი	358	286	293	296	10	8	8	8
4	ჩეხოსლოვაკია	184	184	185	172	12	12	12	11
5	იუგოსლავია	255	228	253	296	11	10	11	13
6	ამერიკის შეერთებული შტატები	6400	8002	7516	7685	28	33	31	29
7	დიდი ბრიტანეთი	924	1048	1019	1143	16	19	18	20
8	საფრანგეთი	3488	2817	2733	2982	65	51	49	54
9	გერმ. ფედ. რესპ.	3239	3862	3984	4046	54	65	67	68
10	იტალია	1445	1384	1653	1712	26	24	29	30
11	ესპანეთი	1048	1217	1289	1428	28	32	33	37
12	იაპონია	7038	7646	7810	7891	60	63	64	65
13	ავსტრალია	399	382	318	311	27	24	20	19
14	კანადა	847	1075	1061	810	35	42	41	31
15	შვეიცია	268	402	420	400	32	48	50	48
16	სამხრეთ კორეა	58	262	457	796	2	5	11	19
17	არგენტინა	219	114	138	140	8	4	4	4
18	ბრაზილია	652	754	700		5	6	5	—
19	ინდოეთი	30	102	130	153	0,0	0,1	0,2	0,2
20	მექსიკა	316	286	198	208	5	4	2	3

— საქართველოში ინდივიდუალური ავტომანქანების რაოდენობა ჩქარი ტემპებით იზრდება. შესაბამისად უნდა იზრდებოდეს მათი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების საწარმოო სიმძლავრეები, რაც სინამდვილეში არ ხდება. ამ, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, აუცილებელია არსებული საწარმოების გაფართოება-რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება, ხოლო იმ რაიონებში და მსხვილ სასოფლო-ცენტრებში სადაც ასეთი საწარმოები არ არიან, მათი ფილიალების გახსნა.

თუ რესპუბლიკის ავტოსერვისის საწარმოებს გადაეყვანთ მუშაობის ორ-  
 ცვლიან რეჟიმზე, მაშინ გაჩნდება შესაძლებლობა უმნიშვნელო დანახარჯე-  
 ბით მომსახურების რეალიზაციის მოცულობა დამატებით 25—30%-ით გა-  
 იზარდოს, ხოლო გამონათვისუფლებული მატერიალური და ფინანსური რესურ-  
 სები გამოეყენოთ სათადარიგო ნაწილების წარმოების ვასაფართოებლად.

მსუბუქი ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების არსებული დეფიციტის  
 ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ პრაქტიკულად არ ხდება მოქალაქეთა  
 კუთვნილი მოძველებული ავტომანქანების ჩამოწერა. აღსანიშნავია რომ ავტო-  
 მანქანების 45 პროცენტის ექსპლუატაცია წარმოებს 10 წელზე მეტი ხნის გან-  
 მავლობაში. ავტომანქანების პარკის ასაკის ზრდასთან ერთად, მრავალჯერ იზრ-  
 დება სათადარიგო ნაწილების ხარჯვა, რის გამოც მანქანები სათადარიგო ნა-  
 წილების გამოშვების გადიდებაც ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგს.  
 აუცილებელია ამ საკითხის შესწავლა ავტორიტეტული კომისიის მიერ და სა-  
 ჭირო ღონისძიებების დასახვა.

მსუბუქი ავტომანქანების პარკის ინტენსიური ზრდის პირობებში, რომე-  
 ლიც არსებული საწარმოების რეკონსტრუქცია-გაფართოებისა და ახალი ქარ-  
 ხნების ექსპლოატაციაში გადაცემით 2005 წლისათვის შეიძლება 2-ჯერ და მე-  
 ტად გადიდდეს, მიზანშეწონილია საქართველოში ავტოსერვისის შერეული  
 სისტემის განვითარება. ამის აუცილებლობა მტკიცდება ავტომობილიზაციის მა-  
 ლალი ღონის მქონე საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებით.

ავტოსერვისის საწარმოებში, წარმოების ტექნიკური ღონის ამღლების  
 მიზნით, საჭიროა საბჭოური და საზღვარგარეთის ტექნიკის ახალი მიღწევებისა  
 და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში ფართოდ დანერგვა. აუცილებელია  
 აგრეთვე უახლესი მანქანა-მოწყობილობათა და ტექნოლოგიის შექმნა. ამ პრობ-  
 ლემების გადასაჭრელად ბუნებრივია გვეჭირდება ვალუტა. ამიტომ საქავტომო-  
 ტოსერვისის ხელმძღვანელობამ უნდა იფიქროს საზღვარგარეთის შესაბამის  
 მოწინავე ფირმასთან, ასოციაციასთან ან კონცერნთან ერთობლივი საწარმოს  
 შექმნის შესახებ.

როგორც ჩვენს ქვეყანაში ანკეტური გამოკითხვის შედეგები და საზღვარ-  
 გარეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, ავტომფლობელთა 30%-ზე მეტი  
 თვითონ უწევენ, ან სურთ რომ გაუწიონ მომსახურება თავიანთ ავტომანქანებს.  
 ამიტომაც საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ავტოსერვისის საწარმოებში, ავ-  
 ტოსადგომებში ავტოგასამართ სადგურებში, გარაჟებში და ქვეყნის ტრასაზე  
 თვითმომსახურების უბნების შექმნა. ამასთან უპირატესობა უნდა მიენიჭოს  
 პირველ რიგში საშუალო სიდიდის საწარმოებს და სახელოსნოებს 1—3 სამუ-  
 შაო ადგილით და 2—5 მომუშავეთ. ისინი შეიძლება საკმაოდ ჩქარა ჩამოყა-  
 ლიბდეს კოოპერატიულ ან სხვა საწყისებზე რესპუბლიკის ყველა რეგიონში,  
 მათ შორის სოფელ ადგილებშიც.

განვავითაროთ ფართო საცალო ვაჭრობა საჭირო ნომენკლატურის სათა-  
 დარიგო ნაწილების სპეციალიზებულ მაღაზიებში, ენიიდან ავტომანქანების  
 მფლობელთა გარკვეული ნაწილი თვითონ ახდენს საკუთარი ავტომანქანის ტექ-  
 ნიკურ მომსახურებას ან მომსახურებისათვის მიმართავს კოოპერატივებს, სახე-  
 ლოსნოებს, ინდივიდუალურად მომუშავე კერძო პირებს. ამით ლიკვიდირებულ  
 იქნება ავტოსერვისის საწარმოთა მონოპოლია დეფიციტურ სათადარიგო ნაწი-  
 ლებზე. ამ საკითხის გადაწყვეტა უნდა დაიქარდეს.



მეტად მწვავედ დგას რესპუბლიკის ავტოსერვისის სათადარიგო ნაწილებით მომარაგების საკითხი. სათადარიგო ნაწილების დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, აუცილებელია პეციალიზებული ქარხნის აშენება. აქვე უნდა მოხდეს სათადარიგო ნაწილების შეკეთებისათვის საჭირო კვანძების, აგრეგატებისა და ნაწილების აღდგენა.

მსუბუქი ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია: დარგის საწარმოებში, გააძლიერონ მუშაობა, რათა გამოუშვან მეტი პროდუქცია; სათადარიგო ნაწილები ფართო მოხმარების საგნების სახით გამოუშვან სხვა დარგის სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში. ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების წარმოების გადიდებას ხელს უშლის აგრეთვე ზოგიერთი სახის ნედლეულისა და მასალების ფონდების შეზღუდვა. ასეთია სპეციალური ხარისხის თუჯი, ფოლადი, პლასტმასი, რეზინი და სხვ. საჭიროა ამ ხარვეზის აღმოფხვრა.

სათადარიგო ნაწილების გამოშვების გადიდების სტიმულირების არსებული სისტემა უკიდურესად ნელა მოქმედებს წარმოქმნილ დეფიციტზე. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით აუცილებელია შემუშავდეს და დაინერგოს მწარმოებელი ქარხნებისათვის სათადარიგო ნაწილების გამოშვების ოპერატიული გადიდებისა და დეფიციტის ლიკვიდაციისათვის შესაბამისი ეკონომიკური სტიმულირების სისტემა.

რესპუბლიკის სრული ეკონომიკური და პოლიტიკურა დამოუკიდებლობის პირობებში, რომლის კარიბჭესთანაც დღეს ვიმყოფებით, აუცილებელია საქართველოს ავტომოტოსერვისის საწარმოო გაერთიანების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლა. უნდა გაუქმდეს მისი სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსადმი დაქვემდებარება და კვლავ გადაეცეს საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობისა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს. ამით თავიდან იქნება აცილებული ცენტრიდან დიქტატი და მნიშვნელოვნად შემცირდება მართვის ხარჯები. ამ საკითხში ჩვენ ვიზიარებთ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ა. მუმლაძის აზრს.

გარდამავალ პერიოდში, ესე იგი 1991 წლის 1 იანვრიდან პრაქტიკულად უნდა შევეუდგეთ საწარმოებისა და ორგანიზაციების განსახელმწიფოებრიობას, პრივატიზაციას, დეცენტრალიზაციას და მცირე საწარმოთა ქსელის ჩამოყალიბებას. დღეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულება, (მიწის, წიაღისეულის, ტყის, მოსახლეობის პირადი საკუთრების ჩათვლელად) 41,2 მილიარდი მანეთია, მათ შორის სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს 83%. ასეთი სტრუქტურების დაშლას ყოველმხრივ უნდა შევეუწყოთ ხელი, ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო ტიპის ავტოსერვისის პრივატიზაციას. ეს პროცესი მალე უნდა დაიწყოს საქართველოს ავტომოტოსერვისის სისტემაში. აქვე შეიძლება ავტოსერვისის ზოგიერთი საწარმოს შრომითი კოლექტივისათვის უფასოდ, შეღავათიან ფასებში, ან ნისიად გადაცემა.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის არასაწარმოო სფეროს ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილებამ

ამირ გოგორელიანი და გულთაში გელაშვილი

მიმდინარეობის ეფექტიანობა შიდასამართლო  
კოოპერატივის პირობებში

რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, საკუთარი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების განხორციელება მოკლე დროში და რესპუბლიკის ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა შესაძლებელია მთელი პოტენციალის გამოვლენით და გამოყენებით, საჭიროა ეკონომიკა დავაფუძნოთ საბაზრო მეურნეობის კანონებზე, ბაზარი კი როგორც ცნობილია წარმოუდგენელია საკუთარების მრავალფორმიანობის, თანასწორუფლებიან საქონელმწარმოებელთა ეკონომიკური განკერძოების გარეშე.

წარმოების ორგანიზაციის გაძღოლის შედარებით უკეთესი ფორმების დაწერვის საკითხებში ლანჩხუთის რაიონში ერთობ სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა. 1988 წლიდან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შექმნილია შიდასამეურნეო კოოპერატივები დარგების მიხედვით. ისინი გაერთიანებულია კოოპერატორთა საბჭოში, ცალკეულ კოოპერატივს ჰყავს თავმჯდომარე, არის იურიდიული პირი, აქვს ბეჭედი და ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში. კოოპერატივები სამეურნეო საქმიანობას მართავენ კოოპერატივის საბჭოს, შემდეგ ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული დებულების — „დებულება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არენდული ურთიერთობის დროს დაგეგმვის, აღრიცხვის და ანგარიშსწორების შესახებ“ — საფუძველზე. კოოპერატივებს გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები აგროფირმასთან.

მიუხედავად წარმოების ორგანიზაციულ საკითხში წინგადადგმული ნაბიჯისა, რაიონის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კოოპერატივებში ჯერ კიდევ დაბალია პროდუქციის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 1989 წლისათვის 1986 წელთან შედარებით შემცირებულია 44%-ით, მათ შორის ფურების სულადობა შემცირდა 42%-ით, აქედან კოლმეურნეობების კოოპერატივებში შემცირდა 2400 სულით, ფურები — 500 სულით, საბჭოთა მეურნეობების კოოპერატივებში შესაბამისად შემცირდა 1030 და 250 სულით. დაბალია პირუტყვის კონცენტრაციის მაჩვენებელიც, 1986—1989 წლებში ყოველ 100 ჰა სას. სამ. სავარგულზე რაიონის კოლმეურნეობებში მოდიოდა საშუალოდ 37 სული მსხვილი რქოსანი პირუტყვი, აქედან 10 სული ფური, საბჭოთა მეურნეობებში 36 და 15 სული შესაბამისად.

რაიონის მეურნეობებში დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა, წველადობის ფაქტიური დონე საშუალოდ 1986—1989 წლებში არ აღემატება 1600 კგ-ს 1 ფურზე კოლმეურნეობებში და 2000 კგ-ს საბჭოთა მეურნეობებში.

აღნიშნული მაჩვენებლები შემცირების ტენდენციით ხასიათდება. კოოპერატიული მეურნეობრიობის პირობებშიც კი ზოგიერთ კოლმეურნეობებში,

კერძოდ არჩეულის მსხვილფეხა მესაქონლეობის კოოპერატივში 1988 წლისათვის თუ ფურზე მიღებული იქნა 1060 კგ რძე, 1989 წლისათვის 833 კგ-მდე შემცირდა; ასევე ნიგვზიანის კოოპერატივში 1638 კგ-დან 907 კგ-მდე შემცირდა, გულიანის კოოპერატივში 2347 კგ-დან 678 კგ-მდე შემცირდა. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია რძის არახელსაყრელი ფასით. მეურნეობა ამჟობინებს თვითონ გადაამუშავოს რძე, ამოიყვანოს ყველი და ბაზარზე გაყიდოს მაღალ ფასში, ვიდრე კოლმეურნეობა უხდის ხელშეკრულებით. ამიტომ აღრიცხვის დროს არ უჩვენებენ პირუტყვის ფაქტიურ პროდუქტიულობას. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით, შესასყიდი ფასების მოწესრიგებით, კოოპერატივებს ექნებათ დაინტერესება გაზარდონ პირუტყვის პროდუქტიულობა და პროდუქციის წარმოება, კოოპერატივების უმრავლესობას, რომლებიც შედარებით ხელსაყრელ პირობებში არიან, მაღალია პირუტყვის პროდუქტიულობის მაჩვენებლები. ჩიბათის კოოპერატივში 1988 წლისათვის თუ ფურის პროდუქტიულობა — 2000 კგ-ს ვერ აღწევდა, 1989 წლისათვის 3200 კგ-მდე გაზარდეს, შრომისუბნის კოოპერატივში 1763 კგ-დან 4200 კგ-მდეც კი გაიზარდა.

რაიონის მეურნეობებში ფაქტიური აღრიცხვის მონაცემებით მაღალია პირუტყვის ბერწიანობის და უნაყოფობის მაჩვენებლები. კოლმეურნეობებში ყოველ 100 ფურზე ბერწი დარჩა 44 ფური, რის შედეგად მეურნეობამ ვერ მიიღო 72,7 ათასი მანეთი. 20%-მდე, რომ მაინც შემცირებულიყო აღნიშნული დონე, ყოველ დამატებით 24 ფურზე მეურნეობები დამატებით მიიღებდნენ 36,2 ათას მანეთს, საბჭოთა მეურნეობებში ყოველ 100 ფურიდან ბერწი დარჩა 27 ფური, რის გამოც შემოსავლებში დააკლდათ 26,7 ათასი მანეთი; 10%-მდე რომ მაინც შემცირებულიყო აღნიშნული დონე, დამატებით მეურნეობები მიიღებდნენ 16,6 ათას მანეთს.

აღნიშნული გარემოება ძირითადად გამოიწვია ზოოვეტ მომსახურების გაუარესებამ, კოოპერატივებმა გააუქმეს ზოოვეტ სამსახური, რაიონს ჰყავს მხოლოდ ერთი ვეტექიმი და ზოოტექნიკოსი, მუშაობს დაქირავებული წესით, ანაზღაურებას ღებულობს საათობრივი წესით, ზოგჯერ უარს ამბობენ ამ სამსახურზეც, რის გამოც ირღვევა პირუტყვის შენახვის და კვების პირობების კონტროლი, პირუტყვის უნაყოფობის დიაგნოსტიკა, რაც გარკვეულ ზარალს აყენებს მეურნეობებს. საშუალოდ საანალიზო წლებში ერთი სული უნაყოფო ფურის შენახვა დაუჯდათ 430 მანეთი კოლმეურნეობებს და 540 მანეთი საბჭოთა მეურნეობებს.

გარდა ამისა, კოოპერატივებში სათანადოდ არ ხდება აღრიცხვა-ანგარიშგება. მართალია აწარმოებენ პირუტყვის სულადობის მოძრაობის დავთარს, მაგრამ არ ხდება ყველა მიღებული ხბოს შემოსავალში აყვანა. 1990 წელს იანვრისათვის გულიანის მეცხოველეობის კოოპერატივში ნაჩვენებია აქეთ 9 ხბოს მიღება, მამათის კოოპერატივში 60 ფურიდან 17 ხბოს, სუფსაში — 70 ფურიდან — 20 ხბოს. წონა-მატის ფასების მოწესრიგებით, აღნიშნული საკითხიც გადაწყდება.

ლანჩხუთის რაიონის კოოპერატიულ მეურნეობებს ჯერ კიდევ ძვირი უჯდებათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქციის წარმოება. ცენტნერი წონა-მატის წარმოება კოლმეურნეობებს საშუალოდ 1986—1989 წლებში დაუჯდა 593 მანეთი, საბჭოთა მეურნეობებს — 486 მანეთი; ცენტნერი რძის წარმოება 58 და 57 მანეთი შესაბამისად. 1989 წლის სექტემბრიდან კოოპე-

რატივი კოლმეურნეობიდან ღებულობს წარმოებულ პროდუქციაზე გეგმიური თვითღირებულებით ანაზღაურებას, კოოპერატიორი კი მომვლელს უხდის რეალიზებულ კილოგრამ რძეზე 45 კაპიკს, მსხვილი რქოსანი პირუტყვის წონამატზე 2,5 მანეთს, ე. ი. პროდუქციის თვითღირებულება მაინც დიდია ვიდრე ფასი. გადაფარვა სხვაობისა ხდება მემცენარეობის შემოსავლებიდან, ეს კი არ იწვევს კოოპერატიორთა დაინტერესებას გაზარდოს პროდუქციის წარმოება. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით 1991 წლისათვის გათვალისწინებულია შესასყიდი ფასების ზრდა, უმაღლესი მეზორცეობის ცოცხალი წონის ფასი 5,21 მანეთამდე გაიზარდება, საშუალოდ მეზორცეობისა — 4,45 მანეთამდე, ასევე გაიზარდება რძის შესასყიდი ფასები, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ფასები მაინც დაბალია, კოოპერატივებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გაზარდონ შესასყიდი ფასები ისე, რომ იგი თვითღირებულებას კი არ დაუახლოვონ, არამედ დაუახლოვონ საბაზრო ფასს, რომ დარგები რენტაბელური გახდნენ.

ლანჩხუთის რაიონს გადაწყვეტილი აქვს მეცხოველეობის უხეში და წვნიანი საკვებით უზრუნველყოფის პრობლემა. 1700 ჰა-ზე თესენ სოიას სათიბად და სამარცვლად, 1000 ჰა-ზე სიმინდს სასილოსედ, 200 ჰა-ზე მრავალწლიან ბალახებს, 200 ჰა-ზე ტურნეფს, 300 ჰა-ზე შუალედურ კულტურებს. პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულ 2100 ჰა-ზე, რომელზედაც უნდა გაშენებულიყო ჩაი და სუბტროპიკული კულტურები, რაიონმა უარი თქვა მათზე და იყენებს ძირითადად საკვები კულტურებისთვის. რაიონს უხდება მხოლოდ კონცენტრირებული საკვების შემოტანა, კოოპერატივებს ცენტრალიზებული განაწილებით 1 კგ ხორცზე კოოპერაციული წესით ეძლევათ 2 კგ კომბინირებული საკვები ან 1 ტონა ხორცზე ერთი ჰექტარი სახნავი საკვები კულტურების მოსაყვანად, რაც ნაწილობრივ წყვეტს საკვების პრობლემას.

რაიონის კოოპერატიულ მეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქციის წარმოებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ჯოგის რაციონალური სტრუქტურის შექმნას. საანალიზო წლებში არსებული სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს მესაქონლეობის პროდუქციის წარმოების შემდგომ ზრდას, ფურების ხვედრითი წილი ჯოგში 27%-ია. არ არის შესაბამისობა ცალკეულ მოზარდულ ჯგუფებს შორის. 2 წელზე უხნესი უშობლების და დეკეულების ხვედრითი წილი 21%-ია. დაბალია 2 წლამდე ასაკის პირუტყვის ხვედრითი წილიც მოზარდულ ჯგუფებთან შედარებით, რომელმაც უნდა შეცვალოს ისინი, რის გამოც ძნელდება ჯოგის კვლავწარმოება.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგის არსებული სტრუქტურის სრულყოფა პირუტყვის სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების შემდეგი თანაფარდობით: ფურების ხვედრითი წილი უნდა გაიზარდოს 39—41%-მდე, უშობლების — 7%, დეკეულების 1-დან 2 წლამდე ასაკის 9—10%, მოზერის 1-დან 2 წლამდე — 15—16%, დეკეულების 1 წლამდე ასაკის — 14%, მოზერის 1 წლამდე ასაკის 16%. წარმოდგენილი სტრუქტურიდან გადახრა დასაშვებია ცალკეულ კოოპერატივთა საკვები ბაზის, კვების ტიპისა და მეურნეობის გაძლოლის სისტემიდან გამომდინარე.

საანალიზო მეურნეობებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი უხარისხო პროდუქციის რეალიზაციას სახელმწიფოზე. 1987—1989 წლებში საშუალოდ ჯანდაგი

პირუტყვის ჩაბარებით მეურნეობებმა შემოსავლებს დააკლეს 10,6 ათასი მანეთი, უხარისხო რძის ჩაბარებით — 17,5 ათასი მანეთი.

რძის ხარისხის ამაღლების და მომსახურების ხარჯების შემცირების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რიგი კომპლექსური ღონისძიებების გატარება. კოოპერატივის — ფერმას, რომელიც დღეში აბარებს 20 ლიტრ რძეს სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი უჯდება 25 მანეთი, აღნიშნული ხარჯები იფარება მემცენარეობის შემოსავლებიდან, რაც არ იწვევს კოოპერატორთა დაინტერესებას პროდუქციის ხარისხის შენარჩუნებით. — უნდა განხორციელდეს პირუტყვის კვების, პროდუქციის გადაზიდვისა და ჩაბარების დროს სანიტარული-ჰიგიენური პირობების დაცვა, სასურველია შესაძლებლობისდაგვარად დაინერგოს რძის ცენტრალოზებული გადაზიდვა მომხმარებელ ობიექტამდე, ერთმანეთისაგან დაახლოებით 10—15 კმ-ით დაცილებული მეურნეობებიდან. ამით გაიზრდება პარტნიორული თანამშრომლობა და დაინტერესება ჩაბარებული რძის ხარისხის ასამაღლებლად. წინასწარ შედგენილი გრაფიკით მძლოლ-ექსპედიტორი გამოიტანს რძეს ფერმებიდან, ხარისხი გაიზომება ადგილზე მეურნეობის ლაბორანტის და ხელმძღვანელის თანდასწრებით, რძის მიღების ზედნაღებში აღნიშნული უნდა იყოს ხარისხის ყველა მაჩვენებელი საბაზისო ცხიმოინოზზე გადაყვანით, რძის მიღების შემდეგ მძლოლ-ექსპედიტორი იქნება პასუხისმგებელი ჩასაბარებელი რძის ხარისხზე, ბრიგადის, კოოპერატივის წევრებმა რომ მიიღონ მხოლოდ (საბაზისო ცხიმოინოზზე გადაყვანით) გეგმის ზევით ჩაბარებული I ხარისხის რძის 70% (10% — მძლოლ-ექსპედიტორმა, 8% — ლაბორანტმა, დანარჩენი 52% — კოოპერატივის წევრებმა) გაიზრდება პასუხისმგებლობა ურთიერთდაკავშირებულ რგოლებს შორის, ჯერ ერთი, რძის ხარისხის ასამაღლებლად და მეორეც, დამოკიდებული არ იქნებიან სხვა დარგის შემოსავლებზე. ცალკეული მეურნეობების მიხედვით გადახრა დასაშვებია.

რაიონის კოოპერატივებმა უნდა დაიცვან შრომის ნაყოფიერების და ანაზღაურების ზრდის თანაფარდობა, რაც დღეისათვის დარღვეულია. 1988 წლისათვის კოლმეურნეობებში მსხვილი რქოსანი პირუტყვის წონა-მატის წარმოებაში შრომის ანაზღაურება გაიზარდა 22,7%-ით. შრომის ნაყოფიერება პირიქით — კაც-საათში წარმოებული პროდუქციით შემცირდა 24%-ით, საბჭოთა მეურნეობებში ანაზღაურება გაიზარდა 40,7%-ით, შრომის ნაყოფიერება შემცირდა 5%-ით, ანალოგიური ტენდენცია შეიმჩნევა რძის წარმოებაშიც.

აქ შრომის ანაზღაურება 1989 წლისათვის გაზრდილია 20,1%-ით, შრომის ნაყოფიერება კი გაიზარდა მხოლოდ 9,2%-ით. იმისათვის, რომ შენარჩუნებული იქნეს თანაფარდობა ამ ორ მაჩვენებელს შორის, მკაცრად უნდა იქნას დაცული წარმოების გაძლოის და შრომის დისციპლინის პირობები. უნდა იქნეს შესწავლილი მიზეზები, რომელნიც უარყოფითად მოქმედებს შრომის ნაყოფიერებაზე, რომ არ მოხდეს მიწერები და ხარჯების ხელოვნურად გაზრდა, რაც თავისთავად ზრდის პროდუქციის საწარმოო თვითღირებულებას. დაცული უნდა იქნეს წარმოების საბოლოო შედეგების მიხედვით ანაზღაურების პრინციპი.

აღნიშნულ ღონისძიებათა გათვალისწინებით მეურნეობებს აქვთ რეზერვები გაზარდონ მსხვილი რქოსანი პირუტყვის პროდუქციის წარმოება, ფურების სულადობის გაზრდით და მათი შესაძლებლობის ინტენსიური გამოყენებით, კერძოდ რაიონის საკოლმეურნეო კოოპერატივებში შესაძლებელია ფურების

სულადობა გაიზარდოს 1400 სულამდე, წველადობა 1700 კგ-მდე; საბჭოთა მეურნეობების კოოპერატივებში — 500 სულამდე, წველადობა 1800 კგ-მდე. ფაქტიურად მოქმედი ფასებით 1 ფურზე კოლმეურნეობები მიიღებენ 680 მანეთ შემოსავალს, მთელ სულადობაზე 952 ათას მანეთს, რაც ანაზღაურებს დანახარჯებს და 190 ათასი მანეთი დარჩებათ მოგება. საბჭოთა მეურნეობებში ფურზე მიიღებენ 720 მანეთს მთელ სულადობაზე 360 ათას მანეთს, აქედან მეურნეობებს დარჩება 72 ათასი მანეთი მოგება, რენტაბელობის დონე მიაღწევს 25%-ს.

კარგი იქნება თუ შეიქმნება რაიონში საკვებმწარმოებელი კოოპერატივებიც, სხვადასხვა დარგის კოოპერატივებს შორის დამყარდება ჰორიზონტალური კავშირები, მოხდება პროდუქტების ურთიერთგაცვლა, როგორც რაიონის შიგნით, ისე რაიონის გარეთ, რაც ნაწილობრივ მიაწვდის გადაწყვეტს რაიონის მოსახლეობის სასურსათო პრობლემას.

მართალია ზოგ კოოპერატივში მეურნეობა ჯერ კიდევ ზარალიანია, მაგრამ ეკონომიკური მექანიზმის ერთბაშად გარდაქმნა პირველივე წლებში შეუძლებელია. ყოველივე ახალს თან სდევს ხელშემშლელი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები, ზოგჯერ სრულყოფილად ვერ ხდება მისი ერთბაშად აღქმა ადამიანთა მიერ, ზოგიერთი ისევე ეჭიდება მეურნეობრიობის დრომოქმულ ფორმებს.

მეურნეობრიობის კოოპერაციული ფორმის დადებითი მხარეა ის, რომ ცალკეულ კოოპერატივებს თვითონ აქვთ გახსნილი საცალო ვაჭრობის მაღაზიები, სადაც იყიდება მეცხოველეობის თუ მემცენარეობის პროდუქტები, რომელიც მეურნეობას რჩება სახელმწიფო დავალების შესრულებას შემდეგ, ან გაცვლითი წესით შემოტანილი პროდუქტები, რაც მისასალმებელი ფაქტორია კოოპერატორთა საქმიანობაში.

Э. Д. ГОГОРЕЛИАНИ, Г. Г. ГЕЛАШВИЛИ

## ЭФФЕКТИВНОСТЬ ЖИВОТНОВОДСТВА В КООПЕРАТИВНОМ ХОЗЯЙСТВОВАНИИ

Резюме

В статье показаны положительные и отрицательные моменты кооперативного хозяйствования.

Даны предложения для эффективного использования этой формы ведения хозяйства путем совершенствования ценообразования в зависимости от рынка, качества продукции, структурного состава стада и т.д.

წარმოადგინა ეკონომიკის ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის აღორძინების განყოფილებამ

## დავით იმეჯი

### სამედიცინო მომსახურების ბაზრის ფორმირებისა და წონასწორობის რეგულირების საკითხები

სამეურნეო მეთოდების დახვეწას, სამედიცინო მომსახურებაზე დაუქმ-  
ყოფილებელი მოთხოვნების პირობებში ჯანდაცვის სისტემისათვის პრიო-  
რიტული მნიშვნელობა ენიჭება. იგი ხარჯსაწინააღმდეგო ღონისძიებების  
დანერგვისაკენ უნდა იყოს მიმართული, აგრეთვე აუცილებელია ამ სისტემაში  
შემავალი დაწესებულებების ორიენტაცია საბოლოო შედეგებზე.

ჯანმრთელობის დაცვის სოციალური ასპექტები არ უარყოფენ მართვის  
ადმინისტრაციული მეთოდებიდან მართვის ეკონომიურ მეთოდებზე გადას-  
ვლას ჩვენმა მედიცინამ უნდა ისწავლოს და მიეჩვიოს ანგარიშს, შეაფასოს  
ხარჯები, შედეგები და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება მათი ურთიერთდაპი-  
რისპირების საფუძველზე. ყველასათვის უკვე გასაგებია, რომ უსასყიდლო  
სამედიცინო მომსახურება მოსახლეობისათვის სრულებით არ არის უფასო.

ბუნებრივია, რომ ის სამეურნეო მექანიზმი, რომელიც ამჟამად ინერგე-  
ბა, მაგალითად მრეწველობაში, არ შეიძლება უშუალოდ გადმოტანილი იქნას  
ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. მაგრამ ახალი სამეურნეო მექანიზმის ამო-  
ცანა აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული რესურსების ეფექტიანობის  
ამაღლებაში ბუნებრივ და ერთადერთ სტრატეგიაში მათი დეფიციტურობის  
პირობებში.

საერთო კაპიტალდაბანდებების შეზღუდულობა მოითხოვს დამატებითი  
ფინანსური საშუალებების გამოძებნას და მოზიდვას. ამ უკანასკნელთა წყა-  
როდ შეიძლება იქცეს ჯანდაცვისათვის სარგებლიანი სპეციალური საგადასახა-  
დო სისტემა, სამედიცინო მომსახურების ახალი ფორმების დანერგვის შედე-  
გად გამონათვისუფლებული ფინანსური რესურსები<sup>1</sup> და ფასიანი სამედიცინო  
მომსახურების ელემენტების შემოტანა.

ფასიანი სამედიცინო მომსახურების ელემენტების გამოყენება დაკავში-  
რებულია განსაზღვრულ სიძნელეებთან, კერძოდ, აუცილებელია დაცული იქ-  
ნას ძირითადი პრინციპი ჩვენი ჯანდაცვის სისტემისა — სამედიცინო მომსახუ-  
რების უსასყიდლობა. ამასთან დაკავშირებით აქტუალური ხდება შემდეგი  
ამოცანა: სოციალურად გარანტირებული ანუ „უსასყიდლო“ სამედიცინო მომ-  
სახურებისა და ფასიანი მომსახურების ელემენტების შერწყმისა, ე. ი. „შერე-  
ული“ ჯანდაცვის სისტემის შექმნა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ განიხილება „შერეული“ ჯანდაც-  
ვის სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემები განვითარე-

<sup>1</sup> ივლისხმება მკურნალობის არასტაციონარული ფორმების გაფართოება.

ბულ კაპიტალისტურ ქვეყნებში<sup>2</sup>. საზღვარგარეთული გამოცდილების განზოგადებით, შეგვიძლია ვანვსასწავროთ, თუ რა ზომით შეიძლება გამოდგეს „შერეული“ სისტემის მექანიზმი ჩვენი საზოგადოებრივი ჯანდაცვის პირობებში.

ჯანდაცვის ახალ პირობებში ფუნქციონირებისას ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს მომსახურების ღირებულების ზუსტი განსაზღვრა და მისი განაწილება. ტრადიციული ეკონომიკური თეორიის მოდელები ბევრ შემთხვევაში გამოუსადეგარია ამ ამოცანის გადასაწყვეტად. „სად აზრზე“ დაფუძნებულ და ეკონომიკური თეორიით მითითებულ მიღებულ შედეგებს ხშირად შეეყვარო შეცდომაში ან იწვევენ დაბნეულობას. რეალური ანალიზი უნდა ითვალისწინებდეს ჯანდაცვის სისტემის ისეთ ფუნდამენტურ ასპექტებს, როგორც არის ამ ორგანიზაციის არაკომერციული ხასიათი, აგრეთვე ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტების „ეკონომიკური ქცევა“, რომელიც უფრო მეტად განპირობებულია პროფესიონალური ეთიკით და ტექნიკური დინტერესებით.

წინამდებარე სტატია ეხება „შერეული“ ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ ასპექტს, კერძოდ სამედიცინო მომსახურების ბაზრის ფორმირებასა და მისი წონასწორობის რეგულირების პრობლემებს.

სამედიცინო მომსახურების ბაზრის აღმწერელი ყველა მოდელისათვის საერთო აღმოჩნდა ზოგადი ხასიათის ზოგიერთი დაშვება, რომელიც პაციენტისა და ექიმის ქცევას ეხება. პაციენტი განიხილება როგორც სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების მომხმარებელი, რომელიც ღებულობს მომსახურებას ფასისდამიხედვით. მისი მოქმედება აღიწერება მოთხოვნის ფუნქციით, რომელიც ამყარებს კავშირს ერთ სულ მოსახლეზე აუცილებელ სამედიცინო მომსახურების რაოდენობასა და ამ მომსახურების ღირებულებას შორის აგრეთვე შემოსავლიდან, შესაბამის დემოგრაფიულ ფაქტორებთან, უსასყიდლო სამედიცინო მომსახურების რაოდენობასთან ერთ სულ მოსახლეზე და სხვა ცვლადებთან. იმისათვის, რომ გათვალისწინებული იქნას „თვისების ალბათობა“ სამედიცინო მომსახურების მოთხოვნის ფუნქციის აგებისას აიღება დაგვიანებული შესწორება მოთხოვნაზე. იგი ითვალისწინებს დამოუკიდებელ ცვლადების დროში ცვლილებას<sup>3</sup>.

მოთხოვნის ფუნქციას ( $D_t$ ) აქვს შემდეგი სახე:

$$Q_t^D/N_t = a_p AP_t^{a_1} INC_t^{a_2} COV_t^{a_3} MKN_t^{a_4}$$

სადაც:  $Q_t^D$  — ვიზიტების საშუალო რაოდენობა;

$N_t$  — მოსახლეობის რაოდენობა

$Q_t/N_t$  — ერთ სულ მოსახლეზე სამედიცინო მომსახურების რაოდენობა.

$AP_t$  — ერთი ვიზიტის საშუალო ფასი.

$INC_t$  — ერთ სულ მოსახლეზე არსებული რეალური შემოსავალი

$COV_t$  — მთავრობის მიერ ერთ სულ მოსახლეზე სამედიცინო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები;

<sup>2</sup> საზღვარგარეთულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ განიხილება მაგალითად პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია სამკურნალო დაწესებულებებსა და დაზღვევის ფირმებს, აგრეთვე საწარმოებს შორის ურთიერთკავშირთან, სამედიცინო მომსახურებას ბაზრის პრობლემებთან.

<sup>3</sup> აქაც და მთელს სტატიაში შემდეგში იგულისხმება კერძო პრაქტიკის მქონე ექიმის მიერ შესრულებული სამუშაო.



$MKN_t$  — დემოგრაფიული ცვლადი.

პაციენტის აზრით, ექიმი ეს იგივე ფორმაა, რომელიც მომსახურებას ეწევა. ფორმის ტრადიციული თეორია თავისი მიწოდების მრუდებით და მოგების მაქსიმიზაციით ყოველთვის არ წარმოადგენს შესაბამის მოდელს ექიმის ქცევის აღსაწერად<sup>4</sup>.

ექიმი — წარმოადგენს კერძო პირს, რომელიც განსაზღვრავს რაოდენობას და ფასს არა მოგებისათვის არამედ სარგებლობის მაქსიმიზაციისათვის. მოგების მაქსიმიზაციის თეორია არ ითვალისწინებს, მაგალითად ისეთ ფაქტორებს, როგორც არის დროის ის რაოდენობა, რომელსაც ექიმი თავისი კერძო პრაქტიკისათვის ანიჭებს უპირატესობას, აგრეთვე მის მისწრაფებას მოგების მისაღებად სხვადასხვა არაორდინალურ შემთხვევაში. უფრო მეტიც, ჩვენ ხშირად ვვხვდებით, რომ პროფესიონალური ეთიკა მას არ აძლევს საშუალებას ზოგიერთ შემთხვევაში უარი უთხრას პაციენტს სამედიცინო მომსახურებაზე. შესაძლებელია არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ექიმის კვალიფიკაცია ხშირად განაპირობებს პაციენტების ამორჩევას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგიერთი შემთხვევა მას დააინტერესებს მეტად სხვასთან შედარებით, ამისდამხედვეთ მას შეუძლია დაადგინოს ისეთი ფასი, რომელიც მისცემს საშუალებას შექმნას ჰარბი მოთხოვნა და შესაბამისად ამოიჩიოს ისეთი შემთხვევები, რომლებიც მისთვის უფრო მეტად საინტერესოა და ხელსაყრელი.

მიწოდებული სამედიცინო მომსახურების რაოდენობის განსასაზღვრავად იყენებენ მიწოდების ფუნქციას ( $S_t$ ) რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

$$Q_t^s / M_t = b_0 AP_t^{b_1} INP_t^{b_2} T_t^{b_3} COVS_t^{b_4}$$

სადაც:  $Q_t^s$  — შემოთავაზებული სამედიცინო მომსახურების რაოდენობა.

$M_t$  — ექიმთა რაოდენობა.

$Q_t^s / M_t$  — სამედიცინო მომსახურების რაოდენობა მოსული ერთ ექიმზე.

$AP_t$  — ერთი ვიზიტის საშუალო ფასი.

$INP_t$  — ერთი ექიმის შემოსავლის რაოდენობა

$T_t$  — დროის ტრენდი, გამოიყენება სამედიცინო მომსახურების ზრდის ტემპის გასაზომად.

$COVS_t$  — ერთ ექიმზე, მთავრობის მიერ სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები<sup>5</sup>.

მომსახურების ღირებულებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო მომსახურების ბაზარზე. წონასწორული ბაზრის შემთხვევაში ფასი ყალიბდება იქ, სადაც მოთხოვნა უტოლდება მიწოდებას წონასწორული ფასის შემთხვევაში არ არსებობს არც ჰარბი მოთხოვნა არც ჰარბი მიწოდება. ეკონომიური თეორია უახლოეს წარსულში მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული

<sup>4</sup> მიწოდების მრუდს მრეწველობაში აქვს დადებითი დახრა; როცა მიწოდებას მრუდს სამედიცინო მომსახურებაზე აქვს უარყოფითი დახრა, ეს განსხვავება ხშირად ხდება კამათის საგანი. მაგ. Martin S. Feldstein — The Review of Economics and Statistics. May 1970. TEH-WEI HV and Bong M. Yang — Applied Economics 1988, 20.

<sup>5</sup> ზოგიერთ მოდელში გამოიყენება შემოტანილი რესურსების ღირებულება მათი მოცულობის მავიერად. მაგ.: Gameron A. — Rev. of econ. Studies — Edinurgh 1988, Vol 55.

წონასწორული ბაზრის მოდელზე, რომლებშიც საბაზრო ფასების გაანგარიშება ხდებოდა აუქციონისტების საშუალებით ან მსგავსი მექანიზმებით, ამ ბოლო დროს როგორც მიკრო ასევე მაკრო მოდელებში შეიმჩნევა რამდენაღმე გადახრა ტრადიციული ჰიპოთეზიდან იმის შესახებ, რომ ბაზარზე ფასები ყოველთვის ნათელია.

ბოლო 30 წლის მანძილზე მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სამედიცინო მომსახურების მოთხოვნასა და მიწოდებაზე ჩატარებულმა ემპირიულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სამედიცინო მომსახურების ბაზარი იმყოფება მუდმივად არაბალანსირებულ მდგომარეობაში<sup>6</sup>. ჩატარებულმა ემპირიულმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ფასების მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობის კოეფიციენტი ყოველთვის დადებითია. ეს შეიძლება აიხსნას შემდეგნაირად: ექიმს თავისი პროფესიის უნიკალურობის გამო შეუძლია მოახდინოს გავლენა ბაზრის კონიუქტურაზე ისე, რომ ბაზარზე მუდმივად სჭარბოდეს მოთხოვნა მიწოდებას, რის გამოც მისი შემოსავალი არ შემცირდება.

ბაზრის არაბალანსურობის ქვეშ იგულისხმება წონასწორული საბაზრო ფასისა და კვოტური ფასის შეუსაბამობა, მათი უტოლობა, რაც გვაიძულებს შემოვიტანოთ ფასების რეგულირების განტოლება<sup>7</sup>.

$$P_t - P_{t-1} = f(\bar{P}_t - P_t)$$

სადაც:  $\bar{P}_t$  — წონასწორული ფასია.

სამედიცინო მომსახურების ბაზრის სრულ არაწონასწორულ ეკონომიკურ მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$Q_t^D/N_t = D(P_t, X_{1t}, \dots, X_{kt}) + U_{1t}$$

$$Q_t^S/M_t = S(P_t, Z_{1t}, \dots, Z_{mt}) + U_{2t}$$

$$P_t - P_{t-1} = f(\bar{P}_t - P_{t-1}) + U_{3t}$$

სადაც:  $U_{1t}$ ,  $U_{2t}$ ,  $U_{3t}$  — უწონასწორობის მახასიათებელი ცვლადებია.

60-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ცდილობდნენ ბაზრის რაოდენობრივი მოდელების აგებას და მის რეგულირებას. შეფასებული ელასტიურობა, მოთხოვნილი მომსახურების რაოდენობისა ფასთან შეფარდებით ყოველთვის იყო დადებითი. მიღებული ფასები და მომსახურების რაოდენობა არ მიეკუთვნებოდნენ მოთხოვნის ფუნქციას და ბაზარი არ ექვემდებარებოდა მარშალისა და ვალრასის წონასწორობის რეგულირების მოდელს ჰარბი მოთხოვნის თავიდან ასაცილებლად.

სამედიცინო მომსახურების ბაზრის წონასწორობის რეგულირების პრობლემები მკიდროდ არის დაკავშირებული ექიმთა შრომის ბაზართან<sup>8</sup>.

პოლიტიკა, რომელიც შემუშავდება მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ ორი ბაზრის ურთიერთმოქმედებაზე და მათ ბალანსირებულ მდგომარეობაზე.

<sup>6</sup> Martin S. Feldstein — The Review of Economics and statistics May 1970. სტატიაში არის ამ თვისის დამტკიცების მცდელობა, თითქოს მუდმივი არაბალანსირებულ მდგომარეობა ამ ბაზრის მახასიათებელი თვისებაა.

<sup>7</sup> Л. Столерю, Равновесие и экономический рост. М., 1974.

<sup>8</sup> რუსული შესატყვისი ასეა „Рынок труда для врачей“.

სამედიცინო მომსახურების ბაზრის ისტორია ამტკიცებს, 60-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში „ექიმების ნაკლებობით“ გამოწვეულ პანიკას აგრეთვე სამედიცინო მომსახურების ფასებზე მკაცრ კონტროლს, რომელსაც ითვალისწინებდა პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაციის მიერ 70-იან წლების დასაწყისში შემუშავებული პროგრამა. სპეციალური სამედიცინო პროგრამის განხორციელების შემდეგ 70-იანი წლების შუა რიცხვებიდან სამედიცინო მომსახურების მიწოდება მნიშვნელოვნად გაიზარდა<sup>9</sup>. 80-იანი წლების დასაწყისიდან ზოგიერთ შტატებში აღინიშნა ჭარბი მომსახურება ექიმთა მხრიდან.

შემდეგში შევჩერდებით წონასწორობის რეგულირების საკითხებზე. ვთქვათ დროის რაღაც  $t$  მომენტში მოთხოვნა არის

$$Q_t^D/N_t = D(P_t, X_{1t}, \dots, X_{kt}) \quad (1)$$

ხოლო მიწოდება

$$Q_t^S/M_t = S(P_t, Z_{1t}, \dots, Z_{mt}) \quad (2)$$

სადაც:  $Q$  — ექიმის მიერ გაწეული მომსახურების რაოდენობა;

$N$  — მოსახლეობის რაოდენობა;

$M$  — კერძო პრაქტიკის ექიმთა რაოდენობა;

$P$  — ერთი ვიზიტის საშუალო ფასი;

$X$  და  $Z$  — სხვა დამოუკიდებელი ცვლადებია. მათ რიცხვში შეიძლება შევიდნენ დავკვიანებული მოთხოვნა და მიწოდება.

შეგუებოს თეორიის თანახმად დროის ნებისმიერ მოწაკვეთში არსებობს ისეთი მნიშვნელობა, ვთქვათ  $\bar{P}_t$ , რომლის დროსაც მოთხოვნის რაოდენობა და მიწოდების რაოდენობა ერთმანეთის ტოლია

$$N_t D(\bar{P}_t, X_{1t}, \dots, X_{kt}) = M_t S(\bar{P}_t, Z_{1t}, \dots, Z_{mt}) \quad (3)$$

მართალია  $\bar{P}_t$  — წონასწორული ფასის რეალიზაცია არ ხერხდება დროის მოცემულ მოწაკვეთში, მაგრამ წინამდებარე პერიოდის სამედიცინო მომსახურების ფასები იცვლებიან მიმდინარე პერიოდის წონასწორული ფასისაკენ შემდეგი დამოკიდებულებით

$$P_t - P_{t-1} = f(\bar{P}_t - P_{t-1}) \quad (4)$$

წონასწორობის რეგულირების მოდელი, როგორც ვხედავთ შედგება ორი განტოლებისაგან, ესენია მიწოდების განტოლება და ფასის კორექტირების განტოლება. ფასის კორექტირების განტოლების შესაფასებლად შევცვალოთ  $\bar{P}_t$  ექვივალენტური ცვლადებით, რომელთა მიღებაც შესაძლებელია (3) განტოლების ამოხსნის შემდეგ.

დავუშვათ, რომ განტოლებები წრფივია ცვლადების ლოგარითმების მიმართ, მაშინ მიწოდების განტოლებას ექნება შემდეგი სახე<sup>10</sup>:

$$q_t^s - m_t = a_0 + a_1 \bar{P}_t + \sum_i a_i z_{it} + u_t \quad (5)$$

<sup>9</sup> 174 ექმიდან 100 000 მოსახლეზე 1975 წელს, 202 ექიმამდე 100 000 მოსახლეზე 1980 წლისათვის. Martin S. Feldstein — The Review of Economics and Statistics. May 1985.

<sup>10</sup> პატარა ასოებით აღნიშნულია ცვლადების შესაბამისი ლოგარითმები  $P = \log P$  ხოლო  $U_t$  და  $V_t$  — შემთხვევითი ცდომილებებია.

მოთხოვნის ფუნქციის ექნება შემდეგი სახე:

$$q_t^p - n_t = b_0 + b_1 \bar{P}_t + \sum_i b_j x_{jt} + V_t \quad (6)$$

დაეუშვათ  $\bar{P}_t$  არის იმ ფასის ლოგარითმი, რომელიც აწონასწორებს  $q_t^S$  და  $q_t^P$  მაშინ ვლებულობთ:

$$a_0 + a_1 \bar{P} + \sum_i a_i z_{it} + m_t + u_t = b_0 + b_1 \bar{P}_t + \sum_i b_j x_{jt} + n_t + V_t \quad (7)$$

ან

$$P_t = (a_1 - b_1)^{-1} [b_0 - a_0 - \sum_i a_i z_{it} + \sum_i b_j x_{jt} - (m_t - n_t) - u_t - V_t] \quad (8)$$

ჩვეულებრივად წონასწორობის რეგულირებისათვის იყენებენ, ფასების დინამიური კორექტირების ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოდელს<sup>11</sup>:

პირველ მოდელში ფასის რეგულირება ხდება დაგვიანებით, იგი მიმართულია ისეთი ფასისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობას.

$$P_t - P_{t-1} = \lambda (\bar{P}_t - P_{t-1}) + \varepsilon_t \quad 0 < \lambda < 1 \quad (9)$$

აქედან ვლებულობთ:

$$P_t = \lambda (a_1 - b_1)^{-1} [b_0 - a_0 - \sum_i a_i z_{it} + \sum_j b_j x_{jt} - (m_t - n_t)] + (1 - \lambda) P_{t-1} + \varepsilon_t^1 \quad (10)$$

სადაც

$$\varepsilon_t^1 = \varepsilon_t + \lambda (a_1 - b_1)^{-1} (V_t - u_t)$$

მეორეს წარმოადგენს ვალრასის მოდელი: ფასის ზრდის ტემპი დადებითად შეეფარდება მოთხოვნის სიჭარბის დონეს (4) და (9) განტოლების მაგივრად ვალრასის მოდელიდან გამომდინარეობს, რომ

$$P_t - P_{t-1} = \mu [q_t^P (P_{t-1}) - q_t^S (P_{t-1})] + W_t \quad (11)$$

სადაც:  $q_t^P (P_{t-1})$  მომსახურების რაოდენობის ლოგარითმია, რომელიც იქნება მოთხოვნილი დროისათვის, იმ პირობით, რომ  $t-1$  დროის მომენტში არსებული საშუალო ფასი დროის  $t$  მომენტშიც შენარჩუნებული იქნება

$q_t^S (P_{t-1})$  — წარმოადგენს შესაბამისი მიწოდების ცვლადს.

მოთხოვნილი რაოდენობისათვის (5) და (6) განტოლებების შეცვლით მივიღებთ:

$$P_t = \mu [b_0 - a_0 + \sum_j b_j x_{jt} - \sum_i a_i z_{it} - (m_t - n_t)] + [1 + \mu (b_1 - a_1)] P_{t-1} + W_t^1 \quad (12)$$

სადაც

$$W_t^1 = W_t + \mu (V_t - U_t)$$

სამედიცინო მომსახურების ბაზრის მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები დღესაც არ კარგავენ თავიანთ აქტუალობას. სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ზრდის პერსპექტივით გამოწვეული უკმაყოფი-

<sup>11</sup> А ш м а н о в С. А. Введение в математическую экономику. М.: 1984.

ლება და მომსახურების არასაკმარისობა სერიოზულ შემფოთებას იწვევს დასავლეთის ქვეყნებში<sup>12</sup>.

ყველაზე ეფექტიან საშუალებად ამ სიძნელეთა დასაძლევად მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მიაჩნიათ მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის გაფართოება, ცდილობენ, რაც შეიძლება მეტ ადამიანს ჰქონდეს სამედიცინო დაზღვევა<sup>13</sup>. ფართოდ გავრცელებული სამედიცინო დაზღვევის პრაქტიკა გულისხმობს, რომ ფასი პაციენტის მიერ გადახდილი და მაშასადამე ფასიც, რომელიც შედის მოთხოვნის განტოლებაში (1), წარმოადგენს საშუალო ვიზიტის ღირებულებას გამოკლებული სადაზღვევო კომპენსაცია.

მაშინ მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელთაც გააჩნიათ, სამედიცინო დაზღვევა მოთხოვნის ფუნქციას (1) ექნება შემდეგი სახე:

$$Q_t^D/N = (P_t/P_{стр.}, x_{1t} \dots x_{kt})$$

ან

$$q_t^D - n_t = b_0 + b_1(\bar{P}_t - P_{стр.}) + \sum_i b_i x_{it} + V_t$$

სადაც  $P_{стр.}$  სადაზღვევო კომპენსაცია, რომელსაც არ იხდის პაციენტი.

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ხანია არსებობენ ფასიანი სამკურნალო დაწესებულებები. მაგ. 1946 წლიდან არსებობს ფასიანი სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, ფასიანია, აგრეთვე რესპუბლიკური ბალნეოლოგიური საავადმყოფო, უკანაკელი წლების მანძილზე შეიქმნა ბევრი ფასიანი კოოპერატიული სამკურნალო დაწესებულებები. შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების დამუშავებით და ზემოთ განხილული მოდელების გამოყენებით, შეგვიძლია განვსაზღვროთ სამედიცინო მომსახურების ბაზრის კონიუქტურის ცვლილება და გავეყოთ მოკლევადიანი პროგნოზი.

Д. Д. ИМНАДЗЕ

## ВОПРОСЫ ФОРМИРОВАНИЯ РЫНКА ВРАЧЕБНЫХ УСЛУГ

Резюме

В данной работе рассматривается «смешанная» система здравоохранения. Описывается один из аспектов этой системы — рынок врачебных услуг. Предложен вариант потсроения функции «спроса и предложения на врачебные услуги. Дан сравнительный анализ двух моделей регулирования равновесия.

წარმოადგინა საქ-ს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სისტემური გამოკვლევების მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების მეთოდოლოგიის შემუშავების ლაბორატორიამ

<sup>12</sup> უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა მკურნალობის სულ უფრო და უფრო თანამედროვე მეთოდებმა, რომელიც ძვირადღირებულ სამედიცინო ტექნოლოგიებზეა დამყარებული.

<sup>13</sup> აშშ-ში სამედიცინო დაზღვევის მქონე მოსახლეობის პროცენტი 1966 წლისათვის შეადგენდა მოსახლეობის 45,8%, ხოლო 1980 წლისათვის მიაღწია 68,5%.

### ბულნაჰ ერომანიჰვილი

#### არენდული იჯარა, როგორც მიცნიერულ-ტექნიკური პროგრემის დაჩქარების ძველიტი სტიმული

სამრეწველო საწარმობებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრემის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მატერიალური რესურსების ეკონომიისა და საერთოდ წარმობების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას წარმობების, შრომის ორგანიზაციისა და მატერიალური სტიმულირების პროგრესული მეტოდის არენდული ურთიერთობების განვითარება წარმოადგენს.

1986 წლიდან არენდული ურთიერთობები გავრცელდა სოფლის მეურნეობაში, ხოლო 1988 წლიდან დაიწყო სახელმწიფო საწარმობის გადაცემა შრომითი კოლექტივების განკარგულებაში საარენდო წესით უვადოდ ან განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

არენდული იჯარა მეურნეობრიობის ეფექტური ფორმაა, რაც ნათლად ჩანს დაბალრენტაბელურ საწარმობებში. არენდით მუშაობის შემთხვევაში, მოკლე ვადაში ისინი რენტაბელური ხდებიან. სწორედ მოარენდე კოლექტივებში ვლინდება ისეთი თვისებები, როგორცაა: ადამიანის დამოკიდებულება დაკისრებული საქმიანობისადმი, კომპეტენტურობა, კეთილსინდისიერება, დისციპლინა, ყირათიანობა, მაღალი კვალიფიკაცია, შრომის საბოლოო შედეგებით დაინტერესება და სხვა.

არენდის დროს წარმობების მართვაში მუშაკები აქტიურები ხდებიან. ამ შემთხვევაში მშრომელთა მონაწილეობა უფრო საქმიანი და კონკრეტულია. ქონების არენდით ალება აძლიერებს მეპატრონის მოვალეობას, რაც ხელს უწყობს როგორც საკუთრებისადმი არსებული ვაუცხოების დაძლევას, ისე მუშაობაში მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევას.

არენდული იჯარა შეიძლება იყო ორი სახის:

1. არენდული ურთიერთობები საწარმობებსა და მის ზემდგომ ორგანობებს შორის, ე. ი. როცა საწარმო მთლიანად გადადის არენდულ იჯარაზე;

2. არენდული ურთიერთობები საწარმოს ადმინისტრაციისა და საწარმოს სტრუქტურული ქვეგანყოფილებების შრომით კოლექტივებს შორის, ე. ი. როცა არენდულ იჯარაზე გადადის საწარმოს საწარმო ქვეგანყოფილებები. საკუთრების გადაცემა ხდება საარენდო ხელშეკრულების საფუძველზე.

ხელშეკრულების თანახმად მერარენდე საწარმო დროებით მფლობელობაში იღებს საწარმოო შენობებს, ნაგებობებს, ტექნიკას, მოწყობილობას, ე. ი. ყველა ძირითად წარმობების საშუალებას, რომელიც აუცილებელია სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობისათვის. არენდის ვადა განისაზღვრება ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე. იგი დამოკიდებულია ძირითადი ფონდების განახლების რეალურ პროცესზე. ხელ-

შეკრულების ვადა შეიძლება 8-15 წლით განისაზღვროს და არ დაემთხვეს ხუთწლიან პერიოდს.

ხელშეკრულების შესაბამისად საწარმო ვალდებულია არენდით აღებული შენობები, ნაგებობები, მოწყობილობა, საბინაო ფონდი და სოციალურ-კულტურული კომპლექსი იქონიოს ტექნიკური ექსპლუატაციის სრული წესების შესაბამისად, დაიცვას და გაზარდოს კოლექტივის საკუთრება, იკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა ყოველგვარი ზარალისათვის. მუდამ განაახლოს და სრულყოს საწარმოო ფონდები, გამოიყენოს უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები.

საწარმო თვითონ შეიმუშავებს წლიურ და ხუთწლიან გეგმებს: ხელშეკრულებებს დებს საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, ასრულებს სახელმწიფო შეკვეთებს, დადგენილი პრეისკურანტი და სახელშეკრულებო ფასების პროდუქციის რეალიზაციას ეწევა, წყვეტს საკადრო საკითხებს. ამასთან, მხედველობაში იღებენ მართვის სტრუქტურას, საწარმოს მუშაობის შერჩეულ რეჟიმს, დასამზადებელი პროდუქციისა და მომსახურების გაწევის მოცულობასა და სახეობებს (სახელმწიფო შეკვეთებისა და მიწოდებათა ხელშეკრულების გარდა), ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე სამინისტროს უჩივბავს თავისი შემოსავლის ნაწილს სამეურნეო საქმიანობის შედეგებისაგან დამოუკიდებლად, რომელიც ხორციელდება სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპის საფუძველზე და ა. შ.

დადებული ხელშეკრულების პირობები შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ ცენტრალიზებულად დამტკიცებული ფასების შეცვლის დროს და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საჭარიმო სანქციები კონკრეტული ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს არბიტრაჟი.

არენდატორი ვალდებულია ხელშეკრულების თანახმად მოამარაგოს წარმოება ნედლეულით, მასალით, ტექნიკის საწარმოო პროგრამის დადგენილი ნორმების შესაბამისად; უზრუნველყოფს საწარმო ტექნიკური დოკუმენტაციითა და მეცნიერული მასალით, წარმოებაში პერსპექტიული მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და ახალი პროდუქციის დანერგვისათვის; ხელი შეუწყოს კადრების პროფესიულ მომზადება-გადამზადებას, ზემდგომ ორგანოებთან საწარმოს წინაშე წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტას, რეგულარულად მიაწოდოს ცნობები ბაზრის კონიუნქტურის შესახებ, იქ საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის გათანაბრების დონეზე, რეკლამა გაუწიოს საშინაო და საგარეო ბაზარზე და ა. შ.

არენდულ ურთიერთობაზე გადასვლა აძლიერებს ურთიერთკავშირს საზოგადოებრივ, კოლექტიურ და პირად ინტერესებს შორის. არენდით მომუშავე საწარმოში წარმოების საშუალებები მისი კოლექტივის სრულ მფლობელობაშია, წარმოებული პროდუქცია არენდატორების საკუთრება ხდება. უფლებების გაფართოება განაპირობებს თავისი მუშაობის შედეგებით ეკონომიკური პასუხისმგებლობის ამაღლებას, რაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი ინტერესების განხორციელებას, საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

საწარმოს საქმიანობა ხორციელდება შემოსავლის განაწილებაზე დამყარებულ სამეურნეო ანგარიშის მეორე მოდიფიცირებული მოდელის ბაზაზე. სამეურნეოანგარიშიანი შემოსავალი ფორმირდება პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული ამონაგებიდან საარენდო გადასახადის და-

ფარვის მატერიალური დანახარჯების ანაზღაურების, ბიუჯეტში ანარიცხებისა და გადასახდელების შეტანის, კრედიტისათვის პროცენტის გადახდის შემდეგ.

საარენდო გადასახადი ხელშეკრულებაში წინასწარ დაფიქსირებული ამონაგების ნაწილია, რომელსაც ადგენენ აბსოლუტური თანხით და გადაერიცხება მყარენდეს განსაზღვრულ ვადებში (წლების, კვარტალების და თვეების მიხედვით). საარენდო გადასახადი ყალიბდება ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის და კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი ამორტიზაციის ანარიცხების ხარჯზე. საარენდო გადასახადი 1995 წელს, 1988 წელთან შედარებით, გაიზარდა 28%-ით. იგი შედგება სამინისტროს ცენტრალიზებულ ფონდებსა და რეზერვებში გადასახდელისაგან.

საწარმო იხდის გადასახადებს ბიუჯეტში საწარმოო ფონდებისათვის მათი ღირებულების 6%-ის ოდენობით და შრომითი რესურსებისათვის.

სამეურნეოანგარიშობის შემოსავლის ხარჯზე (1995 წელს გაიზარდა, 1983 წელთან შედარებით 1,44-ჯერ) იქმნება ფინანსური რეზერვი (რისკის ფონდი) წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდი. შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდი (ხელფასის და მატერიალური წახალისების ფონდები).

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია საარენდო გადასახადის გადახდა მხოლოდ საწარმოს გაანგარიშებითი შემოსავლის ხარჯზე, ხოლო ამორტიზაციის ანარიცხები ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის მთლიანად დარჩეს საწარმოში და გადარიცხოს საწარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდში. ეს ხელს შეუწყობს საწარმოს დამოუკიდებლობის გაძლიერებას ახალი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და დანერგვის საზღვარგარეთული მოწინავე ტექნიკის შექმნის მიმართულებით. ახალი, პროგრესული მანქანა-მოწყობილობების, ტექნოლოგიური ხაზების დანერგვა საწარმოში კი მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების საწინდარია.

საარენდო გადასახადის სიდიდის დადგენისას გაითვალისწინება: ძირითადი ფონდების ტექნიკური ღონე და ნარჩენი ღირებულება, საბრუნავი საშუალებების ოდენობა, საწარმოს რენტაბელობა (ხარალიანობა) მისი განვითარების პერსპექტივები, მოთხოვნა წარმოებულ პროდუქციასა და მომსახურებაზე, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების თავისებურებები და არენდით აღებულ საწარმოზე მოქმედი სხვა ობიექტური ფაქტორები. ყველა ისინი გაითვალისწინება ცენტრალიზებულ ფონდებსა და რეზერვებში ანარიცხთა ნორმატივების განსაზღვრისას.

რაც შეეხება ფიქსირებულ გადასახადებს ბიუჯეტში, მას საწარმო იხდის სამეურნეო საქმიანობის შედეგებისაგან დამოუკიდებლად, როგორც ცენტრალიზებული, ისე დეცენტრალიზებული წესით. გადასახადის სიდიდე წესდება ხელშეკრულების საფუძველზე წინასწარ დადგენილი თანხიდან რიგი წლების მანძილზე. ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ანალოგიურ წესს მხარს უჭერს ავტორთა კოლექტივი ს. ი. ლუშინის<sup>1</sup> რედაქტორობით და მიზანშეწონილად მიიჩნევენ მის გავრცელებას როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში.

<sup>1</sup> Финансы в новых условиях хозяйствования (Под ред. Лушина С. И.) М. 1989, с. 137.



მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ არენდულ ურთიერთობაზე გადასვლის პირველ წლებში საწარმომ ბიუჯეტში შესატანი გადასახადების აბსოლუტური თანხის განსაზღვრის ორიენტირად შეიძლება აიღოს იგივე წესი, რომელიც ამ სახის გადასახდებისათვის მოქმედებდა მანამდე, მაგრამ მომდევნო წლებში უკვე გათვალისწინებული უნდა იქნას საწარმოს გადიდებული შემოსავალი, რომელიც არენდული ურთიერთობისათვის დამახასიათებელ უპირატესობას წარმოადგენს.

მეთურნობრიობის პირობების არსებითი შეცვლის პირობებში კი, რომელიც დამოკიდებული არ არის არენდით მომუშავე საწარმოზე, ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის შეთანხმებისას შეიძლება ცვლილებების შეტანა ბიუჯეტში გადასახადის გარანტირებულ თანხაში.

ს. ლუშინს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ რენტაბელურმა საწარმოებმა, რომლებიც არენდაზეა გადაყვანილი, დამატებითი ვალდებულებები აიღონ ბიუჯეტში გადასახდლების გადახდისა, ხოლო ზარალიანმა და მცირერენტაბელურმა საწარმოებმა დოტაციის შემცირებისათვის. ეს კი უნდა მოხდეს შიდა-სამეურნეო რეზერვების სრული გამოვლენის ხარჯზე. არსებული რეზერვების გამოვლენაში მას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ იღებს უფლებას ზემოდან ჩარევის გარეშე გაანაწილოს სამეურნეო ანგარიშიანი შემოსავალი შესაბამისი ფინანსური ფონდების შექმნაზე. ჩვენი აზრით, საწარმოებს ბიუჯეტში გადასახდლების გადახდის დამატებითი ვალდებულებები არ უნდა მიეცეთ, რათა მას გაუძლიერდეს პასუხისმგებლობა მიაღწიოს ხელშეკრულებაში დაფიქსირებული შემოსავლის სიდიდეს და დაინტერესდეს მაქსიმალურად გაზარდოს იგი. ყოველგვარი რეზერვის ხარჯზე მიღებული შემოსავალი გამოიყენოს მატერიალური წახალისების ფონდების ზრდისათვის, საკუთარი კეთილდღეობის ამაღლების მიზნით.

საფინანსო ფონდების ჩამოყალიბების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ არენდით მომუშავე საწარმოში გარანტირებული უნდა იყოს პირველ რიგში საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარება, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. საწარმო ვალდებულია განუწყვეტლივ განაახლოს და სრულყოს ძირითადი საწარმოო ფონდები, გამოიყენოს ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ქვეყნების უახლესი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები. შრომითი კოლექტივი თვითონ არის დაინტერესებული აღნიშნული ღონისძიებების გატარებით, რადგან საწარმო არენდით აიღება ხანგრძლივი პერიოდისათვის (8-15 წელი), თანაც საარენდო ხელშეკრულება შეიძლება განახლდეს.

ამავე დროს საწარმოს ყოველი მუშაკი დაინტერესებულია გაიზარდოს სოციალური განვითარების ფონდი, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს შრომის პირობების გაუმჯობესებას, ასევე ბინის მიღებას, სანატორიუმებში დასვენებას და ა. შ.

შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდი ფორმირდება როგორც სამეურნეო ანგარიშიანი შემოსავლის ნარჩენი სიდიდე, მას შემდეგ რაც მას გამოაკლდება სხვა დანარჩენი საფინანსო ფონდების სახსრები. სქემატურად ეს შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ<sup>2</sup>

<sup>2</sup> Комплект типовых материалов „Целевая комплексная программа практической работы по переводу предприятия на арендный подряд“, Рига, 1989, с. 67.

$$E\Phi OT = D - H_x - (\Phi_p \mp \Phi_{\pi n} + \Phi_{ep})$$

სადაც,  $E\Phi OT$  — შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდი

$D$  — სამეურნეო ანგარიშიანი შემოსავალი

$H_x$  — დაუგეგმავი შემოსავლები, გასაღები, დანაკარგები

$\Phi_p$  — რისკის ფონდი (ფინანსური რეზერვი)

$\Phi_{\pi n}$  — წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდი

$\Phi_{ep}$  — სოციალური განვითარების ფონდი

შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდი უშუალოდ უკავშირდება საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგებს. მისი ოდენობა დამოკიდებულა საწარმოს მუშაობის ეფექტიანობაზე. ამის გათვალისწინებით იგი შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს წლების, კვარტლების და თვეების მიხედვით.

შრომითი კოლექტივის საბჭოს უფლება აქვს გაანაწილოს შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდი, კომბინატის თითოეული სტრუქტურული ქვედანაყოფის (საამქრო, უბნები, ბრიგადები, განყოფილებები) მიერ წარმოების საბოლოო შედეგებში შეტანილი წვლილის მიხედვით. თითოეული მუშაკის შრომის ანაზღაურების დროს იყენებენ შრომათი მონაწილეობის კოეფიციენტებსაც.

რეკომენდებულია სარეზერვო ფონდი პირველ რიგში შეიქმნას, რეზერვში წარიმართება შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდის არა უმეტეს 3%-ისა. საწარმოს შრომითი კოლექტივის საბჭო შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდს თვითონვე ანაწილებს. გაითვალისწინება საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგებში ყოველი სტრუქტურული ქვედანაყოფის (საამქრო, უბანი, ბრიგადა) მონაწილეობა სამუშაოს სირთულიდან გამომდინარე. ყოველი მუშაკის შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია საბოლოო შედეგებში მის შრომის წვლილზე.

ხელშეკრულებაში ბიუჯეტში ანარცხებისა და ზემდგომი ორგანიზაციის საარენდო გადასახადებთან ერთად ფიქსირებული გადასახადების სახით დგინდება სახელმწიფო შეკვეთების სიდიდე, ასევე დადგენილ ვადაში პროდუქციის მიწოდება მოცულობისა და ნომენკლატურის მიხედვით. მათი შესრულება გარანტირებული უნდა იყოს.

არენდით მომუშავე საწარმოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბანკთან ურთიერთობის რეგულირებას. საწარმომ უნდა დადოს მასთან ხელშეკრულება, რომელშიც განისაზღვრება ურთიერთობები და ვალდებულებები.

ბანკმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ჩატარებაში, განსაზღვროს მისი პარტნიორის კრედიტუნარიანობა, ასევე ეკონომიკური საშუალებებით აიძულოს სესხის ამღები დაუფაროს საწარმოს ვალი.

არენდული ურთიერთობის ახალი ფორმა შესაძლებლობას აძლევს არენდით მომუშავე სახელმწიფო საწარმოს წარმატებით გამოიყენოს კოოპერატიული საწარმოების სამეურნეო მექანიზმის გამართლებული ელემენტები და კონკურენცია გაუწიოს მათ. მხედველობაში მიიღება ისეთი უპირატესობები, როგორიცაა უფრო მყარი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, კადრების მომზადება, მშრომელთა სოციალური დაცვა. ამასთან საჭიროა აღინიშნოს,

რომ არენდით მომუშავე რიგ სახელმწიფო საწარმოების პროდუქციაზე წესდება სახელმწიფო ფასები, რომელიც უკეთ პასუხობს მომხმარებელთა ინტერესებს, და ხელს უშლის იმ კოოპერატორებს, რომლებიც ფასების დაუსაბუთებელი ზრდის ხარჯზე ცდილობენ დაუმსახურებელი შემოსავლის მიღებას, როგორც კოოპერატივებში, არენდით მომუშავე საწარმოებშიც გაუქმებულთა მიწერისა და გათანაბრების პირობები.

რაც შეეხება დაგეგმვას არენდით მომუშავე საწარმოებში, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო საწარმოები ხელმძღვანელობენ რა პროდუქციის წარმოებასა და მომსახურებაზე საკონტროლო ციფრებით, სახელმწიფო შეკვეთებითა და მომხმარებელთა შეკვეთებით, დამოუკიდებლად ამუშავენენ წლიურ და ხუთწლიან გეგმებს. სახელმწიფო საწარმოებისაგან განსხვავებით აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებელთა საპროგნოზო გათვლები ხანგრძლივი პერიოდისათვის.

არენდული ურთიერთობების ფართოდ გავრცელება, უწინარეს ყოვლისა, არასტაბილურად მომუშავე საშუალო და მცირე სიდიდის საწარმოებში, ჩვენი აზრით, ყოველგვარ პირობას ქმნის ოპტიმალურ ვადებში დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება მაღალი ხარისხის საქონელსა და მომსახურებაზე ნაკლები დანახარჯებით, რაც ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური გაჯანსაღების დაჩქარების მეტად ეფექტური გზაა.

უფრო რთულად დგას საკითხი მსხვილ საწარმოებში, სადაც რესურსებით მანევრირების, სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის მოთხოვნილებების ცვლილებაზე ოპერატიული რეაგირების ნაკლები შესაძლებლობა, უფრო რთული ურთიერთობაა კოლექტივში, ძნელია უზრუნველყოთ მუშაკთა სოციალური გარანტიები და ხელფასები ჩავარდნის პირობებში. ასეთ შემთხვევაში შეიძლება საფეხურებრივი არენდის გამოყენება: საწარმო არენდით იღებს სახელმწიფოსაგან ძირითად და საბრუნავ საშუალებებს (პირველადი არენდა), თავის მხრივ, საამქრო არენდით იღებს მას საწარმოსაგან (მეორადი არენდა); ხოლო საამქროსაგან მას იღებს საიჯარო ვარიეტებით ბრიგადა ან უბანი. მაშასადამე, გამჭოლი არენდის მეშვეობით საწარმოს ყველა რგოლში თავისი პატრონი ჰყავს. შექმნილი სარეზერვო ფონდი გაანეიტრალებს საწარმოო საქმიანობის შესაძლებელ ჩავარდნას.

შიგასაწარმოო არენდული ურთიერთობების პირობებს შრომითი კოლექტივის საბჭო განსაზღვრავს.

არენდული იჯარა ხელსაყრელია ზემდგომი ორგანიზაციისათვისაც. მას მეტი შესაძლებლობები აქვს ერთიანი ტექნიკური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის, ასევე უპირატესი შეკვეთების უფლებები პროდუქციის წარმოებაზე (მომსახურებაზე), ანალიზებს პროდუქციისა და მომხმარებლებზე მოთხოვნებს და რეკლამას უკეთებს მას სამომხმარებლო ბაზარზე, აფართოებს მომხმარებელთა წრეს.

ამგვარად, არენდული იჯარა სამეურნეო ანგარიშის მესამე მოდელი კი არ არის, არამედ განვითარებული მეორე მოდელია. იგი ეკონომიკის სრულყოფის პრინციპულად ახალი საფეხურია, რომელიც მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებებს სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის პრაქტიკაში.

არენდული იჯარის პრინციპული თავისებურებები და უპირატესობა მეორე მოდელთან შედარებით შემდეგში მდგომარეობს:

1. არენდით მომუშავე საწარმო ზემდგომ ორგანიზაციასთან დებს ხელშეკრულებას, რომელშიც ყალიბდება საწარმოს საქმიანობის ყველა ძირითადი პირობა და მოვალეობანი (შემოსავლებიდან ანარიცხების გადარიცხვა ბიუჯეტში, ზემდგომ ორგანიზაციაში). პირველი ხელშეკრულება შეიძლება მცირე ხნით დიდოს, მაგ. ხუთწლედის ბოლომდე, ხოლო შემდეგ 5 წელზე მეტი ვადით. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ანარიცხების თანხა წინასწარ დასაბუთებულია და გადაანგარიშებას არ ექვემდებარება, რაც კოლექტივში ქმნის დაინტერესებას სამეურნეო ანგარიშიანი შემოსავლის გაზრდისათვის ისინი ცდილობენ ამისათვის ყოველგვარი რეზერვი გამოიყენონ.

2. მეარენდე საწარმოს ურთიერთობა ზემდგომ ორგანიზაციასთან ყალიბდება ეკონომიკურ საფუძველზე, რაც შემდეგში გამოიხატება: ზემდგომ ორგანიზაცია თავის განკარგულებაში იღებს საწარმოს შემოსავლის გარანტირებულ ნაწილს, ამისათვის იგი ვალდებულია საწარმოს გაუწიოს აუცილებელი სამსახური. საწარმოს თავის მხრივ უფლება აქვს ზემდგომ ორგანიზაციას წაუყენოს პრეტენზია მოვალეობების შეუსრულებლობის ან არადაამაკმაყოფილებლად შესრულების პირობებში.

საწარმოს შემოსავლიდან ზემდგომ ორგანიზაციაში ანარიცხების საერთო თანხა განისაზღვრება ორივე მხარის შეთანხმებით, საწარმოსათვის გაწეული მომსახურების, ასევე ცენტრალიზებული ფონდების სახსრების მოცულობიდან გამომდინარე.

3. საწარმო დამოუკიდებელი ხდება თავისი საწარმო ფონდებთან გამოყენებაში, ასევე თავისი პროდუქციის რეალიზაციაში.

როგორც წესი, არენდული იჯარის პირობებში რეალიზაციის საერთო მოცულობაში მცირდება სახელმწიფო შეკვეთათა წილი. ეს შეიძლება მოხდეს როგორც სახელმწიფო შეკვეთების შემცირების, ასევე საწარმოს მიერ არჩეული პროდუქციის წარმოების გაფართოებით. ამავე დროს საწარმოს შეუძლია ათვისოს ახალი, უფრო სრულყოფილი, უფრო რენტაბელური პროდუქცია, თანდათან შეცვალოს წარმოების პროფილი, დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები გამოიყენოს მეურნეობრობის სხვა სფეროში, განახორციელოს კომერციული ოპერაციები, ყველაფერი ის, რაც განაპირობებს კოლექტივის სამეურნეოანგარიშიანი შემოსავლის გადიდებას.

4. არენდით მომუშავე საწარმოს კოლექტივი დამოუკიდებელი ხდება სამეურნეო ანგარიშიანი შემოსავლის გამოყენებაში. ამჟამად სამეურნეოანგარიშიანი შემოსავლების განაწილება შრომის ანაზღაურების, წარმოების მეცნიერებისა და ტექნიკის და სოციალური განვითარების ფონდებზე შეზღუდულია ნორმატივებით.

მეარენდე საწარმოსათვის სამეურნეოანგარიშიანი შემოსავლების განაწილებაში პროპორციები ნაკლებ მკაცრია, ვიდრე თვითდაფინანსების I და II მოდელის დროს. მხოლოდ აუცილებელია შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი უსწრებდეს საშუალო ხელფასის ზრდის ტემპს.

5. ფართოდება საწარმოთა უფლებები შრომის ანაზღაურების ფონდის გამოყენებაში. სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის შესაბამისად საწარმოს კოლექტივი დამოუკიდებლად ირჩევს ანაზღაურების ფორმებს და სისტემებს, დადგენილება № 1115 შრომის ანაზღაურების სფეროში უფლებების გაფართოებასთან ერთად ითვალისწინებს შეზღუდვებსაც. კერძოდ, შეზღუდულია ხელმძღვანელი მუშაკების პრემიის სიდიდე. არენდულ იჯარაზე მყოფი კოლექტი-

ვისთვის იგი შეიძლება გაუქმდეს, რაც ასახული უნდა იყოს ხელშეკრულებაში. მაგრამ ამავე დროს არენდული იჯარა გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ყველა კატეგორიის მუშაკს. რადგან მთელი კოლექტივის წარმატება დიდადაა დამოკიდებული თითოეულ მუშაკზე დაწყებული მუშიდან ხელმძღვანელ მუშაკებამდე. საწარმოში უნდა ჩატარდეს შესაბამისი ანალიზი მეურნეობრიობის ახალ ფორმაზე გადაყვანის მომზადებულობის გამოვლენის მიზნით.

6. მეარენდე საწარმოსათვის მეურნეობრიობის ერთი მეტად არსებითი პირობაა დაწესებული. მიუხედავად იმისა, რომ წარმოებული პროდუქცია მის საკუთრებას წარმოადგენს, წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია უნდა მოახდინოს საბითუმო, შესასყიდი ან სახელშეკრულებო ფასებით, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო საწარმოებისათვის. ამავე წესით მათ შეიძლება შეიძინონ ნედლეული, მასალები და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. ამავე დროს პროდუქცია, რომელსაც იმ მოცულობის ზევით აწარმოებს, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, მეარენდე საწარმოს შეუძლია იგი გაყიდოს თავისი შეხედულებისამებრ.

ამგვარად, სახელმწიფო საწარმოების არენდით გადაცემა შრომით კოლექტივებზე საშუალებას იძლევა კომპლექსურად გადაწყდეს შემდეგი მნიშვნელოვანი ამოცანები: მოხდეს ცალკეული საწარმოების ზარალიანობისა და დაუსაბუთებლად დაბალი რენტაბელობის ლიკვიდაცია. გაძლიერდეს კოლექტივების და ცალკეულ მუშაკთა მატერიალური დაინტერესება წარმოების საბოლოო შედეგებისადმი, რამდენადაც იხსნება შეზღუდულობა ხელფასის ზრდაში, ხოლო ხელფასის ფონდი პირდაპირ კავშირშია საწარმოს წარმატებით მუშაობასთან. საწარმოების, უწყებების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ინტერესთა ჰარმონიული შეხამება, რამდენადაც ზემდგომ ორგანოებში და სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ შორის ადგილობრივ ბიუჯეტშიც, საარენდო გადასახადების თანხა დიდად განისაზღვრება სხვადასხვა მმართველობითი სტრუქტურის მოქმედებათა ურთიერთშეთანხმებით, მართვის უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებიდან უპირატესად ეკონომიკურზე რეალური გადასვლა, ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური გაჯანსაღების აქტიური გზაა.

არენდული ურთიერთობების დანერგვისას ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მრავალი საწარმო, რომელიც აცხადებს არენდაზე გადასვლის სურვილს, ხელშეკრულების პროექტში ისეთ ვალდებულებებს რთავენ, რომლებიც არ ასახავენ ძირეულ ცვლილებებს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიმართულებით, როცა შრომითი კოლექტივი საწარმოს ქონებას არენდით იღებს, ე. ი. აყენებს საკითხს უზრუნველყოს მეურნეობრიობის ხარისხობრივად ახალი დონე, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დაჩქარებულ ვადაში გადაწყდეს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ამოცანა შესაბამისი პროდუქციითა და მომსახურებით.

საარენდო ხელშეკრულებაში, რომელშიც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების მხოლოდ უმნიშვნელო ამაღლება, კარდინალური ზრდის გარეშე, შემდგომ წლებში იწვევს ნეგატიურ შედეგებს, კერძოდ, ანაზღაურების ზრდა შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას არა მუშაობის საბოლოო შედეგების გაუმჯობესებით, არამედ სამეურნეოანგარიშიანი შემოსავლის გადანაწილების გზით.

ამასთან ერთად, წამოიჭრება არენდული იჯარის ორგანიზაციის პრობლემა საწარმოთა ისეთ საამქროებში, რომლებიც ტექნოლოგიური ციკლის ცალკეული რგოლები არიან და მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. ამ საამქროებში (უბნებზე, გამსხვილებულ ბრიგადებში) არენდული იჯარის დასაწესებლად უნდა შემუშავდეს შიგნითადად (საამქროთაშორის) საანგარიშსწორებო ფასები პროდუქციის წარმოებასა და გაწეულ მომსახურებაზე. ამასთან, საჭიროა საამქროებსა და უბნებს შეეუქმნათ წარმოების თანაბარი ეკონომიკური პირობები. ამავე დროს საჭიროა გავითვალისწინოთ ის მაჩვენებლები და დანახარჯები, რომლებიც დამოკიდებული არიან ქვედანაყოფებზე. ამ მოთხოვნებს უპასუხებს საანგარიშსწორებო ფასები, საწარმოს საბითუმო ფასების საფუძველზე შემუშავებული საამქროს (უბნის) დანახარჯების გათვალისწინებით.

არენდული იჯარის პირობებში საამქროს შემოსავალი ნაწილდება საწარმოს სქემის ანალოგიურად. ამასთან, წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდი, აგრეთვე სოციალური განვითარების ფონდის ნაწილი, ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, საბინაო მშენებლობისა და სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის გათვალისწინებული, მათი შენახვის ხარჯების ჩათვლით, ცენტრალიზდება საწარმოს დონეზე. სოციალური განვითარების ფონდის და მატერიალური წახალისების ფონდის მეორე ნაწილი, წლის შედეგების მიხედვით პრემირებაზე სახსრების გარეშე (რომლებიც აგრეთვე ცენტრალიზდება საწარმოს მასშტაბით) რჩება საამქროს განკარგულებაში.

1989 წლიდან არენდით მომუშავე სამრეწველო საწარმოთა პრაქტიკამ დაადასტურა მეურნეობრიობის ამ ფორმის ეფექტიანობა.

სამეურნეო ანგარიშის ამ ახალი ფორმის გამოყენება არ უნდა გადავაქციოთ ისეთ ღონისძიებად როცა მხოლოდ ვითვლით გადაყვანილი საწარმოების რაოდენობას. მთავარია მივალწიოთ სახალხო მეურნეობრივ ეკონომიკურ ეფექტს. საარენდო ურთიერთობათა შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებას, ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევას.

Г. Г. ЕРКОМАИШВИЛИ

## АРЕНДНЫЙ ПОДРЯД КАК СТИМУЛ УСКОРЕНИЯ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОГО ПРОГРЕССА

Резюме

В работе рассматривается механизм материального стимулирования научно-технического прогресса в условиях новой системы хозяйствования, преимущества перевода на арендный подряд государственных предприятий. Дан новый порядок выплаты арендной платы.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის კვლავწარმოებისა და კაპიტალურ დაზანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის განყოფილება

ალა უშვარიძე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის გავლენის შეფასება საქართველოში მსუბუქი მრეწველობის წარმოების ეფექტიანობაზე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის ეკონომიკური ეფექტიანობა ვლინდება შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და ეროვნული შემოსავლის ზრდაში, საწარმოს დონეზე იგი მიიღწევა შემდეგი გზებით:

1. საწარმოო მოწყობილობების განახლებისა და მათი შეცვლის გზით ფიზიკური ცვეთის ან მორალური მოძველების გამო, რაც გავლენას ახდენს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებაზე უფრო იაფი ან შედარებით მაღალმწარმოებლური მანქანების გამოყენების შედეგად;

2. ახალი მანქანების გამოყენება საშუალებას იძლევა გამონათვისუფლდეს დასაქმებულთა გარკვეული რაოდენობა, რის შედეგადაც ხორციელდება ძირითადი და დამატებითი ხელფასის ეკონომია;

3. ეკონომია შეიძლება მიღწეულ იქნეს, ასევე, თუ კი ახალი მანქანები იმუშაებენ შედარებით იაფ ნედლეულსა და მასალებზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც წარმოიშობა ახალი ტექნიკის გამოშვებისათვის წარმოების მომზადების გეგმების ფორმირებისა და რეალიზაციის დროს, არის მანქანების მუშაობის ხანგრძლივობის გაზრდა მათი მორალური ცვეთის დადგომამდე.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებების გავლენის შეფასებისათვის საქართველოს მსუბუქი მრეწველობის წარმოების ეფექტურობაზე მოცემულ ნაშრომში გამოყენებულ იქნა ფაქტორული ანალიზის მეთოდი. კერძოდ, მსუბუქი მრეწველობის დარგებზე (როგორცაა ტყავის, სამკერვალო, ტრიკოტაჟის მრეწველობა) მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის გავლენის ხარისხის შეფასებისათვის შერჩეულ იქნა ფაქტორული ანალიზის მთავარი კომპონენტის მეთოდი.

აღნიშნული მეთოდის უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ იგი საშუალებას იძლევა შეფასების დროს თავიდან ავიცილოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის ცალკეული მიმართულებების გავლენა ერთმანეთზე. ამ მეთოდის საშუალებით შესაძლებელია ურთიერთმოქმედი  $x_1, x_2, \dots, x_n$  ცვლადებიდან (მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის მაჩვენებლები) დამოუკიდებელი მთავარ  $x_1, x_2, \dots, x_n$  კომპონენტებზე (მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის მიმართულებები) გადასვლა, ამასთან,

$$y_i = \sum_{j=1}^n a_{ij} x_j \quad (1) \quad i=1, 2, \dots, m.$$

სადაც,  $x_i$  —  $i$ -ური დამოუკიდებელი ცვლადია (მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის ამოსავალი მაჩვენებელი);

$k_j$ — $j$ -ური ახალი დამოუკიდებელი ცვლადია (მთავარი კომპონენტი);

$a_{ij}$ — $j$ -ური კომპონენტის ხვედრითი წილი  $i$ -ურ დამოკიდებულ ცვლადში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის დარგების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენის შეფასებისათვის ჩვენ მივმართეთ რეგრესულ ანალიზს. 1987-1988 წლების ფაქტიური მონაცემების საფუძველზე დადგინდა იქნა კავშირები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითად მიმართულებებსა და წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლებს შორის. შედგინდა იქნა მრავლობითი რეგრესიის განტოლებები, რომლის კოეფიციენტების საშუალებას იძლევიან ვილაპარაკოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებების გავლენის შესახებ წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლებზე.

ანალიზის დროს შედეგობრივ ნიშნებად შერჩეულ იქნა შემდეგი მაჩვენებლები:

$y_1$  — მტპ-ს ღონისძიებათა დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი წელზე გაანგარიშებით (ათას მანეთებში);

$y_2$  — მტპ-ს ღონისძიებათა დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი საანგარიშო წელს (ათას მანეთებში);

$y_3$  — მტპ-ს ღონისძიებათა დანერგვის შედეგად მიღებული მოგების ნამატი წელზე გაანგარიშებით (ათას მანეთებში);

$y_4$  — მტპ-ს ღონისძიებათა დანერგვის შედეგად მიღებული მოგების ნამატი საანგარიშო წელს (ათას მანეთებში);

$y_5$  — მტპ-ს ღონისძიებაზე გაწეული დანახარჯები (ათას მანეთებში);

$y_6$  — მტპ-ს ღონისძიებათა დანერგვის შედეგად პირობითად გამონათვისუფლებული მომუშავეთა რიცხვი წელზე გაანგარიშებით (კაცი);

$y_7$  — მტპ-ს ღონისძიებათა დანერგვის შედეგად პირობითად გამონათვისუფლებულ მუშათა რიცხვი საანგარიშო წელს (კაცი);

$y_8$  — დანერგილ ღონისძიებათა საერთო რიცხვი.

ფაქტორულ ნიშნად კი შერჩეულ იქნა  $X_1, X_2, X_3, X_4, X_5$  მაჩვენებლები, რომლებიც საკმაოდ სრულად ასახავენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითად მიმართულებებს საქართველოს სსრ მსუბუქ მრეწველობაში.

ამოსავალი ინფორმაცია დამუშავდა ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე და მიღებულ იქნა რიგი რეგრესიული თანაფარდობებისა, როგორც საქართველოს სსრ მთელი მრეწველობის, ასევე მსუბუქი მრეწველობისათვის აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემების საფუძველზე! მიღებულია შემდეგი განტოლებები.

I საქართველოს მთელი მრეწველობისათვის 1987 წ.

$$\begin{aligned} y_1 &= 0,00007x_1 + 0,0022x_2 + 0,008x_3 + 0,00005x_4 + 0,000018x_5 \\ y_2 &= 0,00012x_1 + 0,0022x_2 + 0,001x_3 + 0,00007x_4 + 0,0000x_5^2 \\ y_3 &= 0,0001x_1 + 0,002x_2 + 0,01x_3 + 0,0004x_4 + 0,0002x_5 \\ y_4 &= 0,0002x_1 + 0,02x_2 + 0,001x_3 + 0,0003x_4 + 0,0003x_5 \\ y_5 &= 0,0004x_1 + 0,006x_2 + 0,002x_3 + 0,0009x_4 + 0,0001x_5 \end{aligned} \quad (1,1)$$



$$y_6 = 0,0006x_1 + 0,015x_2 + 0,007x_3 + 0,001x_4 + 0,0002x_5$$

$$y_7 = 0,0007x_1 + 0,001x_2 + 0,009x_3 + 0,016x_4 + 0,0102x_5$$

$$y_8 = 0,0009x_1 + 0,03x_2 + 0,004x_3 + 0,001x_4 + 0,0003x_5$$

(1.1) განტოლებათა სისტემა ახასიათებს საქართველოს სსრ მთელი მრეწველობის მდგომარეობას 1987 წ. ქვემოთ მოყვანილია რეგრესის განტოლებები, რომლებიც შედგენილია იგივე წელს მსუბუქი მრეწველობის კრებსითი მონაცემების საფუძველზე.

II საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისათვის 1987 წ.

$$y_1 = 0,002x_1 + 0,005x_2 + 0,009x_3 + 0,0004x_4 + 0,0001x_5$$

$$y_2 = 0,0002x_1 + 0,005x_2 + 0,01x_3 + 0,0003x_4 + 0,0001x_5$$

$$y_3 = 0,004x_1 + 0,005x_2 + 0,01x_3 + 0,002x_4 + 0,0001x_5$$

$$y_4 = 0,0005x_1 + 0,005x_2 + 0,04x_3 + 0,001x_4 + 0,0002x_5$$

$$y_5 = 0,0009x_1 + 0,002x_2 + 0,05x_3 + 0,002x_4 + 0,0007x_5$$

$$y_6 = 0,0028x_1 + 0,2x_2 + 0,19x_3 + 0,06x_4 + 0,002x_5$$

$$y_7 = 0,008x_1 + 0,2x_2 + 0,3x_3 + 0,06x_4 + 0,002x_5$$

$$y_8 = 0,009x_1 + 0,5x_2 + 0,01x_3 + 0,005x_4 + 0,00006x_5$$

(1.2)

ანალოგიურად, საქართველოს მრეწველობისა მონაცემებისა და მსუბუქი მრეწველობის მონაცემთა შესწავლის საფუძველზე 1988 წლისათვის მიღებულია რეგრესიის შემდეგი განტოლებები.

1. საქართველოს სსრ მთელი მრეწველობა 1988 წ.

$$y_3 = 0,00005x_1 + 0,000x_2 + 0,008x_3 + 0,00008x_4 + 0,000023x_5$$

$$y_4 = 0,00007x_1 + 0,0004x_2 + 0,001x_3 + 0,0002x_4 + 0,00003x_5$$

$$y_5 = 0,0009x_1 + 0,004x_2 + 0,0054x_3 + 0,0016x_4 + 0,0026x_5$$

$$y_6 = 0,00004x_1 + 0,0001x_2 + 0,0003x_3 + 0,00106x_4 + 0,00001x_5$$

$$y_7 = 0,0075x_1 + 0,01x_2 + 0,003x_3 + 0,005x_4 + 0,0001x_5$$

$$y_8 = 0,005x_1 + 0,016x_2 + 0,02x_3 + 0,007x_4 + 0,004x_5$$

(2.1)

11. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობა 1988 წ.

$$y_3 = 0,0004x_1 + 0,0003x_2 + 0,06x_3 + 0,002x_4 + 0,00012x_5$$

$$y_4 = 0,0005x_1 + 0,0014x_2 + 0,008x_3 + 0,0004x_4 + 0,0002x_5$$

$$y_5 = 0,03x_1 + 0,05x_2 + 0,2x_3 + 0,007x_4 + 0,0003x_5$$

$$y_6 = 0,0004x_1 + 0,00007x_2 + 0,01x_3 + 0,02x_4 + 0,00008x_5$$

$$y_7 = 0,02x_1 + 0,002x_2 + 0,05x_3 + 0,08x_4 + 0,001x_5$$

$$y_8 = 0,03x_1 + 0,025x_2 + 0,025x_3 + 0,03x_4 + 0,02x_5$$

ჩატარებული კორელაციური ანალიზი საშუალებას გვაძლევს საქართველოს სსრ მრეწველობისა და მსუბუქი მრეწველობის დარგებისათვის მივიღოთ რეგრესიის განტოლებები, რომლებიც აფასებენ მტკ-ს ცალკეული მიმართულებების გავლენას წარმოების ეფექტიანობაზე.

კერძოდ, მოქმედი მოწყობილობების მოდერნიზაციის გავლენას საქართველოს მსუბუქი მრეწველობის წარმოების ეფექტიანობაზე ასახავს წრფივი რეგრესიის შემდეგი განტოლება:

$$y = 0,0079797619047 + 0,2103174603175 * x \quad (1,3)$$

ამასთან, დისპერსიული თანაფარდობა, რომელიც გვიჩვენებს  $y$  — შედეგობრივი ნიშნის ვარიაციას  $x$  ფაქტორული ნიშნის ხარჯზე.

$$S^2_x = 0,0000390138888$$

ნარჩენი დისპერსია, რომელიც ზომავს  $y$  შედეგობრივი ნიშნის ვარიაციას  $x$ -ის გარდა ყველა სხვა ფაქტორების მოქმედების ხარჯზე

$$S^2 = 0,0000164768055$$

$$F \text{ — კრიტერიუმი, } F = 2,367806596816$$

$$\text{კორელაციის შერჩევითი კოეფიციენტი } R = 0,7362773035647.$$

$$\text{შერჩეული კორელაციის კვადრეტი } R^2 = 0,5421042677445.$$

გადაწვლული შეფასების სტანდარტული გადახრა

$$S_{xy} = 0,0040591631595.$$

ახალი სახის პროდუქციის ათვისების ზეგავლენას საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლებზე ასახავს, ჩვენს მიერ მიღებული, შემდეგი რეგრესიის განტოლება:

$$y = 0,0000325991792 + 0,2134062927497 * x \quad (1,4)$$

დისპერსია, რომელიც ზომავს  $y$  — შედეგობრივი ნიშნის ვარიაციას  $X$  ფაქტორული ნიშნის მოქმედების ხარჯზე.

$$S^2_x = 0,000000832284$$

ნარჩენი დისპერსია, რომელიც ზომავს  $y$  — შედეგობრივი ნიშნის ვარიაციას  $x$ -ის გარდა ყველა სხვა ფაქტორების მოქმედების ხარჯზე.

$$S^2 = 0,0000000162857.$$

$$F \text{ — კრიტერიუმი; } F = 5,110500718194;$$

$$\text{კორელაციის შერჩევითი კოეფიციენტი } R = 0,8477770086591;$$

$$\text{შერჩეული კორელაციის კვადრეტი } R^2 = 0,7187258564109;$$

გადაწვლული შეფასების სტანდარტული გადახრა

$$S_{xy} = 0,0001276157236$$

მიღებული თანაფარდობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სხვადასხვა მიმართულების მნიშვნელობები მსუბუქი მრეწველობის განვითარების ცალკეულ ეტაპზე იცვლება. საანალიზო პერიოდისათვის მსუბუქი მრეწველობის დარგებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ხასიათდება დარგის პროდუქციის სრულყოფით, მანქანა-მოწყობილობების სისტემისა და ტექნოლოგიის სრულყოფით და სწორედ მტკ-ს აღნიშნული მიმართულებები ახდენენ ძირითად ზეგავლენას წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე.

მიღებული შედეგები მეტყველებენ იმაზეც, რომ მოცემული მეთოდოლოგია წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული საქართველოს სსრ მრეწველობისა და მსუბუქი მრეწველობის დარგების წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლებზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენის შეფასებისათვის ელექტრონულ გამოთვლელი მანქანების გამოყენებით.

А. И. УШВЕРИДЗЕ

## ОЦЕНКА ВЛИЯНИЯ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОГО ПРОГРЕССА НА ЭФФЕКТИВНОСТЬ ПРОИЗВОДСТВА В ЛЕГКОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИИ

Резюме

На основе факторного анализа произведена оценка влияния основных направлений научно-технического прогресса на экономическую эффективность производства в отраслях легкой промышленности Грузинской ССР. Рассчитаны уравнения регрессии. Проведенные на ЭВМ расчеты позволяют судить о степени влияния инновационного процесса на эффективность производства.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ

## ს ა მ ა რ თ ა ლ ი

ბია ხუზაა

### კანონი და სახელმწიფო ხელისუფლება

სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგად კონცეფციაში, კანონის ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებას წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა, მისი მოქცევა საზოგადოებისათვის მისაღებ, მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში.

კანონის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის მეცნიერულმა შეხედულებებმა ხანგრძლივი და რთული ევოლუცია განიცადა. მას შემდეგ, რაც რომაელმა იურისტებმა ჩამოაყალიბეს ცნობილი პრინციპები „quod Princeps placuit habet vigorom“ (პრინციპის ნებას გააჩნია კანონის ძალა) და „Princeps legibus solutus est“ (პრინციპი თავისუფალია კანონთა დაცვისაგან), პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში თანდათან ყალიბდება შეხედულება უზენაესი სუვერენის კანონით შეზღუდვის შეუძლებლობისა.

უმალესი სახელმწიფო ხელისუფლების მატარებლის ყოველგვარი შეუზღუდველობის პრინციპმა, თავისი გამოხატულება კპოვა, ბოდენის სახელმწიფო სუვერენიტეტის მოძღვრებაში<sup>1</sup>.

სუვერენისათვის რაიმე იურიდიული საზღვრების დადგენის შესაძლებლობას უარყოფდა ჰობსიცი. ანალოგიური პოზიცია ეჭირა რუსოსაც, რომელიც ავითარებდა რა აბსოლუტური სახალხო სუვერენიტეტის მოძღვრებას, ამტკიცებდა: — სუვერენს არ ძალუძს თავის თავს დააკისროს რაიმე ვალდებულება; იგი არ არის შეზღუდული არც კონსტიტუციით, არც კანონებით. ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ მხოლოდ მისი საკუთარი ნების გამოვლინებას. მისთვის (სუვერენისთვის), არ არის სავალდებულო თვით საზოგადოებრივი ხელშეკრულება კი, რამდენადაც ხალხის სუვერენულ საერთო ნებას შეუძლია დაადგინოს მისი შეწყვეტა და მაშინ ისევ დგება ბუნებითი მდგომარეობა. რუსოსათვის და აგრეთვე კანტისთვისაც, ხელშეკრულება წარმოადგენს არა ისტორიულ ფაქტს, არამედ მხოლოდ სამართლებრივ პრინციპს. ხელშეკრულება კი არ ხსნის სახელმწიფოს წარმოშობას, არამედ იძლევა მხოლოდ სახელმწიფოს დასაბუთებას. ხელშეკრულებასთან შესაბამისობა წარმოადგენს მხოლოდ კრიტერიუმს, მოცემული ემპირიული სახელმწიფოსათვის<sup>2</sup>.

რამდენადაც განსხვავებულია, ამ მხრივ, ლოკისა და პუფენდორფის შეხედულება. მათი თეორიის მიხედვით, სახელმწიფო იმთავითვე სამართლებრივია, რამდენადაც სახეზეა ხელშეკრულება — მისი სამართლებრივი საფუძველი, რომელიც ადგენს არა მარტო თვითონ ხელისუფლების არსებობის ფაქტს, არამედ მის ფორმას, საქმიანობას და საზღვარსაც. ხოლო თუ ასეთი ხელშეკ-

1 გ. ინჟირელი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ.: თსუ, 1979, გვ. 49.

2 Котляревский Л. А. Власть и право. Проблема правового государства, М., Спб., 1915, с. 73.

რულება არაა სახეზე, ეს სახელმწიფო არ შეიძლება ცნობილ იქნეს სახელმწიფოდ<sup>3</sup>.

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სამართლით შებოჭვის შეუძლებლობა განსაკუთრებით გამოიკვეთა ინგლისური ანალიტიკური იურისპრუდენციის მიმდევართა მოძღვრებაში, იმ გაგებით, რომ მათ, სახელმწიფოს ფაქტიური, ზნეობრივი საზღვრები საერთოდ გამოჰყავდათ იურიდიული ანალიზის სფეროდან.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფო, ხელისუფლების შეუზღუდავი სახით, მათ გაგებული ქონდათ არა აბსოლუტური აზრით, არამედ შეფარდებით. ანალიტიკური იურისპრუდენციის წარმომადგენლებს ეჭვიც არ ეპარებოდათ იმაში, რომ ნებისმიერი ხელისუფლება, თვით დესპოტურიც კი, იძულებული იყო ანგარიში გაეწა საზოგადოებაში არსებული რეალური ძალებისათვის.

დაისმა, ინგლისის პარლამენტის მაგალითზე აჩვენა, რომ თუმცა იგი, იურიდიულად წარმოდგენს უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას, არსებითად, მან უნდა განახორციელოს პოლიტიკური სუვერენის, ერის ან ამომრჩევლის ნება. იგი მიიჩნევდა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება, მეცნიერული თვალსაზრისით, მკაცრად შებოჭილი შინაგანად და გარედანაც. შინაგანად, — რამდენადაც კანონმდებლობა წარმოდგენს საზოგადოებაში მიმდინარე გარკვეული სოციალური პროცესების პროდუქტს, გარედან კი, — რამდენადაც დამოკიდებულია მორჩილების ინსტიქტზე, რომელსაც, თავისთავად, გააჩნია ასევე გარკვეული საზღვრები<sup>4</sup>.

დიუგის სახელმწიფო სოლიდარობის თეორიის მიხედვით, პოლიტიკური ხელისუფლება უნდა დაექვემდებაროს სამართალს, რამდენადაც „სახელმწიფო ახორციელებს სამართლის მიზანს, სოლიდარობის მიზანს. სახელმწიფოს შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს მიღებული კანონი, მაგრამ სანამ ეს კანონი არსებობს, იგი იძულებულია დამემორჩილოს მას. თანამედროვე სახელმწიფო შებოჭილია კანონით იმ აზრით, რომ მისი ადმინისტრაციული და იურიდიული აგენტები ვერ აწარმოებენ ვერცერთ აქტს, თუ იგი ნებადართული არ იქნება კანონით; რომ ყველა აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ძალადაკარგულად ითვლება და ბოლოს, სახელმწიფო შეიძლება გამოდიოდეს ერთ-ერთ მხარედ თავისი, საკუთარი იურისდიქციული დაწესებულებების წინაშე და შებოჭილი იყოს მათი გადაწყვეტილებებით<sup>5</sup>.

ამასთან, დიუგი განასხვავებს სახელმწიფოს უარყოფით და პოზიტიურ (დადებით) შებოჭვას. პირველ შემთხვევაში, გადამწყვეტია დადგინდეს, არსებობს თუ არა კანონები, რომელთა გამოცემაც სახელმწიფოს იურიდიულად არ შეუძლია, ხოლო პოზიტიური შებოჭვის დროს კი — არსებობს თუ არა კანონები, რომელთა გამოცემაც მისთვის იურიდიულად სავალდებულოა.

დიუგი თვლის, რომ სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს მის მიერ გამოცემულ კანონებს იმდენად, რამდენადაც ისინი შეესაბამებიან იდეალურ

<sup>3</sup> Котляревский Л. А. Правовое государство и внешняя политика, М., Спб., 1909, с. 339. -

<sup>4</sup> Дайси, Основы государственного права Англии (русский перевод). Спб., 1905, с. 88—95.

<sup>5</sup> Леонь Дюги. Конституционное право, общая теория государства, М., Спб., 1908, с. 673.

ნორმას — სახელდობრ, სოციალური სოლიდარობის ნორმას. დიუგი ამ პოზიციისაკენ გადაიხარა იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ თუ სახელმწიფო შეზღუდული იქნებოდა მხოლოდ იმ კანონით, რომელსაც ის თვითონ ქმნის, რომელიც მას შეუძლია არ შექმნას და რომელიც მას შეუძლია შეცვალოს სხვა კანონის მეშვეობით, მაშინ სინამდვილეში ის არავითარი კანონით არაა შეზღუდული<sup>6</sup>.

დიუგის ეს შეხედულება არ იქნა გაზიარებული ორიუს მიერ — „პოლიტიკური ხელისუფლება შეიძლება შებოჭილ იქნეს მხოლოდ პოზიტიური სამართლით, ე. ი. მხოლოდ მის მიერ დადგენილი სამართლით, საწინააღმდეგოს მტკიცება მოასწავებდა სახელმწიფოს სუვერენიტეტის უარყოფას“<sup>7</sup>.

ორიუს პოზიციის სიახლე ამ საკითხში მდგომარეობს იმაში, რომ ლაბანდისა და ელინეისაგან განსხვავებით, რომლებსაც კანონის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების შებოჭვა გამოჰყავდათ სახელმწიფოს სუბიექტური თვითშეზღუდვიდან, იგი უშვებდა პოლიტიკური ხელისუფლების შებოჭვას მისი განსაზღვრული, ობიექტური ორგანიზაციით<sup>8</sup>.

თავისი მოძღვრების მთავარ დებულებად ორიუ მიიჩნევდა პოლიტიკურ და იურიდიულ სუვერენიტეტს შორის დამყარებულ პოლიტიკურ მდგომარეობას. ყოველგვარი პოლიტიკური ძალა, არის იურიდიული, იმ აზრით, რომ მას შეუძლია შექმნას სამართალი. ასევე სამართლის შექმნაც განუყოფელია პოლიტიკური ხელისუფლებისაგან. სახელმწიფო ორგანიზაციის ეს შინაგანი თავისებურება კი ავტომატურად განაპირობებს პოლიტიკური ხელისუფლების დაქვემდებარებას პოზიტიური სამართლისადმი<sup>9</sup>.

ელინეს სურს სახელმწიფოს თვითშეზღუდვა დაამტკიცოს სახელმწიფოს, როგორც სამართლის სუბიექტის აღიარების გზით.

იგი სახელმწიფოს თვითშეზღუდვას ხსნის ადამიანის პიროვნების თვითშეზღუდვით, რომლის დროსაც იგი ემორჩილება ავტონომიურ ზნეობრივ კანონს. ელინეი, იურიდიული ანალიზის გზით, ცდილობს დაამტკიცოს, რომ სამართალი სახელმწიფოსათვის არის არა მარტო მისი ნების გამოვლინება, არამედ, ამავე დროს, მისი მოვალეობაც.

ელინეკმა იმისათვის, რომ დაესაბუთებინა სახელმწიფოს თვითშეზღუდვის ლოგიკური შესაძლებლობა<sup>10</sup>, ზნეობრივი ავტონომიის იდეა მთლიანად გადაიტანა სახელმწიფოზე. სახელმწიფოს შებოჭვის რეალური მიზეზები მდგომარეობს თვითონ სახელმწიფოს ბუნებაში, მის მიზნებში, ხოლო შებოჭვის სამართლებრივი საფუძველია სახელმწიფოს თავისუფალი ნების აქტი<sup>11</sup>.

ელინეის თვითშეზღუდვის თეორიას, მიუხედავად მისი ავტორის დიდი ავტორიტეტისა, ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მათი უმრავლესობა ელი-

<sup>6</sup> Леонь Дюги. Конституционное право, общая теория государства, М., Спб., 1908, с. 73.

<sup>7</sup> Ориу. Основы публичного права, М., 1929, с. 38.

<sup>8</sup> Там же, с. 47.

<sup>9</sup> Там же, с. 48.

<sup>10</sup> თვითშეზღუდვის შეუძლებლობას ლოგიკურად ასაბუთებდა ჰობსი: „ისევე როგორც შეუძლებელია რაიმე მისცე შენს თავს, ასევე შეუძლებელია დაავალდებულო შენვე საკუთარი თავი“ — ციტ. Новгородцев Н. Государство и право. В кн.: Вопросы философии и психологии. Спб., 1904, с. 429—430.

<sup>11</sup> Еллинек Г. В. Общее учение о государстве, изд. второе. С-Петербург, 1908, с. 251 и далее.

ნეკის მოძღვრებაში, ყველაზე სუსტ ადგილად თვლიდა იმ დებულებას, რომ სახელმწიფო ნებას თვითონ ძალუძს მონახოს თავისი ობიექტური საზღვარი. არ იზიარებდნენ რა, ამ დებულებას, ელინეკის მოწინააღმდეგეები მიიჩნევდნენ, რომ შებოჭვის საფუძველი მდგომარეობს არა სახელმწიფო ნებაში, არამედ მასზე ზემდგომ, ობიექტურ საწყისებში<sup>12</sup>.

კლასიკური გერმანული იურისპრუდენციის მეორე გამოჩენილი წარმომადგენელი, იერინგიც, ერთგვარად უშვებდა სახელმწიფოს თვითშეზღუდვის შესაძლებლობას, მაგრამ თვითონ ეს პროცესი მას გაგებული ჰქონდა მისი მოძღვრების საერთო კონტექსტში: სახელმწიფო, რომელიც ფლობს აბსოლუტურ მონოპოლიას იძულებაზე, ამავე დროს არის სამართლის ერთადერთი შემოქმედი. სახელმწიფო ემორჩილება კანონს და სამართალს, მაგრამ იგი ამ დროს ხელმძღვანელობს საკუთარი ინტერესებით: სამართალი არის სახელმწიფო ხელისუფლების კარგად გაგებული პოლიტიკა. ნებისმიერ დროს, როცა ამას სახელმწიფო საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია სათვალავშიც არ ჩაავდოს მის მიერ დადგენილი სამართალი<sup>13</sup>.

სახელმწიფო ხელისუფლების კორკუნოვისეულ კონცეფციაში დაბეჭივითაა უარყოფილი სახელმწიფოს, როგორც იურიდიული სუბიექტის ხასიათი. სახელმწიფო ხელისუფლება, პრინციპში, შეუზღუდავია. იგი წარმოადგენს რეალურ ფაქტორს იმ საზღვრამდე, სანამდეც უშვებს ამ ზემოქმედებას მის მიერ დამორჩილებული ადამიანური ფსიქიკა<sup>14</sup>.

სამართლის მიერ სახელმწიფოს შებოჭვის შესაძლებლობას სკეპტიკურად უყურებდა გ. შერშენევიჩი. იგი მას ისეთივე არასერიოზულ ცდად მიიჩნევდა, როგორც იყო ლიბლიტების მიერ გულივერის შებოჭვა. როგორც პოზიტივისტი, შერშენევიჩი ავითარებდა იმ შეხედულებას, რომ სახელმწიფო ხელისუფლება საერთოდ მიუწვდომელია სამართლისათვის<sup>15</sup>.

კანონის მიერ სახელმწიფოს შებოჭვის შეუძლებლობას, ან უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ სახელმწიფოს თვითშეზღუდვას, აღიარებდნენ სამართლებრივი სახელმწიფოს პოზიტივისტური კონცეფციის მიმდევრები ა. ჰერბერი, ა. ლბანდი, ა. ესმენი და სხვ.<sup>16</sup>

რაც შეეხება თანამედროვე საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებას, აქ გამოიკვეთა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული პოზიცია. ავტორთა ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფს კანონზე სახელმწიფო ხელისუფლების დამოკიდებულების შესაძლებლობას, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ სამართალს, როგორც აბსტრაქტულ პრინციპს, აბსტრაქტულ ნებას ან ჯერარსობის აბსტრაქტულ ნორმას, რომელსაც არ გააჩნია მატერიალური სუბსტანცია, რეალურად არ ძალუძს შებოჭოს სახელმწიფო, როგორც სუვერენული ძალაუფლება. კანონის მიერ სახელმწიფოს შებოჭვაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ინსტიტუციონალურ დო-

<sup>12</sup> Б. Н о в г о р о д ц е в и, *Д а с а б. ნ ა შ რ ი მ ი*, გვ. 439.

<sup>13</sup> И е р и н г Р., *Ц е л ь в п р а в е*, Спб., 1881, с. 306—312.

<sup>14</sup> И с а е в И. А., *П с и х о л о г и ч е с к а я к о н ц е п ц и я в л а с т и*; К о р к у н о в а Н. Л., *С о в е т с к о е г о с у д а р с т в о и п р а в о*, 1989, № 9, с. 110—115.

<sup>15</sup> Ш е р ш е н е в и ч Г. Ф., *О б щ а я т е о р и я п р а в а*. Вып. I, М., Спб., 1910, с. 308.

<sup>16</sup> Н е р с е с я н ц В. С., *И с т о р и я и д е й о п р а в о в о й г о с у д а р с т в е н н о с т и и с о в р е м е н н о с т ь*, *С о ц и а л и с т и ч е с к а я з а к о н н о с т ь*, 1989, № 1, с. 10.

ნეზე, როდესაც ცალკეული სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები მოვალენი არიან იმოქმედონ კანონიერების პრინციპის შესაბამისად<sup>17</sup>.

სახელმწიფო ხელისუფლებასა და კანონს შორის არსებული ურთიერთკავშირის რთული, მრავალმხრივი ბუნება, მოითხოვს მისდამი დიფერენცირებულ მიდგომას. თვითონ სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტი რთული შინაგანი სტრუქტურის მქონე წარმონაქმნია. მისი შემადგენელი ელემენტები კი ხასიათდებიან გარკვეული თავისებურებებით, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ კანონთან მათი კავშირის ხასიათზე. არ შეიძლება, მაგალითად, ვამტკიცოთ, რომ კანონს თანაბრად ძალუძს შებოჰოს ხელისუფლების ისეთი განსხვავებული სახეები, როგორცაა დავუშვათ, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება ეს კავშირი, როცა სახელმწიფო ხელისუფლება განხილულია მის ინსტიტუციონალურ და სამართლებრივ დონეზე<sup>18</sup>.

გარდა ამისა, კანონსა და ხელისუფლებას შორის არსებული ურთიერთკავშირის კვლევისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ერთი მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანოები და, მეორე მხრივ, მათი ქვემდგომი ორგანოები. უდავოა, რომ ამ უკანასკნელთა მიმართ, საკითხი იმთავითვე გარკვეულია. ეს ორგანოები შებოჰილი არიან იმდენად, რამდენადაც ისინი ემორჩილებიან ხელისუფლების უზენაეს ორგანოს, გარდა ამისა, მათი კომპეტენციები, საქმიანობის ხასიათი და მიმართულებები განსაზღვრულია კანონით, რომლის დაცვაც სავალდებულოა მათთვის. ამ კანონების მიღება, შეცვლა ან გაუქმება წარმოადგენს უზენაესი სუვერენის იურისდიქციას და ქვემდგომი ორგანოების რაიმე, „თვითშემოქმედება“ ამ საკითხში, დაუშვებელია.

მაგრამ, შეიძლება თუ არა, კანონით შებოჰილ იქნეს სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანო, როგორც აბსოლუტური სუვერენული ძალაუფლების მატარებელი, რომელიც ფლობს ასევე, აბსოლუტურ მონოპოლიას მთელ სამართალშემოქმედებით პროცესზე? რამდენად დასაშვებია, რომ რომელიმე კანონით შებოჰილ იქნეს, ვთქვათ, რესპუბლიკის უზენაესი საბჭო?

არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეს ორგანო შებოჰილია მის მიერვე გამოცემული კანონებით, რომელთა შეცვლა ან გაუქმება, მას ნებისმიერ დროს შეუძლია ან უარეს შემთხვევაში, შეუძლია იმოქმედოს კანონის აშკარად დარღვევით, მაგრამ ამ დროსაც რაიმე პოლიტიკური თუ იურიდიული პასუხისმგებლობა, ფაქტიურად, გამორიცხულია.

ამიტომ, რაიმე იურიდიული, სამართლებრივი საზღვრები სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანოებისათვის არ არსებობს. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება მისი ფაქტური შებოჰვის საკითხი. ეს უკანასკნელი კი შეიძლება დადებითად გადაწყდეს ხელისუფლების დანაწილების გზით.

ამასთან, ეს დანაწილება უნდა მოხდეს არა მარტო სახელმწიფო ხელისუფლების შიგნით, არამედ იგი უნდა განხორციელდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს შორის, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, დაძლეულ იქნეს სახელმწი-

<sup>17</sup> Неновски Е., Единство и взаимодействие государства и права, М., 1982, с. 101 и далее.

<sup>18</sup> სახელმწიფო ხელისუფლების ცნების საკითხი დღემდე სადავოა იურიდიულ ლიტერატურაში. შეგნებულად ვუვლით რა გვერდს ამ პრობლემის გარშემო არსებულ შეხედულებათა ანალიზს, შევნიშნავთ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტს ჩვენ განვიხილავთ ინსტიტუციონალურ დონეზე, როგორც სახელმწიფო ორგანოთა სისტემას.



ფოსა და საზოგადოებას შორის დღეს არსებული, ფუნქციონირება ინვერსია<sup>19</sup>, როდესაც სახელმწიფოს ე. წ. პატერნალისტური ფუნქციების ზრდის კვალობაზე არსებითად შეზღუდულ იქნა საზოგადოებრივი თვითრეგულირების პროცესი. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი ისეთი მხარის რეგულირება, რომელთა ნორმალური ფუნქციონირება სავსებით შესაძლებელი იყო სახელმწიფოს ჩარევის გარეშე.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ უშუალოდ საზოგადოებას დავაკისროთ მთელი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ტოტალიტარული სტრუქტურების ჩამოყალიბების გამო, ამავე დროს, არ იქნებოდა მართებული მისთვის ამ პასუხისმგებლობის გარკვეული ნაწილის მოხსნაც. მართალია, ძალდატანებით, მაგრამ საზოგადოებამ მიიღო „მიიღო“ სახელმწიფოს რეპრესიული პოლიტიკა; უფრო მეტიც, როგორც ყველა დიქტატურა, საბჭოთა ტირანიაც ეყრდნობოდა მასების რწმენას; სწორედ პოლიტიკურად არაქმედუნარიანი საზოგადოების პირობებში პოვა მან თავისი საყრდენი.

სახელმწიფო ხელისუფლება თანდათან, მეთოდურად წარმართავდა საზოგადოების სრული გასახელმწიფოებრიობისაკენ მიმართულ პოლიტიკას, რის შედეგად მივიღეთ სოციალურად კასტრირებული და ყოველმხრივ ღირსება-აყრილი „საზოგადოება“. მის წევრთა უმრავლესობაში ფართოდ მოიქცა ფეხი სოციალურმა ინფანტილიზმმა, პოლიტიკურმა აპათიამ, მასობრივი შიშის ფსიქოლოგიამ. გაჩნდა პოლიტიკური არასრულფასოვნების მავნე კომპლექსი. საზოგადოებამ დაკარგა თავისი შესაძლებლობების რწმენა.

სახელმწიფო ხელისუფლებით ურთიერთობებში აშკარად გამოკვეთილი ხასიათი მიიღო მისი მონაწილეების უთანასწორო მდგომარეობამ, რის შედეგადაც დაზარალებულ მხარედ ყოველთვის მოქალაქე გამოდიოდა. ეს იყო შიშსა და იძულებაზე დამყარებული ურთიერთობა, რომელმაც ხალხს საბოლოოდ ჩამოუყალიბა სახელმწიფოს, როგორც მასზე ზემდგომი და უცხო ძალის სტერეოტიპი; გაჩნდა სოციალური დაუცველობის გრძნობა; სახელმწიფო ხელისუფლებასთან კონტაქტი მოქალაქისათვის ასოცირებული იყო იმ კავშირთან, რომელიც შეიძლება დამყარებულ იქნეს მხოლოდ ექსტრემალურ ვითარებაში. სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მზრუნველობის დეფიციტმა კი უკუკავშირის კანონზომიერებით გამოიწვია ასეთივე გრძნობა მის ქვეშევრდომებში. გაჩნდა სახელმწიფოსადმი უპატივცემულობის მავნე სინდრომი, რომელიც აშკარა თუ შენიღბულ ფორმებში თავის გამოვლინებას პოულობდა ანტისაზოგადოებრივ, მართლსაწინააღმდეგო ქცევებში.

საზოგადოების ასეთი მდგომარეობა გამოიწვია სახელმწიფო ხელისუფლებისადმი რაიმე ქმედითი ზედამხედველობის გაწევას, მით უფრო მის შებოჭვას, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ მაღალგანვითარებულ სამოქალაქო საზოგადოების პირობებში.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში კანონის ფუნქციები, რა თქმა უნდა, ობიექტურად შეზღუდულია, მაგრამ, ეს როდი ნიშნავს საერთოდ მისი აქტიური როლის უარყოფას. პირველ რიგში, კანონმა უნდა აღადგინოს სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკური საფუძველი — საკუთრება.

<sup>19</sup> Мигранян А. М. Взаимоотношения индивида, общества и государства в политической теории марксизма и проблемы демократизации социалистического общества, «Вопросы философии», 1987, № 8, с. 79.

იმ ფაქტმა, რომ საზოგადოებამ მთლიანად, მისმა თითოეულმა სტრუქტურულ-მა ელემენტმა, პიროვნების ჩათვლით, დაკარგა თავისუფლების მთავარი ეკონომიკური დასაყრდენი, ბევრად განაპირობებს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის დღეს არსებული წინააღმდეგობების წარმოშობა<sup>20</sup>.

დღევანდელ ვითარებაში შეუძლებელიც კია რეალურად შევბოქვით სახელმწიფო, როგორც წარმოების საშუალებათა, სამუშაო ძალის, ბუნებრივი სიმდიდრის ერთადერთი მესაკუთრე. ეკონომიკის სფეროში მონოპოლიური დიქტატის გატარების გზით სახელმწიფომ შეძლო თავის თავზე აეღო წარმოებული მატერიალური სიმდიდრის განაწილების ფუნქციებიც. განაწილების პროცესმა განსაკუთრებით მახინჯი სახე მიიღო არსებული სასაქონლო დეფიციტის პირობებში.

სოციალისტური სახელმწიფო-ლევიათანის ჩამოყალიბებამ განაპირობა არა მარტო ეკონომიკური პროცესების დეფორმაცია, არამედ, მან მნიშვნელოვნად დააჩქარა პოლიტიკური სტრუქტურების ეროვნის პროცესიც. „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ არსებობა გახდა მიზეზი ხელისუფლების „ჩრდილოვანი სტრუქტურების“ ჩამოყალიბებისა.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ცალკე განხილვის საგანია სოციალისტური სახელმწიფოს შებოქვის პრობლემა.

ისტორიულად, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ეფუძნებოდა იმ ლიბერალურ-ეკონომიკურ დოქტრინას, რომელიც ეყრდნობოდა პრინციპს „Laissez faire“ და მოითხოვდა ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოს საქმიანობის მინიმუმამდე დაყვანას; მისთვის მხოლოდ „ლამის დარაჯის“ ფუნქციების დაკისრებას; საზოგადოებრივი ცხოვრების მეტწილ სფეროთა დეცენტრალიზაციას...

სოციალისტური სახელმწიფო კი იმთავითვე აღმოცენდა როგორც დიქტატისა და შიშველ ძალადობაზე დამყარებული მმართველობა. სხვა რამ პრინციპში გამორიცხული იყო. სოციალისტური საკუთრების იდეა უარყოფს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ, თავისუფალ ეკონომიკურ საქმიანობას; მოითხოვს როგორც წარმოების, ასევე განაწილების პროცესზე სრულ სახელმწიფო მონობლიას; ეკონომიკურ ურთიერთობათა იდეოლოგიზაციას; მმართველობის ზეცენტრალიზებული სისტემის დამკვიდრებას; საზოგადოების გასახელმწიფოებრიობას... ნების ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობა აშკარა საფრთხით ემუქრება თვითონ სოციალიზმის იდეას; შლის სახელმწიფოს ტოტალიტარული სტრუქტურების ეკონომიკურ ფუნდამენტს; კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს მომავალს. ჩვენს სინამდვილეში განვითარებული მოვლენებიც ცხადყოფს, რომ ეკონომიკაში პლურალისტური ტენდენციების ზრდასთან, ეკონომიკური დემოკრატიის დამკვიდრებასთან ერთად სოციალისტური საზოგადოება ტრანსფორმირდება თუ არა კაპიტალისტურ, ახალი სახის, პოსტსოციალისტურ საზოგადოებად მიდის.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ შეუძლებელია კანონმა შებო-

<sup>20</sup> სამოქალაქო საზოგადოება მე-18, მე-19 საუკ. ფილოსოფიისა და სოციოლოგიაში განმარტებული იყო, როგორც „პოლიტიკური საზოგადოების“ — სახელმწიფოს საწინააღმდეგო ცნება, რომელიც მოიცავდა ქონებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას. იხ. Большая советская энциклопедия Второе издание Государственное научное изд-во «БСЭ», რამდენადმე ნიშანდობლივია, რომ დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის შემდგომ გამოცემებში და არც ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, ეს ცნება საერთოდ არაა განმარტებული.

ქოს იმ პოლიტიკური წყობის სახელმწიფო, რომელსაც მოითხოვს სოციალისტური საკუთრების იდეა. ამიტომ, კანონმა ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი ეკონომიკაში პლურალისტური ტენდენციების განვითარებას. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება საკუთრების მრავალფეროვანი ფორმების დადგენას. მხოლოდ ეკონომიკური თავისუფლების პირობებშია შესაძლებელი ჭეშმარიტად თანასწორ საწყისებზე დამყარებული ურთიერთობა, ერთი მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლებასა და, მეორე მხრივ, ინდივიდებს, სოციალურ ჯგუფებს, კოლექტივებს შორის. სახელმწიფოს ეკონომიკური ხელისუფლების დემონოპოლიზაციის შედეგად სახელმწიფო შებოჭილი იქნება იმ გაგებით, რომ იგი უკვე ასე თავისუფლად ვერ ჩაერევა კოლექტივის და ინდივიდის ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, რაც მათი ერთგვარი ავტონომიური მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი გარანტია იქნება.

საზოგადოებასთან მიმართებაში, სახელმწიფო იმავეითვე შებოჭილია სამართლით.

სამართალი, გაგებული როგორც უშუალოდ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩამოყალიბებული ქცევის წესების, ადამიანთა საერთო ცხოვრების შედარებით სტაბილური ფორმების სახით, რომელიც საზოგადოებაში მოქმედებს მისი სახელმწიფოებრივი აღიარების გარეშე, წარმოადგენს იმ პირველად, საწყის სამართლებრივ მატერიას, რომლისგანაც ხდება პოზიტიური სამართლის დადგენა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. უკვე სამართალშემოქმედების პროცესშივე სახელმწიფო იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამ, ასე ვთქვათ, მეტაიურიდიულ, პრეიუდიციალურ სამართალს, ანუ როგორც მას ცალკეული ავტორები უწოდებენ, სამართლებრივი რეალობის არაიურიდიულ (არალეგისტურ) ყოფიერებას<sup>21</sup>.

ამ გაგებით, სახელმწიფოს აბსოლუტური სუვერენიტეტი შეიძლება აღიარებული იქნეს მხოლოდ გარკვეული პირობითობის დაშვებით. იგი შეზღუდულია სამართლის სუვერენიტეტით, რომელიც გარკვეულ საზღვრებში აქცევს სახელმწიფო ხელისუფლების ფაქტიურ შესაძლებლობებს.

ამრიგად, ჯერ კიდევ კანონის (წმინდა, ფორმალური გაგებით) დადგენამდე, სახელმწიფო ხელისუფლება შებოჭილია საზოგადოებაში ობიექტურად ჩამოყალიბებული არაიურიდიული სამართლის მოთხოვნებით. ამიტომ, ჩვენის აზრით, უფრო კორექტული იქნებოდა გველიარებინა, სახელმწიფო ხელისუფლების შებოჭვა არა კანონის, არამედ სამართლის მიერ<sup>22</sup>.

შეიძლება ვილაპარაკოთ სახელმწიფო ხელისუფლების თვითშეზღუდვაზე როდესაც სახელმწიფო, იურიდიულად, ვალდებულია ანგარიში გაუწიოს კანონის მოთხოვნებს. მაგრამ, რაც შეეხება „სამართალს“, აქ უკვე სრულიად განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამართლის გარეშე სისტემა: საზოგადოება-სახელმწიფო საერთოდ ვერ იარსებებს. უფრო სწორად, ამ სახით იგი არც მნიშვნელობს, თუ მასში ცალკე, გამაშუალებელი ელემენტის სახით არ იქნა ჩართული სამართალი, ე. ი. ლოგი-

<sup>21</sup> Мицкевич А. В. Научная ценность определения понятия права, как единого целого (логический аспект). В кн.: Проблемы совершенствования советского законодательства, Труды ВНИИСЗ, 1987, № 3, с. 13.

<sup>22</sup> Методологические и теоретические проблемы юридической науки. Сборник научных трудов. М., 1986, с. 15.

კურად გამართულია სისტემის სამელემენტო სტრუქტურა. საზოგადოება — სამართალი — სახელმწიფო. ნებისმიერი სახელმწიფო ინტეგრირებულია საზოგადოების სისტემაში და მის გარეთ, როგორც სოციალური ინსტიტუტი, იგი საერთოდ ვერ მნიშვნელობს. ამავე დროს, საზოგადოებასთან სახელმწიფოს შემაკავშირებელ ერთადერთ რგოლს წარმოადგენს სწორედ სამართალი. სახელმწიფოს, არც ერთ საზოგადოებაში, არ ძალუძს მთლიანად უარყოს სამართლის მოთხოვნები. საზოგადოებაში, არ ძალუძს ერთგვარი პერმანენტული კონფლიქტის მდგომარეობა თვითონ სახელმწიფოსთვისაა მიუღებელი, რამდენადაც იგი მოასწავებდა გარდუვალ პოლიტიკურ კრიზისს. ამიტომ, სახელმწიფო ყოველთვის იძულებულია დააკანონოს სამართლის მოთხოვნათა ის გარკვეული მინიმუმი, რომელიც აუცილებელია საზოგადოებაში გარკვეული სტაბილურობის მისაღწევად.

ხაზგასმის ღირსია შემდეგი გარემოებაც. ლოგიკურია დაუშვათ, რომ მატერიალური ძალა შესაძლებელია შებოჭილი იქნეს ისევ მატერიალური ძალით. იურიდიული კანონი ასეთ ძალას, როგორც ჭეშარი ხასიათის მსჯელობა, ვერ ფლობს. მაშინ როცა სამართალი როგორც არსული, ფაქტობრივი ურთიერთობა მოიცავს ძალის მომენტს. ცხადია ჩვენ გვესმის, რომ არაიურიდიული სამართლის ცნების რამდენადმე მისტიკური, სპირიტუალისტური შინაარსის ახსნის გარეშე, შეუძლებელია გარკვეულ იქნეს სამართლის მიერ სახელმწიფოს შებოჭვის პრინციპის ჭეშარიტი მნიშვნელობა, მაგრამ თუ უარყოფითი სიმაართლის ავტონომიურ, სახელმწიფოს პოლიტიკური ნებისაგან დამოუკიდებელ ხასიათს, მაშინ უნდა ვალიართ მხოლოდ სახელმწიფოს თვითშებოჭვის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, დასავლეთის ზოგიერთ დოქტრინაში, საერთოდ არ განიხილება როგორც პოლიტიკური პრინციპი. სამართლებრივი სახელმწიფო მიჩნეულია როგორც იდეალი, რომლის აბსოლუტური სისუსტით რეალიზაცია არარეალურია — შესაძლებელია მასთან მხოლოდ მიახლოება ან დაშორება. სამართლებრივი სახელმწიფო არ წარმოადგენს არც წარსულში და არც აწმყოში, კონკრეტულ დროსა და სივრცეში არსებულ სახელმწიფოს. იგი წარმოადგენს იმ კრიტერიუმს, რომლის მეშვეობითაც შეიძლება განსხვავებულ იქნეს კარგი და ცუდი სახელმწიფოები.

სამართლებრივი სახელმწიფოს მეტაფიზიკური ბუნება, ამ მოძღვრებებში, ერთგვარად რაციონალიზირებულია მისი პრინციპებით, რომლებიც შეიცავენ სრულიად კონკრეტულ მოთხოვნებს. მაგრამ ჩვენთვის მთავარია სწორედ ის ფაქტი, რომ „სამართლებრივი სახელმწიფოს“ კონსტრუქციაში „სამართალი“, წარმოდგენილია როგორც არაპოლიტიკური ღირებულება, შესაბამისად უარყოფილია სახელმწიფო ხელისუფლებასთან მისი კავშირი. ამასთან „კავშირის“ ცნების ქვეშ ცხადია იგულისხმება, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია შექმნას სამართალი. უფრო მეტიც, იგი შებოჭილია სამართლით სწორედ იმიტომ, რომ მის გარეშე არ შეუძლია კონტაქტში შევიდეს საზოგადოებასთან.

სახელმწიფო ხელისუფლება სამართლის მიერ შებოჭილია საზოგადოებასთან მიმართებაში. მაგრამ მას არ შეუძლია უზრუნველყოს თვითონ მისი, როგორც ავტონომიური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებაც, იურიდიული ფორმების გარეშე, მართალია, იგი, გარკვეული აზრით, თვითრეგულირებადი სისტემაა, მაგრამ მისი ეს თვისება სწორედ კანონის მეშვეობით რეალიზდება.

კანონით დადგენილია სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტის შექმნისა და საქმიანობის წესი, მიზნები, სხვა ინსტიტუტებთან კავშირის ფორმები, მათი განვითარების იურიდიული გარანტიები. უკანასკნელ პერიოდში გაფართოვდა სახელმწიფო ორგანოთა საკანონმდებლო რეგლამენტაციის საზღვრები. იგი ახლა მოიცავს არა მარტო მათ ფუნქციებს და უფლებამოსილებებს, არამედ ამ ორგანოთა სამართლებრივი სტატუსის სხვა ელემენტებსაც<sup>23</sup>. ამ თვალსაზრისით, კანონი წარმოადგენს სახელმწიფო მექანიზმის ორგანიზაციისა და მოღვაწეობის აუცილებელ ფორმას, მის ერთ-ერთ იმანენტურ ელემენტს.

რა თქმა უნდა, სახელმწიფო ხელისუფლების მთელი საქმიანობა არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მარტოდენ მისი სამართლებრივი ფორმების იურიდიულ ანალიზამდე. სახელმწიფო ხელისუფლება მის წინაშე მდგომ ამოცანებს ახორციელებს წმინდა ფაქტობრივ, ორგანიზაციული ხასიათის მქონე მეთოდებითაც, მაგრამ იგი იძულებულია ამ შემთხვევაშიც გარკვეული ანგარიში გაუწიოს კანონის მიერ დადგენილ საზღვრებს.

როგორც ვნახეთ, სამართლის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების შებოჭვა ბევრადაა განპირობებული საზოგადოებაში მოქმედი ობიექტური ფაქტორებითაც. სახელმწიფოს, ერთის მხრივ, სამართლის გარეშე არ ძალუძს კავშირის დამყარება საზოგადოებასთან, ხოლო, მეორე მხრივ, სამართალი (ამ შემთხვევაში პოზიტიური) წარმოადგენს მისი თვითორგანიზაციის აუცილებელ საშუალებას.

მაგრამ აღნიშნული როდი ნიშნავს იმას, რომ ეს პროცესი ყოველთვის ავტომატურადაა უზრუნველყოფილი. სახელმწიფოსა და კანონს შორის კავშირი ბევრად უფრო რთულია და მრავალმხრივი. მისი ხასიათი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმაზე, სახელმწიფოებრივ ტრადიციებზე, ეკონომიკურ წყობაზე, პოლიტიკურ კულტურაზე და ა. შ.

მის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის კი, უმთავრესია პოლიტიკური წყობილების ფორმა. ნიშანდობლივია, რომ გფრ-ის კონსტიტუციაში საკანონმდებლო ხელისუფლების შებოჭვის საშუალებად მიჩნეულია არა კანონი, არამედ სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილება — „საკანონმდებლო ხელისუფლება შებოჭილია კონსტიტუციური წყობილებით, აღმასრულებელი ხელისუფლება და მართლმსაჯულება — კანონით და სამართლით“ — ნათქვამია გფრ-ის კონსტიტუციის მე-20 მუხლში.

ასეთ პირობებში მით უფრო მეტ აქტუალობას იძენს კანონის მიერ სახელმწიფოს შებოჭვის პოლიტიკური გარანტიების ჩამოყალიბების საკითხი. მათ შორის უმთავრესია ხელისუფლების დანაწილება.

კანონი ვერ შებოჭავს სახელმწიფო ხელისუფლებას, როგორც ერთიანსა და მთლიანს, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ხელისუფლების ბოროტად გამოყენების, მისი უზურპაციის შესაძლებლობა ერთი რომელიმე ორგანოს მიერ, აუცილებელია მისი დანაწილება — საკანონმდებლო, აღმასრუ-

